ლიტერატურული საქართველო

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО

28 ივნისი, 2013 წ. | №50 (3660) | გამოცემის 77-ე წელი | ფასი 1 ლარი



თამაზ წივწივაძე

ისმინეთ ყველამ!

„ლიტერატურული საქართველო“ იწყებს იმის გარკვევას, თუ როგორ სახელმწიფოს გვიშენებს ახალი ხელისუფლება!

ძვირფასო თანამემამულენო!

ვიდრე სათაურში გატანილ საკითხს გავარკვევდე, იქამდე მინდა ბოდიში მოვუხადო ჩვენი გაზეთის მკითხველებს იმასთან დაკავშირებით, რომ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა, მე კიდევ ერთი ნომრით გადავწიე საქვეყნოდ გახმაურებული წერილის – „გაიღვიძეთ, გრიშა ბიძია, დეპოში ვართ“ – გაგრძელების ბეჭდვა!

ასევე ვალდებულად ვთვლი თავს, აქვე, რიგით მეორე ბოდიში მოვუხადო „გრიშა ბიძიას“ ჭირისუფლებსა და ახლობლებს, რადგან ეს კაცი, ბატონი გრიგოლ ბრეგაძე, არც პატიოსნებით და არც სამეცნიერო ცენზით არ ჩამორჩებოდა მისსავე თანამედროვეებს – უბრალოდ ის იმ რეჟიმის მსხვერპლი გახდა, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრება გულწრფელად უგალობდა!

თუმცა, ამ ჩემს „გრიშა ბიძიასაც“ რა ექნა, ისიც, საბჭოთა ხალხთან ერთად, მიაყენეს კომუნიზმის ხარაჩოებს და უბრძანეს: კაცობრიობისთვის ეს საოცნებო საზოგადოება შეუსვენებლად უნდა აეშენებინა!

არადა, ამ დროისთვის, კომუნისტებს სოციალიზმის მშენებლობაც არ ჰქონდა ბოლომდე მოთავებული!

ეს ჩემი „ბიძიაც“ ადგა, ნამგალი გვერდზე გადადო და დიდი ურითი მიადგა კომუნიზმის გაგანიერებულ კედლებს – გაშლილი მშენებლობის რეჟიმში რომ გადაეყვანა!

მაგრამ რა უნდა გაეწყო, საწყალს, – ერთი კაცის ან თუნდაც ერთი ქვეყნის მიერ აშენებული კომუნიზმი წარმოგიდგენიათ, ძვირფასო მკითხველო?!

არადა, კიდევ ვიმეორებ: ეს პატიოსანი კაცი და ნორმალური მეცნიერი, როგორც მილიონობით საბჭოელი, ასე გულუბრყვილოდ შეეწირა კაცობრიობის ამ ნათელი მომავლის მშენებლობას!

ნათელი დაადგეს მათ ხსოვნას იმ ქვეყნად!

და, მიუხედავად იმისა, რომ კაცობრიობის შემდეგი გაჩერება „სადგური კომუნიზმი“ უნდა ყოფილიყო – მთელმა საბჭოთა ხალხმა და, მათ შორის, ქართველებმაც, პირდაპირ დეპოში ამოვყავით თავი!

ოღონდ ჩვენთვის, ქართველებისთვის, ეს უბედურება აქ არ დამთავრებულა – ამასობაში, საქართველოში სააკაშვილის ბატონობის ხანაც დაგვატყდა თავს!

მისი მმართველობის პერიოდში დეპოში მოხვედრაც სანატრელი გაგვიხდა – უფრო ხშირად ციხის ჯურღმულებში აღმოვჩნდებოდით-ხოლმე!

თუმცა, იქამდე, ამ დედააფეთქებულისთვის, საკუთარი ტრაკის გასაღებიც უნდა ჩაგვებარებინა, შიგ რომ დუბინკები და ცოცხები დაეტრიალებინათ!..

უფრო უიღბლოებს არც მაგიდაზე მიბმა და ნატურალური იარაღით გაუპატიურება აცდებოდათ!..

* * *

ღმერთმა მისცეს გამარჯვება ბატონ ბიძინა ივანიშვილს – ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ამ წარღვნისაგან რომ იხსნა!

რასაკვირველია, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს ჩვენი გმირი ცარიელ ნიადაგზე არ მოსულა – საქართველოს უკეთესი შვილები, სიცოცხლის რისკის ფასად, სააკაშვილის რეჟიმს თავგადაკლული ებრძოდნენ!

არ ვიცი, შეიძლება სწორადაც მოიქცა ეს ჭორვილელი მილიარდერი, როცა ახალ ხელისუფლებაში ბრძოლაგამოვლილი და გადაღლილი ადამიანები აღარ შეიყვანა – გზა, ძირითადად, იმას მისცა, ვინც სააკაშვილთან კარგად თანამშრომლობდა და ეს ბოლო ცხრა წელიწადიც ხელისუფლებასთან პოლიტიკურ კეკლუცობაში გაატარა!..

* * *

ძვირფასო თანამემამულენო!

დადგა დრო, თქვენის ნებართვით და თქვენთან ერთად, სათაურში გატანილი ის საკითხიც გავარკვიოთ, თუ როგორ სახელმწიფოს გვიშენებს ეს კარგად ნასვამ-ნაჭამი და კარგი ცხოვრებით ფერზე მოსული ახალი ხელისუფლება!

ამჯერად მე ის მაინტერესებს, თუ რა ბედი ელის ამათ ხელში კერძო საკუთრებას!

დავიწყოთ იქიდან, რომ კომუნისტებმა კერძო საკუთრება მოსპეს, სააკაშვილმა კიდევ ეს სექტორი პირწმინდად მიისაკუთრა!

ამიტომ ახლა ძალზე საინტერესოა, როგორ მოექცევა კერძო საკუთრებას ხელისუფლებაში მოსული კაცი, რომელსაც იმაზე მეტი სიმდიდრე აქვს დაგროვილი, ვიდრე ერთად აღებული ბაგრატოვანთა გვარის ყველა მეფეს, თავის ფეოდალებიანად, თავის თავად-აზნაურებიანად და თავის ყმა-გლეხებიანად!..

უპირველესად ის მინდა ვუსურვო: ყველა ეს ულევი სიმდიდრე ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს!..

ჩვენთვის კი მთავარი ისაა, რომ ამ კაცმა ყველა დროის ყველა ქართველზე უკეთ იცის კერძო საკუთრების ყადრი და, აქედან გამომდინარე, არ მგონია, ასე ჰაიჰარად მოეკიდოს ამ საკითხს!..

* * *

ძვირფასო თანამემამულენო!

ვიდრე „ლიტერატურული საქართველოს“ მიერ წამოწყებულ ერთ ექსპერიმენტზე კონკრეტულად მოგახსენებდეთ, მინდა თქვენი სახელით ვთხოვო ჩვენს სახელგანთქმულ იურისტებს: თედო ნინიძეს, გია მეფარიშვილსა და როლანდ გილიგაშვილს, კანონთან რომ არაფერი შეგვეშალოს, მონიტორინგი გაუწიონ ჩვენი რედაქციისაგან წამოწეულ თემას!

ასევე დიდი პატივისცემით მივმართავ საქართველოს ადვოკატთა თავკაცს, ბატონ ზაზა ხატიაშვილს, მის მიერ დაკომპლექტებული გუნდით დაიცვას ჩვენგან შეთავაზებული პიროვნების ინტერესები!

მე პირადად კი, ჩემს ძვირფას კოლეგებთან – რეზო ამაშუკელთან და ელიზბარ ჯაველიძესთან ერთად, შევასრულებ საზოგადოებრივი დამკვირვებლის ფუნქციებს!..

ბატონებო!

ხმამაღლა ვაცხადებ: თუ მე, ჩემი გაზეთით და ამ ბრწყინვალე თანავარსკვლავედით, როგორც სამართლის სპეციალისტთა, ისე ადვოკატთა მონაწილეობით, სახელმწიფო ძალადობისაგან ვერ ვიხსენი ერთი, თავისთავად, სახელოვანი პიროვნება, ასეთი ქვეყანა გინდ აგიშენებიათ და გინდ – არა!

ალბათ, დამეთანხმებით!

ჰოდა, თუკი თქვენც ასე მიგაჩნიათ, მაშინ „ლიტერატურული საქართველოს“ მიერ შემოთავაზებული ექსპერიმენტი დავიწყოთ!..

* * *

დავაკმაყოფილოთ მკითხველის ცნობისმოყვარეობა და გავამჟღავნოთ: ეს დაზარალებული კაცი გახლავთ მიწაზე და ხალიჩაზე ბეჭდაუდებელი ფალავანი, მსოფლიოს ჩემპიონი მძიმე წონაში, ნოდარ მოდებაძე!

სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიბარა ეს სახელოვანი პიროვნება და ბენდუქიძის (სხვათა შორის, ესეც მძიმეწონოსანია!) პირით უთხრეს – შენი მამულები კახეთში თავის ღვინის ქარხნიანად სახელმწიფოს უნდა აჩუქოო!

– რათა, კაცო, – კახურად მიუგო კახელმა ფალავანმა!

იმათა, რომ უნდა წაგართვათო!..

ნოდარი წამოვიდა და თავის ახლობლებში გაიკითხა: ეს ხელისუფლება მეხუმრება თუ მართლა დაჭერას მიპირებსო!

კი, დაგიჭერენო!.. – აუხსნეს მეგობრებმა!

ნოდარმაც აწონ-დაწონა: თუ მამულებსაც ჩამომართმევენ და დამიჭერენ, ამას, ალბათ, ის აჯობებს, მიწა დავთმო და სუფთა ჰაერით ვისუნთქოო!

ყოველთვის ჭკვიანი კაცი იყავიო, – საქციელი მოუწონა ხელისუფლებამ!..

კი, ბატონო, „მუხრან ბატონის დროშია“, – უკაცრავად, სააკაშვილის მმართველობის ხანაში მართლაც ასე იყო და მარტო ერთი მოდებაძე კი არა, ერთად აღებული მთელი ქართველი მოჭიდავეებიც ვერაფერს შეცვლიდნენ!..

ახლა მე ის მაინტერესებს, ახალი ხელისუფლების ხელში არაფერი შეიცვალა?!

მით უმეტეს, როცა პრემიერი ყოვლად წესიერი, წმინდანივით კაცია!

ასევე, წესიერი ქალბატონია იუსტიციის მინისტრი, თეა წულუკიანი!

წესიერების მხრივ, არც არავის უდებს ტოლს გენერალური პროკურორი, არჩილ კბილაშვილი!..

მსოფლიო ჩემპიონი კი დღესაც დგას ჩოქბჯენში და ამ წესიერი ხალხის სამართლიან გადაწყვეტილებას, აგერ, მეათე თვეა, ელოდება!..

არადა, ეს სამართალი ძნელი გადასაწყვეტი სულაც არაა!

ბატონ ნოდარს, მიუხედავად იმისა, რომ კეთილი კაცია, ძილშიაც არ დასიზმრებია, სახელმწიფოსთვის მამულები ეჩუქებინა!..

თავისი სპორტული კარიერის მანძილზე, არც არავის ისე მაგრად არ წაუქცევია, ხალიჩიან იატაკზე თავი იმ ძალით რომ დაერტყა, მახსოვრობა დაეკარგა!

ერთი სიტყვით, ამ კაცს, თუ მართლა შარზე არა ხართ, არავისთვის არაფერი უჩუქებია!

თუ საჩუქრად იმას არ ჩავთვლით, თავისი ოფლით და სიმამაცით, ოქროს მედლები რომ ჩამოჰქონდა საკუთარ ქვეყანაში!..

ამიტომ გეკითხებით, რა ქვეყანა დაიქცევა, თუკი ამ კაცს თავის ქონებას დაუბრუნებთ? მით უმეტეს, ეს ქონება დღესაც სახელმწიფოს ხელშია და უკან დაბრუნებით არც ერთი კერძო პირი არ ზარალდება!..

ბატონებო! იქნებ ახსნათ, რა გიშლით ხელს, სიმართლე რომ აზეიმოთ და ამ ქვეყანაში სამართალმა პური ჭამოს?!

თუ პური მარტო ბენდუქიძემ უნდა ჭამოს, წონაში ერთი გრამიც რომ არ დაიკლოს?!

* * *

ძვირფასო თანამემამულენო!

თვალსაჩინოების მიზნით, ახლა ნიკოლოზისდროინდელი სამართალი უნდა შეგახსენოთ, რომელიც დიდ ილია ჭავჭავაძეს აქვს აღწერილი თავის „ოთარაანთ ქვრივში“!

ერთხელ გზირმა ერთი ქათამი წაართვა ოთარაანთ ქვრივს – სოფელში დიამბეგია ჩამოსული და მისთვის ვაგროვებთო!

ოთარაანთ ქვრივმა, რომ იტყვიან, რკინის ქალამნები ჩაიცვა, გუბერნატორამდე მიაღწია და, იმდროინდელი სამართლის ძალით, ერთი ქათამი უკან შვიდმაგად დაიბრუნა!

და ეს იყო იმ დროს, ნიკოლოზისდროინდელ სამართალს რომ ეძახდნენ!..

დღეს კი, 21-ე საუკუნეში, ქართველი ხალხის ერთ-ერთი საყვარელი მსოფლიო ჩემპიონი, ბატონი მოდებაძე, არც მიწის განაცდურს ითხოვს, არც საკუთარი ღვინის ქარხნის მორალური და ფიზიკური ცვეთის ანგარიშს, უბრალოდ, ის უნდა, რომ სანამ ვაზი ჯერ კიდევ არ გადამხმარა, იქნებ იმის ნება დართოთ, რომ ძალად წართმეული საკუთარი ქონება ნებაყოფლობით უკან დაუბრუნოთ!..

ძვირფასო ახლანდელო ხელისუფლებავ! აქ მე რამე გაუგებარი ვთქვი?

ის კაცი, ამ თითქმის გავერანებულ ვენახს, გააცოცხლებს და შვილივით მოუვლის!

ყურძენსაც თქვენ ჩაგაბარებთ (რასაკვირველია, თავის ფასში!) და, დარწმუნებული ვარ, ახალი ხელისუფლების სადღეგრძელოსაც შესვამს!..

არ გინდათ? აბა, ისევ იმ დედააფეთქებული სააკაშვილის სამართლით გინდათ ააშენოთ ეს სახელმწიფო?!

არ გამოვა, ბატონებო!

და, განა მარტო ნოდარ მოდებაძეა ამ დღეში? ნახევარი საქართველო, ივანიშვილის ხელიდან, იმ სამართლის გაჩენას ელოდება, რომელიც, ჩვენი დიდი წინაპრის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად!..“

არადა, ჩვენო ძვირფასო კერძო მესაკუთრენო!

თუ ასე არ მოხდა და მოხდა, როგორც დღეს ბატონ მოდებაძეს ექცევიან – აგერ ვარ მე, ჩემი გაზეთიანად, ჩემი კოლეგა რეზო ამაშუკელ და ელიზბარ ჯაველიძიანად, აქვე არიან იურისტთა თანავარსკვლავედი – თედო ნინიძე, გია მეფარიშვილი, როლანდ გილიგაშვილი, ბატონი ზაზა ხატიაშვილიც აქვე ტრიალებს თავისი გუნდით და ვნახოთ, სააკაშვილისდროინდელი მექრთამე მოსამართლეები გაიტანენ თავისას თუ – ჩვენ!

ისე კი, ყველაფერ ამას ის აჯობებდა, ბატონ პრემიერ-მინისტრს ისეთი სახელმწიფო აეშენებინა, სადაც „ქმნა მართლისა სამართლისა“ უზენაესად იქნებოდა გამოცხადებული!

თუმცა, ვნახოთ, ყველფერი ჯერ ისევ წინაა!..

კიდევ კარგი, ბატონი მოდებაძე მოჭიდავე კაცია და მისთვის ჩოქბჯენში დგომა უცხო ხილი არაა!

ოღონდ იქამდე მოიცდის, ვიდრე ვაზი მთლად არ გადამხმარა!..

თორემ, თუ ფეხზე წამოდგა, მე მისი გამჩერებელი არა ვარ და, ვიღაცას ყოფა მართლა ეტირება!..

თუნდაც ის სააკაშვილი იყოს!..

P.S.

დიდად პატივცემულო იუსტიციის მინისტრო, ქალბატონო თეა წულუკიანო!

დიდად პატივცემულო გენერალურო პროკურორო, ბატონო არჩილ კბილაშვილო!

ამ საქმესთან დაკავშირებით, სამართლიან რეაგირებას თქვენდამი რწმუნებული უწყებებიდან, მორჩილად დაველოდები!

იმედია, განმეორებით წერილის დაწერა აღარ დამჭირდება!

პატივისცემით,

თამაზ წივწივაძე

გელა ზედელაშვილი: „თამაზ წივწივაძის გენიალური რჩევა ბიძინა ივანიშვილს!“

თამაზ წივწივაძე:

გელა ბატონო!

ჩემზე მოუცლელ კაცს დღეს საქართველოში ვერ ნახავ – ხან რაღაცის თავმჯდომარედ მნიშნავენ, ხან რაღაცის პრეზიდენტად, ხან კიდევ – რაღაც-რაღაცების უფროსად!

არადა, ინტერვიუზე, შენ უარი როგორ გითხრა?!

ამიტომ, იქნებ, ვცადოთ და შენს რა-გინდა-რა კითხვებზე, დროის დაზოგვის მიზნით, მე მოკლედ-მოკლედ გიპასუხებ, თანაც, იმდენად მოკლედ, შეიძლება, გინესის რეკორდების წიგნში მოვხვდეთ!

მკითხველებს ბოდიში მოვუხადოთ და, თუ შევთანხმდით, დავიწყოთ კიდეც!

– ბატონო თამაზ, დასაწყისში გილოცავთ გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენას, წარმატებებს გისურვებთ.

– მადლობა, გელა, რატომ წუხდებოდით...

– ალბათ, გაიგებდით, სამეგრელოში იმდენი ტყვია-წამალი და იარაღი აღმოუჩენიათ, ამბობენ, აფხაზთსა და სამაჩაბლოში თავისუფლად გვეყოფოდაო. როგორ ფიქრობთ, ახლა სააკაშვილი ტერორისტია თუ პრეზიდენტი?

– სააკაშვილი არც ტერორისტია და არც პრეზიდენტი. ის ერთი ზომიერად ლაჩარი კაცია, რომელსაც, ტერორისტობისთვის, გამბედაობა არ ჰყოფნის, პრეზიდენტობისთვის – ჭკუა!

– ამერიკის ელჩის მოადგილე, ბრიჯიტ ბრინკი ამბობს, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა ვიდეო-კასეტები გვაჩვენა, იმის მერე გაოგნებულები ვართ, აღარ ვიცით, რა გავაკეთოთო. ერთ-ორ რჩევას ხომ ვერ მისცემთ?

– ის ამერიკელი ქალბატონი მართალია – ქალს ამდენი „საოხრე“ ერთად და ერთ დღეს, არ უნდა დაანახო!..

– ვანო მერაბიშვილმა ჯერ წიგნები მოითხოვა, საკანში შემომიტანეთო, მაგრამ როცა შეუტანეს, ქოში უკუღმა ყარა, ტელევიზორი მინდაო. როგორ ფიქრობთ, წიგნებს ვერ გაუგო ვერაფერი და ტელევიზორი არჩია?

– საერთოდ, გელა, წიგნის კითხვაც რულს ჰგვრის ადამიანს და ტელევიზორის ცქერაც. როგორც ჩანს, ვანოს, ტელევიზორის ყურებაზე უფრო ეძინება და ეს არჩევანიც აქედან მოდის!..

– იგივე ვანო მერაბიშვილი ამტკიცებს, პირველი პრემიერ-მინისტრი ვარ, რომელიც ციხეში ჩასვეს და ამით ვამაყობ... მე მგონი, ჩვენ არც პრეზიდენტი გვყოლია ციხეში, მიხეილ სააკაშვილმაც რომ იამაყოს რამდენიმე წელი, რა მოხდება?

– რაკი მიშას მეტი საამაყო აქვს ვანოსთან შედარებით, იქნებ ისე მოვაწყოთ, რომ მთელი დანარჩენი ცხოვრება ციხეში ჯდომით იამაყოს!..

– თქვენი აზრით, უნდა გასაჯაროვდეს თუ არა ის ვიდეო-ფირები, სადაც ასახულია ადამიანების წამება და გაუპატიურება? მე პირადად მომხრე ვარ, იქნებ როგორმე ისე აღვშფოთდეთ, რომ ნაცებს კუდით ქვა ვასროლინოთ?

– მე პირადად იმის მომხრე ვარ, ნაცებს კუდი აუწიო და იმ გამოთავისუფლებულ ადგლებში ცოცხი შეტენო!..

– ერთი, რა მაგის პასუხია და ეკა კვესიტაძე გახსოვთ, თქვენთან „პაექრობით“ რომ ისწავლა ჟურნალისტობა? აგერ, 20 ივნისს ღარიბაშვილმა რომ დაპატიჟა სამინისტროში წამებისა და გაუპატიურების ამსახველი კადრები უნდა გაჩვენოთო, გადაირია დავით „პაჭანიკთან“ ერთად, რას ჰქვია, ჩვენი ცხოვრების ამსახველ კადრებს გვაჩვენებთ, სახეები მაინც არ უნდა დაგვიფაროთო? იქნებ თქვენ მაინც ამიხსნათ, რატომ ვუხდით ჩვენი ჯიბიდან ამ ავაზაკებს ფულს, რატომ ვამუშავებთ ე.წ. სახალხო ტელევიზიაში?

– ამ შემთხვევაში ეკა მართალია: ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს კი მინდა ვურჩიო, როცა ქალი გაუპატიურების საცქერლად მიგყავს, თავზე კაბის კალთა მაინც უნდა წააფარო!..

– სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, დრონი მეფობენ, არა მეფენი... რატომ ვერ გაიგეს ამ ჩემისებმა ამ ინფორმაციის სიდიადე?

– იმ ჩემისებმა რომ ვერ გაიგეს, ეს, – არაფერი. მე ამ ჩემის გადანგრეულების მიკვირს!..

– დღეს უკვე ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა აიკრძალოს საქართველოში, როგორც დამნაშავე ორგანიზაცია, ეთანხმებით ამ მოთხოვნას?

– სულ აკრძალვას, ჯობია, ვათქმევინოთ სიტყვა „რვა“! – მერე ჩვენ ვუთხრათ: ტრა... ში ქვა!

– იმასაც ამბობენ, რომ უნდა ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არა მხოლოდ „ნაცხროვისგან“ თავის დაღწევის მიზნით, არამედ უმრავლესობაში თავშეფარებული „ბალასტის“ მოშორების მიზნითაც.

– „ბალასტის“ მოშორების შემდეგ, პარლამენტში, უმრავლესობა სექსუალურ უმცირესობაზე ნაკლები დარჩება!..

– „რესპუბლიკელები“, რომლებიც ილია ჭავჭავაძეს არ ცნობენ, ჯიბრზე დგანან, გინდათ თუ არა, ნაცების გადარჩენა ქართული დემოკრატიის გამარჯვება იქნებაო. ხომ ვერ მეტყვით, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე?

– რაკი ესენი ვეღარც ილია ჭავჭავაძეს ცნობენ და ვეღარც აკაკი წერეთელს, ალბათ, ეს ანდაზა მაინც უნდა ვასწავლოთ: აქეთ ფიცარი, იქით ფიცარი, ისე მოგკალი ვეღარ მიცანი!...

– რა უნდა ქნას ნეტა ბიძინა ივანიშვილმა, როგორ უნდა მოიშოროს ამდენი ბანძი მოღალატე?

– რაც ყველაზე მეტი აქვს, იმით – ე.ი. ფულით!

– რა ხდება მწერალთა აკადემიაში, დაიძრა საქმე თუ ყრილობის ჩატარებას ელოდებით?

– ყრილობის ჩატარებას არა, მდივნების ჩამოტარებას (ბადრაგის თანხლებით!) ველოდებით!..

გელა ზედელაშვილი

გაზეთი „ქრონიკა“, №25

მ ი მ ა რ თ ვ ა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმიდესსა და უნეტარესს ილია მეორეს

საქართველოს სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს.

თქვენო უწმიდესობავ, ძვირფასო პატრიარქო!

პატივცემულო ბატონო პრემიერო!

ამ წერილით მოგმართავთ ჩვენი ქვეყნისთვის მეტად რთულ ვითარებაში, სრული გლობალიზაციის პერიოდში, მაშინ, როდესაც თითქმის მთლიანად დარღვეულია ერის ისტორიული საარსებო სივრცე, განსაკუთრებით კი ქართული სოფლის ტრადიციული სტრუქტურა, მისი სამეურნეო და საყოფაცხოვრებო წეს-რიგი... მოსახლეობის 90 პროცენტი აყრილია ძირძველი საცხოვრისიდან და ეს პროცესი კვლავაც გრძელდება.

ეს ისტორიული კუთხეები ქმნიდნენ ერის სულიერ და მატერიალურ საგანძურს, აქ გროვდებოდა ის სასიცოცხლო ენერგია, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ასაზრდოებდა ქვეყანას. ქრისტეს უადრესი ტაძრებიც ამ მწვერვალებზე აღმართულა (გერგეტზე, ლომისზე, სანეზე, ცროლზე, ლაშარზე...), აქედან მოემართებოდა „უხორცო“ მეომართა ლაშქარი მამულის დასაცავად...

წინა საუკუნის ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერ გადაჭრა მთიანეთის პრობლემა; სამწუხაროდ, ამ თვალსაზრისით ნათელი პოზიცია არც დღეს ჩანს გამოკვეთილი.

ჩვენ გთავაზობთ ამ ისტორიულ კუთხეთა „კულტურულ-ეკონომიკური ხსნის სათემო-სამონასტრო პროექტს“ – როგორც იდეას დიდი კრიზისის დასაძლევად.

სრული შეგნებით ვაცხადებთ: თუ ჩვენ ისტორიულ კუთხეებს (მონაპირე სასაზღვრო თემებს) ვერ აღვადგენთ და ვერ შევაბრუნებთ იქ მატერიალურ და სულიერ რესურსებს შესაბამისი კულტურულ-ეკონომიკური პროგრამების მეოხებით, ერთობლივი გადაწყვეტილებებით სახელმწიფოსა და ეკლესიის მიერ – ყოველი ცდა ქვეყნის აღორძინებისა ამაო იქნება!

„კულტურულ-ეკონომიკური ხსნის სათემო-სამონასტრო პროექტის“ განხორციელება, ჩვენი წარმოდგენით, ხევსურეთიდან უნდა დავიწყოთ, ვინაიდან აქ უკიდურესად საგანგაშო ვითარებაა – სრული დემოგრაფიული და სოციალური კოლაფსი...

ისევე, როგორც ხალხური დოსტაქრები აკეთებდნენ „თავის ტრეპანაციას“ სწრაფად და ეფექტურად და შველოდნენ განწირულ ავადმყოფს, ასეთივე სწრაფი და ეფექტური უნდა იყოს „შოკური თერაპია“ სახელმწიფოს მხრიდან ხევსურეთისთვის (და საბედისწერო ზღვარზე მდგარი საქართველოს ყოველი კუთხისთვის).

პროგრამა თავისი არსით (ერთობლივი სათემო-სამონასტრო-სამეურნეო სისტემებით, „ტრადიციათა ცოდნის სახლებით“, ლიცეუმით, საზაფხულო სამრევლო სკოლებით, ტურისტული ბლოკით და კუთხეთა რეაბილიტაციის ფონდით...) მოიცავს როგორც სახელმწიფოს, ასევე ყოველი თემის ინტერესს...

მოდელის „სათემო-სამონასტრო“ არსი გულისხმობს ქრისტიანული ენერგეტიკის „გადანაწილებას“ პერიფერიებში და ისტორიული სივრცის ზნეობრივ გაჯანსაღებას – რაც, ჩვენი აზრით, პროექტის არსებითი ღირსებაა.

გლობალური „ექსპანსიების“ მოგერიება „აპოკალიფსურ დროში“ მხოლოდ ტაძართა, ტრადიციათა და ისტორიულ თემთა ერთობლივი სინერგიით შეიძლება. ეს არის ჩვენი პროექტის ამოცანაც.

ყოველი საქმე მაინც ფინანსური „ჩარევით“ იწყება; ამიტომაც ჩვენი მოდელის მთავარი ღერძი „სათემო აღორძინების ფონდის“ დაფუძნება გახლავთ...

ჩვენ მიერ ნავარაუდევი თანხა არ აღემატება „ერთი ხიდის საფასურს“, მაგრამ ამ ფინანსური მხარდაჭერით ჩვენ შევძლებთ იმ უნიკალურ კუთხეთა აღდგენას, სადაც დიდებულ ტაძართა, ნამოსახლართა, ციხე-კოშკთა პანთეონი და ერის საკრალურ ცოდნათა საგანძურია დაფარული.

დასასრულ, კიდევ ერთხელ ვიტყვით, რომ ამ პროექტს ვქმნით საგანგებო ვითარებისთვის – მხოლოდ უწმიდესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის კურთხევისა და პრემიერ-მინისტრის, ბატონ ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერის იმედით.

ძვირფასო პატრიარქო!

დიდად პატივცემულო პრემიერ-მინისტრო!

ამ პროექტის აღსრულება მხოლოდ თქვენს მტკიცე ნებას და ერთობლივ გადაწყვეტილებებს შეუძლია! თუ ჩვენს კუთხეებს გადარჩენა უწერია, განგება ინებებს ამ პროგრამის აღსრულებას.

უღრმესი პატივისცემითა და იმედით,

არაგვის ხეობის მთიანეთის თემთა კავშირის, საგვარეულო კავშირის,

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის კომისიის სახელით:

კობა არაბული
ავთანდილ არაბული
ლევან ფრუიძე
ვალერიან ითონიშვილი
გიორგი წიკლაური
ნოდარ არდოტელი

2013 წ. ივნისი

მწერალთა ეროვნული აკადემია ეროვნული თანხმობის ავანგარდში

„უცნაურია ადამიანის ბუნება, იცის რა არის კარგი, მაგრამ მაინც ცუდს სჩადის“

სოკრატე

დიდებულად უთქვამთ: ლიტერატურა ყველაზე ძვირფასი მონაპოვარია, რაც კაცობრიობას საკუთარ რაობაში გასარკვევად შეუქმნიაო. ჭეშმარიტების უარყოფასა და ნამდვილრაობის მიჩქმალვაში გაწაფული საკაშვილი საზოგადოებას შთააგონებდა, რომ ყველაფერი იწყებოდა 2003 წლის ნოემბრიდან, როგორც აღმშენებლობა ჩვენი ქვეყნისა, ისე კულტურა, მასთან მწერლობა და ა. შ. ასე ჩაეყარა საფუძველი სრულიად საქართველოს სააკაშვილისტთა მოძრაობას – „ფასადური ყველაფრიზმი“, რომლის აღორძინებას ქართული მწერლობისა და ქართველი მწერლების დაკნინება–დაჩუმებით დაიწყო. დაჩქარებული, დამკვრელური წესით შექმნეს და გამოზარდეს სიცრუით, სიბილწითა და უქართველჯიშობით გატიკინებული მწერლები. დედებსა და დებზე ვნებადაგეშილი კალმოსნები.

დაქროდა სახურავსა თუ სახურავსქვემოთ პრეზიდენტი საქართველოისა და აჩხაკუნებდა მწერალთა კავშირიდან მის მარაქაში გადავანებულ მწერალთაგან ასხმულ კრიალოსანს. ღნაოდნენ, კრუსუნებდნენ, კრუტუნებდნენ და ღრუტუნებდნენ „გიჟვრაცუა მაღალის“ ხელის ჭუჭყისა და ოფლისგან გაზინთულ–დალაგვებული მწერლუკები. ნამდვილმწერლებსაც მოუნდომა დათრევა „მაღალმა“, მაგრამ, როგორც იტყვიან: დახვდა ქვა და სალი. გონებითა და ღირსებით გალავანშემოვლებული წალკოტი კულტურისა – აუღებელი და შეუვალი შეიქმნა არჯალთათვის. ვერ წაბილწეს ბალანგართა სავანე სულისა, რომელიც კეთილთა გასახარად გახდა საძირკველი საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიისა, რომლის ხელმძღვანელობამ, ერთსულოვნად არჩეული პრეზიდენტის ბატონ თამაზ წივწივაძის ხელმძღვანელობით, პირველმა გადადგა ნაბიჯი ეროვნული თანხმობისკენ და არა კოჰაბიტაციისკენ. თანხმობა, უპირველეს ყოვლისა, გამარადისებულ კონფრონტაციის ჩახშობასთან ერთად, გახლავთ შეცდომების აღიარება, დანაშაულის საჯაროდ მონანიება და შეთანხმება ერისა და ბერისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხებზე; ხოლო ასე გონუსწოროდ შემოგდებული კოჰაბიტაცია – კარგისა და ცუდის, კეთილისა და ბოროტის, დადებითისა და უარყოფითის ერთურთში აღრევა და აზელვაა. რასაც ათას უბედურებასთან ერთად ახალი ჰიბრიდმწერლებისა თუ კულტურტრეგების: დეისაძეების, ბურჭულაძეების, ლადარიების, ჯგერენაიებისა და მრავალ მისთანათა სისხლუზნეობის აღმოცენება მოჰყვება.

მწერალთა ეროვნული აკადემია ერთადერთი გამოდგა ამ პოლიტიკურ თუ სხვა სახის ძალთა სიმრავლეში, რომელმაც ზუსტად იგუმანა ყველაზე უწინარეს რა სჭირდებოდა მიზანმიმართულად დაყოფილ–დაქუცმაცებულ საზოგადოებას, მასთან მწერლობასა და საერთოდ კულტურას.

ორიოდე სიტყვით ჩვენს გუშინდელ დღესაც შევეხოთ.

ავტოკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებამ და გამძაფრებამ გააძლიერა მუხტი პროტესტისა. გადასაგვარებლად განწირული ქართული საზოგადოება მიხვდა – მისი გადარჩენა გონიერი მმართველობითი სისტემის, მიზანდასახული, კეთილგონიერი ხელმძღვანელობით სათავეში იყო. ეს სურვილი შეკვეთად იქცა, რომლის შესრულება თავზე იდო ქველმა ბიზნესმენმა და მოღვაწემ ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა, ვინაც უდიდესი რისკისა და თავდადების ფასად ტირანია დაამარცხა. ხალხში ფესვგადგმული შიში, თანაც ისეთი, ძველი ქართული ანდაზა რომ უბნობს – მეწისქვილეს რომ ვერ ეტყვი: მეტად მსხვილად მიფქვავ, ცოტა წვრილად დამიფქვიო! – აღმოფხვრა და ქვეყანა ბუნებრივი განვითარების გზაზე დააყენა.

მაქს ვებერი წერს: „პოლიტიკაში ორი მიზნით მოდიან პირველნი – იდეალის განხორციელებისთვის, მეორენი კი პოლიტიკას უყურებენ, როგორც ბიზნესის ერთ–ერთ ფორმას“. ე. ი. გამდიდრების უნიკალურად იოლ საშუალებას. ჩვენს შემთხვევაში რასთანაც გვაქვს საქმე ძნელი გასარკვევი არ უნდა იყოს. საწუხილო წარსულს არ შევეხები, აწმყოში კი საქმე გვაქვს იდეალისთვის მებრძოლ ბიძინა ივანიშვილთან, რომელსაც თავისი პოლიტიკური მიზანმიმართებიდან გამომდინარე, ოპონენტები მუდმივად წამგებიან სიტუაციაში და კუთხეში ჰყავს მიმწყვდეული.

ისე, ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა უწყოდეს, რომ ხალხი მიზანუმტკიცო კოჰაბიტაციას მეტად იჭვნეულად შესცქერის და ამდენი ღვარცოფებისა და ლანქერების შემდგომ სუფთა წყლის დალევა სურს. ხალხური სიბრძნე კი ამის თაობაზე ღაღადებს: თუ გსურს დალიო სუფთა წყალი, მაშინ წყარო, უთუოდ, სათავეში უნდა გაწმინდო! – ყურადსაღები შეგონებაა ღმერთმანი.

ხელისუფლებამ ასევე უმოკლეს დროში უნდა მოახერხოს არა მოჩვენებითი, ფასადური, არამედ ჭეშმარიტი დემოკრატიის დამყარება, სასამართლო ხელისუფლების აბსოლუტური დამოუკიდებლობა, მასმედიის თავისუფლება, საბაზრო ეკონომიკის განვითარება და მიზანმიმართული, ზოგადქართული ცნობიერებით გაჯერებული საგარეო პოლიტიკის გატარება. ყოველივე ამის დასაყრდენი უნდა გახდეს ქართული ეკლესია, ეროვნულ მწერლობასთან ერთად, რომელშიც განივთებულია ენა ქართული და საბოლოოდ შეიკვრება „სამი ღვთაებრივი საუნჯე: მამული, ენა, სარწმუნოება!“ – ლიბომკვრივი ჩვენი მრავალსაუკუნეობრივი ისტორიისა.

თუ არ მეშლება, ერნსტ იუნგერი წერდა: მწერლის ამოცანა სულიერი სამშობლოს შექმნაა. სადაც პოეტები, მწერლები არ არიან იქ სიცარიელე და მერმის ბოროტება ისადგურებსო.

მსგავსი სიცარიელე შექმნეს საკაშვილმა და „ფასადური ყველაფრიზმის“ წევრებმა. ჰიბრიდული წესით გამოიყვანეს „ვეფხისტყაოსნის“, თამარ მეფის, ქართვლის დედის, წინაპართა საფლავების, ზნე–ჩვეულების, ღვთივნაკურთხი ტრადიციების, საკუთარი დედებისა და დაიკოების ვნებანამეტად მგმობელ–მძაგებელი ტელემწერლები. ამ დროს, ნაცვლად იმისა, მწერალთა კავშირის მესვეურთ მაგალითი მიეცათ ამ უგვანობის დაგმობით, კავშირის სხვა წევრებისთვის, დაკავებულნი იყვნენ „ბრეჟნევოლოგიით“, ანუ საკუთარი თავებისთვის პრემიების მიკუთვნება–დარიგებით.

ლაღობდა ყოველივე ამის შემყურე „ფასადური ყველაფრიზმი“, ჩაქრა ნათელი და დაისადგურა წყვდიადმა. ღვარცოფობდნენ, სისხლაობდნენ, იპურჭყებოდნენ, რია–რიობდნენ ეშმაკის ნაშიერნი და ვინ იცის, როგორ დასრულდებოდა ყოველივე, რომ არა ქველი ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“.

დასასრულ, კიდევ ერთხელ ვუხდით დიდ მადლობას მწერალთა ეროვნულ აკადემიას, მის პრეზიდენტს, რომ მრავალ სამომავლოდ საიმედო საქმესთან ერთად გადადგეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი ეროვნული თანხმობის მისაღწევად!

ღირსეულთა მამულიშვილური თანხმობა გადაარჩენს საქართველოს!

პატივისცემით,
ლაშა გვასალია,
საქართველოს მწერალთა
კავშირის წევრი

არა არს უფლის კანონზე მაღლა მდგომი კანონი და სამართალი!

პირველ რიგში,„ლიტერატურულ საქართველოსა“ და გემოვნებიან ქართველ მკითხველს მინდა მოვულოცო გაზეთის დაბრუნება და აღდგენა. მწამს, „სიტყვა კაზმული“, რომელიც ამ დახვეწილი ქართულით მოსაუბრე გაზეთიდან ესმოდა მკითხველს, ქართული საზოგადოებისათვის უფლის სიტყვის, ქართული აზროვნების დაბრუნებაც იქნება! მჯერა, რომ თუ „ლიტერატურული საქართველოს“ გამოცემა აღდგა – ჩემი საქართველოს „ფერფლისგან აღდგომის“ დროც ძალიან მალე მოვა. თითო-ოროლა სხვა მართალ გაზეთთან ერთად, „ლიტერატურული საქართველო“ ერთ-ერთი ის გაზეთია, რომელიც ერის საბოლოო გამოღვიძებასა და მის სულიერ აღზევებასთან ერთად, ლაზარესავით აღადგენს და ფეხზე წამოაყენებს დამცრობილ ქართულ სულსაც. კიდევ ერთხელ ვულოცავ „ლიტერატურული საქართველოს“ მთელ სარედაქციო კოლექტივს სამართლიანობის აღდგენას!

ქვეყნიერებაზე ჯერ არ შექმნილა იმაზე დიდი სამართალი და კანონი, ვიდრე უფლის სამართალია! უფლის სამართლის წინააღმდეგ წასული ნებისმიერი არსებისა თუ ხელისუფალის ბედი კი ყოველთვის ღვთის სასჯელითა და მისი არსებობის მოშთობით სრულდებოდა! როდესაც ქვეყანაში ქართული ეკლესიისა და ქართული მწერლობის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო კამპანია გაიშალა – ესეც უფლის კანონების წინააღმდეგ წასვლა იყო. „პირველად იყო სიტყვაო“, – გვამცნობს ბიბლია და ეს სიტყვაა თავად უფალი. ქართული სიტყვა კი, რომელიც, ფუძე ენად გასხივოსნებული, ასომთავრული ანბანის სახით გამოისახება ცის კაბადონზე – ასიათასჯერ უფლის სიტყვაა! ამიტომ, სწორედაც, უფლის წინააღმდეგ წასვლა იყო ქართულ მწერლობასთან – „ვეფხისტყაოსანთან“, ჰაგიოგრაფიასთან, ქართველ კლასიკოსებთან და, პირველ რიგში, გოგებაშვილის „დედა ენასთან“ გაჩაღებული „რეფორმატორული ომი“ – ვინმე გვეტყვის, დღეს აგრერიგად გაუფასურებულ და დაკნინებულ სხვა ღირებულებებს შორის, ქართულ სიტყვას რაღა ფასი აქვსო?! სწორედაც რომ აქვს, რადგან უფლისმიერ კანონებთან და სამართალთან ერთად, ქართული მწერლობა და ეკლესია ყოველთვის იდგა ერისა და მოდგმის გადარჩენის ავანგარდში, რადგან სულის წარწყმედას, როგორც ბიბლია გვასაწავლის – „ერთი ასოთაგანის წარწყმედა გვიჯობდა“. ამიტომაც შეეცადნენ ღვთის სიტყვის იავარქმნას ათასი ჯურის „ვითომ მწერლებითა და მწერლობით“, ქართველი ერისთვის იმ ერთადერთი არტერიის ამოგლეჯას, რომლის გარეშეც, ბუნებრივია, აღარც საქართველო იქნება და აღარც ქართველი ერი. ასეთია დიდი ხნის წინ პატარა, მართლმადიდებლური, ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველოსთვის დაწერილი „პროგრამა“. აკი ამიტომაც, ამდენი წელია, ასე გააფთრებით ებრძვიან უფალსაც და მის სიტყვასაც – ქართულ მწერლობას. თუმცა, ქალდეველი წინაპრების მიერ ჩადებული გენეტიკური კოდი მაინც თავის გზას იპოვის და მოძალებულ „სუბმწერლობის თავგზაამბნევ ბურუსში“ ძარღვიან ქართულ სიტყვას ყალბი ქართულისგან ერი მაინც გაარჩევს. ასეთია ქართველი კაცის ბუნება – ნაღდი, ალალი და გულიდან წამოსული მართალი სიტყვა ურჩევნია „დემოკრატიულობით შელამაზებულსა და ადამიანის უფლებებით დაცულს“.

უფლისგან შექმნილი ადამიანისა და კაცობრიობის დასჯაც უფალმა ადამიანებისგან მათთვის დადგენილი კანონების რღვევით დაიწყო. სიტყვა „კანონი“ ბერძნულიდან მომდინარეობს და განმარტებას თუ ჩავხედავთ, უცვლელს, ტრადიციულს (კონსერვატიულს), ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა სფეროსა და მოღვაწეობის იმ კანონთა ერთობლიობას ნიშნავს, რომელიც გადახედვას არ ექვემდებარება. „გადახედვა-გადასხვაფერებასა“ და რეფორმას არც უფლის მიერ დადგენილი კანონების შეცვლა ექვემდებარება, მაგრამ ამას, დიდი გულმოდგინეობით, „ქრისტეს ფეხის მკვნეტელები“ მაინც ცდილობენ. ბერძნული ტერმინის – „კანონის“ წარმომავლობას მკვლევარები უკავშირებენ დასავლეთ-სემიტურ სიტყვას „ქანოჰ/კანუ“-ს – ლერწმის აღმნიშვნელ სიტყვას, რომელიც „წინასწრმატყველური ბოძის, სვეტის“ – სიგრძის ეტალონად გამოყენებოდა. „კანონი“ მრავალი მნიშვნელობით იხმარება: ხელოვნებაში ის დადგენილი ნორმებისა და კანონების ერთობლიობაა, მეცნიერებაში – ფუძემდებლური კანონებისა და სამეცნიერო ცოდნის მეთოდებისა და ნორმებისა; მედიცინაში „კანონი“ ავიცენას ყველაზე ცნობილ თხზულებას ჰქვია; ქრისტიანულ სამყაროში, რომელსაც მიეკუთვნება საქართველოცა და მთელი დასავლური სამყაროც – „კანონი“, ანუ „კანონთა სვეტი“ ძველი და ახალი აღთქმის კანონებს გულისხმობს. ისინი ქრისტიანული რწმენის, მორალისა და ზნეობის პირველწყაროს წარმოადგენენ. ქრისტიანულ კონფესიებში „კანონის“ ვიწრო მნიშვნელობებზე აღარ შევჩერდებით. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ კაცობრიობა, ცივილიზაციის საწყის ეტაპზე (როდესაც ადამიანთა მოდგმა ჯოგური პრინციპიდან ცივილიზებული ცხოვრების წესებზე გადავიდა), ადამიანსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად სახელმწიფოებროვად მოაზროვნე ადამიანებმა სწორედ კანონთა სისტემა შემოიღეს. ყველა ქვეყანაში, გავრცელებული რელიგიური მრწამსის მიხედვით, ეროვნულ-რელიგიურ კანონებზე დაფუძნებული კანონთა სისტემა შეიმუშავეს. დედამიწის ყველა კონტინენტზე ქრისტიანულ და მართლმადიდებლურ სამყაროში მაცხოვრის ათ მცნებაზე დაფუძნებული კანონთა სიტემა შეიქმნა. ამ მცნებათაგან უმეტესობაც სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონებში აისახა და მანამ, ვიდრე მსოფლიო „ლიბერალური დემოკრატიის“ საფარველში არ გახვიეს, ცივილიზებული სამყაროს ადამიანთა ზნეობრივი ნორმებიც სრულად იზიარებდა ათი მცნების ზნეობრივ კანონებსა და პრინციპებს. იყო ეს „არა კაც-ჰკლა“, „არა იმრუშო“, „პატივ-ეც მამასა შენსა და დედასა შენსა“, „არავ ცილი-სწამო მოყვასსა შენსა...“ და სხვა. მსოფლიოს ყველა ქვეყნის საზოგადოების წევრი ასეთ საზოგადოებაში დადგენილი ნორმებისა და კანონების მიხედვით ცხოვრობდა. ეს ნორმები კი, როგორც აღვნიშნეთ, ათი მცნების ნორმებზე აღმოცენდა. მრუშობას („არა იმრუშო“) „პროსტიტუცია“ დაერქვა. მის მიმდევარსაც კანონი სჯიდა. ქურდსა და მომპარავს – ქურდი. ამასაც („არა იპარო“) კანონი არეგულირებდა. ადამიანისთვის ღვთით ნაბოძები სიცოცხლის ხელყოფაც („არა კაც-ჰკლა“) კანონის ძალით სასჯელს გულისხმობდა. დანარჩენი ათი მცნებაც სხვადასხვა ფორმით აისახა კანონთა კოდექსში. დღეს კი, როდესაც კონსტიტუციისა და კანონის დაცვაზე მიგვითითებენ, ის უმთავრესი ავიწყდება ყველას, რომ ათ მცენებაზე დიდი კონსტიტუცია და კანონი კაცობრიობას ჯერ არ შეუქმნია!

რა მოხდა და რა შეიცვალა მსოფლიოში ისეთი, რომ გარყვნილებას, მრუშობასა და უზნეობას დღეს „გამოხატვის თავისუფლება“, ასეთი „გამოხატულების დაცვას“ კი – „ადამიანის უფლებების დაცვა“ დაერქვა?! მისი რეალური არსი ხომ არ შეცვლილა?! განა იგივე არ დარჩა, რაც საუკუნეების წინ იყო?! თუ ქურდობისა და კაცის კვლას, მისი შინაარსიდან გამომდინარე, სასჯელი არეგულირებს, „ლიბერალურ თავისუფლებას“, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა გარყვნილება – სათაურიცა და შინაარსიც ვინ და რად გამოუცვალა?! ტერმინი ზნეობაც ხომ დღეს, ფაქტობრივად, ამოღებულია ხმარებიდან?! ამოიღეს მათ, ვისაც მისი შინაარსი დისკომფორტს უქმნიდა. საზოგადოებას მის ახალ დეფინიციას ახვევენ თავს, რათა თავად გაკიცხვის ობიექტად არ იქცენენ. არადა, ყველას კარგად ესმის მისი შინაარსიცა და მნიშვნელობაც. მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ დასავლეთისთვის მიუღებელია „ამგვარი ზნეობირივი კატეგორიების დაკანონება“. დასავლეთში ბევრია მაგალითი, როდესაც ერთსქესიანთა ქორწინებებიცა და ინცესტიც მისი მიმდევარი ეთნიკური ჯგუფის განადგურებას, გენეტიკურ სიმახინჯესა და გადაგვარებას იწვევს. ერთი სახეობის შეჯვარება ცხოველებშიც კი გაუმართლებელია, რადგან ის ჯიშისა და პოპულაციის დამახინჯებას იწვევს. ერთ ხანს, დასავლეთის სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მეცნიერები აპროტესტებდნენ იმ ტრადიციას, რაც ევროპაში საუკუნეებია დამკვიდრდა – ბიძაშვილ-მამიდაშვილებს, ანუ სისხლით ნათესავებს შორის ქორწინებებს და შთამომავლობის ამ გზით გამრავლებას. განსახვავებით ზოგიერთი ეთნოსისგან, საქართველოს ტრადიციაში ამ კუთხითაც განსხვავებული მიდგომა ჩამოყალიბდა. უდიდესი მართლმადიდებლური ტრადიციის ქვეყანაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ ესეც რელიგიურ ნორმისა და კანონების გათვალისწინებით უნდა მომხდარიყო. საქართველო და მისი ეკლესია ყოველთვის ბიბლიის მიერ დადგენილ ათ მცნებას მისდევდა. იოანე ნათლისმცემელი იროდს საკუთარი ძმის ცოლთან – იროდიადასათან ქორწინების გამოც კი ამხელდა. ამ უზნეობის მხილებისთვის მოჰკვეთეს ნათლისმცემელს თავი. გენეტიკური სიმწმინდის თვალსაზრისით, ქონების „ოჯახში დატოვების“ და „სუფთა გენის შენარჩუნების“ მიზნით, რიგ ეთნოსებში მიღებულია ძმის ცოლზე, ბიზაშვილზე და ახლო ნათესავზე დაქორწინება – მაგრამ არა საქართველოში! ამის ნათელი მაგალითია 9 თაობაზე გადასული ნათელმირონობისა და ნათესაობის, როგორც ჩანს, სწორედ ეკლესიური კანონებით დარეგულირებული ტრადიცია. დისონანსი, რომელსაც ქართული საზოგადოებაში ხელოვნურად შემოტანილი „ლიბერასტულ ფასეულობები“ და ბრმად გადმოღებული უცხო კულტურის ტრადიციები ქმნის, შესაძლოა, ევროპულ – ამ მართლაც რეალურ ზოგადსაკაცობრიო ფასეულობებსა (და არა ხელოვნურად შემოტანილ ლიბერასტულს) და ქართულ კულტურას შორის მთავარ წყალგამყოფად იქცეს. მეტიც, არც ადამიანი და არც საზოგადოება არასდროს იღებს ძალად თავსმოხვეულ ახალ კანონებს, თუ, რასაკვირველია, მას ამ საზოგადოების განადგურებისა და „იძულებით მოქცევის“ ხარჯზე არ განახორციელებს ვინმე?! „იძულებით მოქცევას“ კი უკუქმედების რა რეაქცია ჰქონდა ყოველთვის საქართველოში – ამის ნათელი დასტურია საქართველოს ისტორია და ქართველთა განმათავისუფლებელი ბრძოლები. იმედია, დასავლური ქრისტიანული სამყარო და საქართველოში მისი წამომადგენელი „მეგობარი ექსპერტები და მრჩეველები“, ამ კუთხით, საქართველოს „ლიბერასტული ჯვარონობისა“ და „ინკვიზიციის“ მოწყობას არ უპირებენ?! (მკითხველთან ბოდიშს მოვიხდი პარალელისთვის, მაგრამ ე. წ. „ფასეულობებს“ სხვაგვარად ვერ გავმიჯნავდი). დასავლეთის კულტურის შემადგენელი ბევრი ფასეულობა სრულიად მიუღებელია ქართველისთვის, და არა მხოლოდ მისთვის! თუ ქართველი, ტრადიციისამებრ, „სადაც ჩადის იქაურ ქუდს იხურავს“, იქაურ ტრადიციას პატივს სცემს, რატომ არ უნდა მოიქცეს ასევე საქართველოში ჩამოსული უცხოელი?! რატომ უნდა გვიკარნახებდნენ ქცევისა და კულტურის ნორმებს ქვეყნები, რომელთაც იმის მეასედი სულიერი, ისტორიული და კულტურული ცხოვრების გამოცდილება არ აქვს, რაც საქართველოს?! რატომ უნდა გვასწავლიდნენ ეკრანიდან ხელოვნურად „გაცნობადებული პიროვნებები“ იმას, თუ როგორ მოვიქცეთ, ზნეობის რა კრიტერიუმები მივიღოთ და რა არა?! მხოლოდ იმის გამო, რომ ასეთი პიროვნებები, გრანტებისა და თანამდებობების დაკარგვის შიშით, „რასაც ჩასძახებენ – იმას იმეორებენ“?! რატომ „ჩაუწყდათ ენები“ ამ „ლიბერალური გამოხატვის დამცველებს“ მას შემდგ, რაც ევროპის ქვეყნებში ამ ერთსქესიანთა უზნეობის წინააღმადეგ გამართული საპროტესტო აქციების კადრები გავრცელდა?! გამოდის, რომ ასეთი „უფლებების დამცველებიც“ მხოლოდ გარყვნილების, იმ ე. წ. „ევროპული ღირებულებებისა და ფასეულობების“ დამცველებად გვევლინებიან, რომლებსაც თავად ევროპა არ ცნობს და აპორტესტებს?! გამოდის, რომ ეს ზოგი „გრანტიჭამია“ და ზოგიც თავისი „გოიმობა-გაუნათლებლობის დამცველი ცნობადები“ იცავენ არა „ევროპულ ღირებულებას“, არამედ საკუთარ უზნეო მიდრეკილებებს, ან თავისი გაუნათლებლობის სხვისთვის გადაბრალება სურთ! იმავე ლელა გაფრინდაშვილს და სხვა მრავალ „განათლებულს“, რომლებმაც უზნეობის გაპროტესტებას „საზოგადოების გაუნათლებლობა“ უწოდეს, იქნებ სამედიცინო ლიტერატურაში გაერკვიათ, რას ნიშნავს ყოველივე ეს.

ბაია ამაშუკელი

გოეთე, „ფაუსტი“

მეორე ნაწილი. ნაწყვეტი ნიღბების დღესასწაულიდან

სამი ფურია

ალექტო

მაინც მოგინდობთ, ლამაზნი ვართ, სალუქნი თანაც,
მოკრუტუნე და მოალერსე ვართ ფისუნები,
თავს შემოგაჩვევთ მოფერება-მოგლასუნებით
და მერე ნახეთ თქვენს სატრფოზე ენების ფხანა!

გეტყვით: ო, არა, შეხედავ და არ ეთქმის ავი,
მაგრამ ჩუმჩუმად ვისთან აღარ უღლაბუცია,
აედევნება ყველა ყეყეჩს, კოჭლს და ბრუციანს,
თუ მართლა შენი საცოლეა, მოგვეჭრა თავი.

საქმროზე გეტყვით: არ გიწონებთ ასეთ არჩევანს,
ვიღაც ბიჭბუჭებს ამასწინათ, თავის მარაქას,
შენზე ეყბედა, სულ სიბილწე ილაპარაკა! —
გინდაც შერიგდეთ, რაღაც ბზარი მაინც დარჩება.

მეგერა

ეგ თამაშია! თუ შეუღლდნენ, მე მნახეთ მაშინ!
ისეთ ხუშტურებს გავუღვიძებ, წავუწყობ რიგზე,
ბედნიერება დღიდან დღემდე ბალღამად იქცეს!
კაციც და ჟამიც დარ-ავდრების არიან ცვლაში.

არვინ სმენილა, ის იკმაროს, რაც ეპყრას ხელთით,
ამხდარი ნატვრა წამისწამად სხვა ნატვრას აჩენს,
ნეტარებასაც, განცხრომასაც ვერ ჰგუობთ ნაჩვევს,
მზეს განაგდებთ და გაუსაძლის ყინულეთს ელტვით.

სულ ზეპირ ვიცი, რას დავედო, რა რისგან ქმნილა,
ასმოდევსს ვუხმობ, დროზე ჩაყრის მარცვალს
ავბედითს,
ყველა დანარჩენს მე თვითონვე ავუთავდები,
ჩავაქვესკნელებებ კაცთა მოდგმას წყვილად
და წყვილად.

ტისიფონე

მე აქ ენას კი არ ვლესავ,
შხამს და ხანჯალს ვლესავ მათთვის,
ვინც საყვარლის ღალატს სჩადის —
შეეყრება მესამესა.

სიხარულის ყველა წუთი
უნდა ექცეს შხამ-სამსალად.
საცა ვნახავ, დავსჯი ღალატს,
შეწყალება არ ეკუთვნის.

შური ეგოს? — ვკითხე ექოს,
კლდეთა შორის ხმათა მძახავს.
შური ეგოს! — გადმომძახა,
დგას გუგუნი, — შური ეგოს!

ჰეროლდი

ახლა გთხოვთ ყველას, უკან მიდგეთ, მოდიან სხვები,
სხვაგვარ სანახავ-სახიობის მოწმენი ვხდებით.
ქარაგმა გახლავთ, გასაღებიც აგერ აქვეა,
სცადეთ, ამოხსნათ, ვინ ვინ არის, რომელს რა ჰქვია.
მთა მოტაატებს, ხალიჩებით ჭრელად მორთული,
თავი გამოჩანს, წყვილი ეშვი, გრძელი ხორთუმი.
კისერზე ქალი შესჯდომია, ამოდ სასური,
გზას მოანიშნებს პაწაწკინა წკეპლის ცაცუნით.
სხვა კიდევ მაღლით გადმოგვცქერის
ღმრთივ-მშვენიერი,
თვალს ვერ ვუსწორებ, ელვარება დასდის ციერი.
ორნიც გვერდიგვერდ მოჰყვებიან ჯაჭვთა ჟღარუნით,
ერთი — ძრწოლვილი და მეორე — პირმხიარული.
აბა, გვიბრძანეთ თვითეულმა, რა გაქვთ სათქმელი,
წინ წამოდექით, გაგვიმჟღავნეთ თქვენი საქმენი.

შიში

აკვამლებულ ამ ჩირაღდნებს,
დაჭრელებულ საზარ ნიჩვებს,
არ გეგონოთ, თავი ვანდე,
ჯაჭვ-ბორკილი არსად მიშვებს.

დასასრული. დასაწყისი „ლს“ №48

გამაშორეთ მაგათ ხარხარს,
მაგ უამურ ათას ნიღაბს,
ყველა ერთად აიყალყა,
თქვენს ღამეში შემომჩიხა.

მეგობარიც მტერი გახდა,
ვიცნობ, რაგინდ სახე მალოს.
თვალი ვკიდე — ჩუმად გახტა,
სვეს მიმზადებს სავალალოს.

აქეთ — ხრჩოლვა, იქით — ბნელი!
ნეტავ ქვეყნის გარე გამსვა!
ყველა მხრიდან ღალატს ველი,
არჩევანი არ ჩანს არსად.

იმედი

სალამს გიძღვნით, დებო, ყველას,
ვინც გარშემო მიმოღელავს.
დღეს თუ ნიღბის გიდგათ ჯერი,
მაგ საქმესაც ხელი დასხით,
ნიშანს მაძლევს ყველაფერი,
ხვალვე გნახავთ ნიღაბახსნილთ.
ამ საღამურ შუქთა ნაცვლად,
სადაც ჩრდილში მალავთ სახეს,
გველოდება მზეში გასვლა,
დღე დაგვხედავს მოჩახჩახე.
ღელით ღელედ, ველით ველად
ვიხალისებთ უზრუნველად.
სანატრელი სტუმრები ვართ,
ყველგან დავალთ გულნებივრად.
მონდობილნი ვდგავართ აქაც,
სიხარულით მოგცეთ ხელი.
ხომ არსებობს სადმე რაღაც
ყველასაგან სანატრელი.

გონიერება

ის შიშია, ეს — იმედი,
კაცთა მოდგმის მტრები მწარე.
სხვა რა მექნა მაგის მეტი —
ბორკილები გავუყარე.

დავატარებ ცოცხალ კოლოსს,
დაგვივლია გზები სრული,
ვზომავ ქვეყნის თავს და ბოლოს,
დამყავს ზურგზე კოშკშედგმული.

კოშკის თავზე ფართო ფრთენი
გაუშლია ასულს ვისმე,
მიმობრუნავს შუქთა მფენი,
იყურება ყველა მხრისკენ.

ნიმბი ადგას — ცის გლორია,
ოთხსავ კუთხეს ნათელს ავლებს.
ქალღმერთს ხედავთ, ვიქტორიას,
სადიადო ღვაწლთა მფარველს,

ზოილო-თერსიტე

ჰუ-ჰუ, კარგია, ვერ გამასწარით,
გადმოგერევით სიტყვით მწარ-მწარით.
ჯერ მაგას უნდა შევეფარფატო,
თქვენს ვიქტორიას, ამაყ ქალბატონს.
ფრთა გაუშლია მაღლა შემომდგარს,
მართლა ჰგონია, არწივს შემოჰგავს!
გარშემო რასაც მიაპყრობს მზერას,
ხალხიც, ქვეყანაც თავისად სჯერა.
თუ მოხდეს, სრულყოს რამე საქები,
თავს დავატყდები ჩემი ბაქებით.
ზედა და ქვედა, მრუდე და სწორი
თუ აილუფხა ერთმანეთს შორის,
მაშინ ვხალისობ ქვეყნის ყურებით,
ბედს მხოლოდ მაშინ არ ვემდურები.

ჰეროლდი

მე შენ გიჩვენებ, შე ძაღლთაპირო!
ამ საღვთო კვერთხქვეშ ამიჭრელდები!
ვერ გაგივიდეს, რაც დააპირო,
დაგეკრუნჩხება ზურგიც, ფერდებიც!

მაგრამ რა ხდება... სასწაულია!
ეგ ორფა ჯუჯა გაქრა სრულიად,
კვერცხად ქცეული ფეხებთან გორავს...
ჭახ! — და თვალდათვალ გაიპო ორად.
ორნი გამოძვრნენ იმავწამურად,
აქეთ — ასპიტი, იქით — ღამურა.
პირველი გასხლტა, მონახა მტვერი.
მეორე მიფრენს, მონახა ჭერი.
კვლავ შეირწყმიან ტყუპად ტყუპები.
მე მაგათ თამაშს ვერ შევუყვები.

ჩოჩქოლი

ჩვენც ვიცეკვოთ, ყველა ცეკვავს —
აქ არ ვიყო ახლა ნეტავ —
გესმის? გესმის? რაღაც ჩქროლავს —
მოჩვენებამ ჩამიქროლა —
ყურთან რაღაც გაშრიალდა —
ფეხქვეშ რაღაც გასრიალდა —
ჯერეთ ისევ მრთელები ვართ —
ჭირის ოფლით სველები ვართ —
ჩაგვეშალა ეს საღამო —
ორსახელა ჯუჯას გამო —

ჰეროლდი

რაც ჰეროლდად დამაწესეს,
დამაკისრეს ტვირთი ესე,
ნირუცვლელი ვდგავარ მტკიცედ,
ლხინს და ზეიმს რიგი მივცე,
არ აგვებნეს გზა და კვალი,
არ მიაკლდეს წვეთი ხალისს.
დღეს კი, ვშიშობ, წახდა რიგი,
მოჩვენებებს ვხედავ ირგვლივ,
მთელი სივრცე გადალიბრეს,
დასი მოფრენს, დასი მიფრენს.
რა ვქნა, რითი გისაშველოთ,
გამიცუდდი, წესო ძველო,
სიტყვა დავსხა დალაგებით,
გავხსნა ძნელი ქარაგმები.
სად რა თეთრი, სად რა შავი —
არ მითანხმებს აღარავინ
ჩაგკითხავთ და მიპასუხეთ,
თქვენ იცოდეთ ეგებ უკეთ.
აგერ ეტლი ოთხი ცხენით —
რას გვანიშნებს, ამიხსენით!
შუა ხალხში ისე მოქრის,
ერთს არავის შეხებია,
სხივებს მიყრის, სხივებს მოყრის,
ვარსკვლავს აპნევს შხეფებიანს.
გეგონება ჯადოსნური
ფანრის შუქზე გადმოსული.
ჩვენკენ მოდის გრგვივა-ჭექით,
მოვეცალოთ!

ყმაწვილი მეეტლევ

აბა, სდექით!
სდექით, ჩემო ოთხო რაშო,
მანდეთ ნუღარ მითამაშობთ!
მოიკეცეთ ფრთები ლაღი,
დამორჩილდით ლაგამ-აღვირს.
რა დარბაზი გრძნეულ გზაზე!
ან რა ხალხი მოდარბაზე!
გაგვიცეტდნენ მზირველები,
ვეოც-ვესაკვირველებით.
ჰეროლდს მართებს სიტყვის გება,
ვდგავართ ცოცხალ ქარაგმებად.
რა შემკრთალი მიგვემალე!
აღგვწერე და აგვხსენ მალე!

გერმანულიდან თარგმნა
დავით წერედიანმა

ჩუნურად, ჩუნურად, ჩუნურად!



გოგი ხარაბაძე

ოთარ ჭილაძე თავად ქმნიდა დროს! დრო იქმნებოდა ლექსად ...

დრო იქმნებოდა პროზად ... დრო იქმნებოდა ცხოვრებად!

ლექსი და პროზა მარადიულია და დარჩება! და თუ ოთარ ჭილაძე მოგვენატრება, მისი პოვნა მოგვინდება, ისევ მის ლექსებსა და რომანებს უნდა მივაკითხოთ ... მასთან შეხვედრა მხოლოდ იქ არის შესაძლებელი !

დრო კი რომელშიც ის ცხოვრობდა მასთან ერთად გაქრა და არა მგონია ვინმემ შეძლოს მისი „უსახელურო“ კარის შეღება.

იმ დროში უამრავი ადამიანი, ვნება, გამარჯვება, ტკივილი, „თაფლი და შხამია“.

ველოდები იმ დროს

ვისკონტი იგონებს, დიკ ბოგარტს შევხვდი და ვუთხარი: „სიკვდილი ვენეციაში“ მინდა გადავიღო, თომას მანის მიხედვით, ბევრჯერ წაიკითხე ეს რომანი, მთავარი როლი მინდა შენ შეასრულო-მეთქი!

რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შევხვდი და ვკითხე:

„წაიკითხე?“

„დიახ“, – მი პასუხა.

„რამდენჯერ?“

„დაახლოებით ოცდაათჯერ!“

„მე ხომ გითხარი, ბევრჯერ წაიკითხე-მეთქი?!“

ეს ამბავი იმიტომ მომაგონდა, რომ შენი და უკვე ჩვენი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“ დაახლოებით ამდენჯერვე წავიკითხე, როდესაც ჩემმა საყვარელმა რეჟისორმა მუმუშა გაწერელიამ ქაიხოსროსა და ალექსანდრეს, ე.ი. ორი როლის თამაში შემომთავაზა, შენი რომანის მიხედვით დასადგმელ სპექტაკლში, რუსთაველის თეატრში. მიზეზთა და მიზეზითა გამო, ეს პროექტი აღარ განხორციელდა. არ მოგატყუებ, დანარჩენი შენი რომანები ამდენჯერ არა მაქვს წაკითხული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნაკლებად მიყვარს, თუმცა „ველუმს“ რაც შეეხება... მაგრამ, ამაზე შემდეგ...

ახლა, რაც პოეზიას შეეხება შენსას!

ამდენი წელია გიმალავდი და ახლა გაგიტყდები!

რომ იცოდე, რამდენი არაჩვეულებრივი ქალი მყავს მოხიბლული, გაბრუებული და, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, დაბმული შენი ლექსებით!

სულ ახლახან კი უფრო დიდ წარმატებას მივაღწიე!

ერთი ძალიან ლამაზი ქალბატონის სანახავად მივედი. ცოტა შეუძლოდ იყო და ლოგინზე წამოწოლილი დამხვდა. მოკითხვისა და მცირე საუბრის შემდეგ მთხოვა:

– ვიცი, ასე ლექსების კითხვა არ გიყვარს, მაგრამ ძალიან გთხოვ, რაიმე წამიკითხეო... უცბად, სხვა ვერაფერი გავიხსენე და შენი ლექსი წავუკითხე, რომელიც ასე მთავრდება:

„ნარბენი კაცის გულივით ფეთქავს საათიც, ქუჩაც, ფოთოლიც, წვეთიც, შენ ხარ, აქამდე რაც უნდა მეთქვა, შენ ხარ ოთახში ჰაერზე მეტი!“

შენი არ იყოს, ისიც არაჩვეულებრივი მსმენელი აღმოჩნდა და გაითიშა. აბა! გული წაუვიდა!

P. S.-ის P.S.ი

კინაღამ დამავიწყდა პოემის ამბავი.

დაახლოებით ოცდახუთი წლის წინ ერთადერთი რადიო იყო საქართველოში. მივედი „სინათლის წელიწადის“ ჩასაწერად.

დავიწყე.

„გამოჩნდა მიწა, ჩუმი და სველი, ფოთოლზე ფოთლის დაცურდა ლანდი...“ გავცდი შუატანს. გამაჩერეს.

რა მოხდა-მეთქი?!

ოცი წუთი გავიდა, ჩვენ ბადე გვაქვს, მეტს ვერ მივცემთო. ამოვიიღლიავე შენი წიგნი და წამოვედი.

ამდენი ხანი გავიდა, ამდენი რამე მოხდა, დაინგრა საბჭოთა კავშირი, ამდენი რადიოსადგური აღმოცენდა ჩვენს სამშობლოში, მე კი მორჩილად ველოდები, რომ დამიძახებს ვინმე და შემომთავაზებს, დაიმსხვრა რადიობადეები, მობრძანდით, გააგრძელეთ ჩაწერაო, მაგრამ ამაოდ...

LONDON

ჯონ დრამონტს რა დამავიწყებს!

მაღალ, წარმოსადეგ, სიმპათიურ კაცს. ედინბურგის ფესტივალის დირექტორს.

თბილისში გავიცანი, სპექტაკლის შემდეგ, სუფრასთან. ჯონჯოლზე გაგიჟდა. მახსოვს, ედინბურგში წაუღეს ჩვენებმა, ნახევარკილოიანი „ბანკით“. მართლა კარგი ტიპი იყო, განათლებული, ყურადღებიანი. ფესტივალი რომ დამთავრდა, რკინიგზის სადგურზე გამოგვაცილა, მადლობა გადაგვიხადა. მოგვიბოდიშა: ჩვენთან ცუდი მატარებლებია, არ გეწყინოთო. ერთი კი ვიფიქრე, „თბილისი – როსტოვის“ მატარებელზე ზანტი, რა უნდა იყოს-მეთქი და შევედი, „კუპეს“ რომ ვეძახით, იმაში. ყველა ორადგილიანი აღმოჩნდა – ფართო ლოგინებით, ქათქათა თეთრეულით.

გამცილებელი, ჩვენებურად „პრავადნიკი“, უნიფორმაში გამოწყობილი, სსრკს მარშალი გეგონებოდა. „ჩაის მიირთმევთ, ყავას თუ რაიმე ალკოჰოლური მოგართვათო?“ შოტლანდიაში, და ისედაც, ჩაის ვისკი სჯობია, მაგრამ იმ უბადრუკი დოლარებიდან, ჩვენ რომ დაგვირიგეს, არაფერი გვქონდა შემორჩენილი...

თითქოს ჩვენს გულში იჯდა გამცილებელიო...

Free, free -ო...

აბა, თუ მუქთია, მოიტა ძმაო, სკოჩიმეთქი! დავკარით!

დავიძინეთ!

ნანასავით ირწეოდა მატარებელი. ტკბილ ძილში ვიყავით, როცა კარზე ფრთხილი კაკუნი გავიგონეთ:

London...

ჩაიჩურჩულა გამცილებელმა და ატყდა ერთი ალიაქოთი!

საბჭოთა ჯარისკაცს რომ შეშურდებოდა, ისეთი სისწრაფით დავიწყეთ ჩაცმა და ასე პირდაუბანლები, შეუკრავი თასმების ფართხაფურთხით გამოვვარდით დერეფანში. აბა, იქ დაგვხვდა თუ დაგვხვდა! რესპუბლიკის სახალხო და დამსახურებული არტისტები, ზურგზე ბარგი – ბარხანა მოკიდებულნი, ერთმანეთს ასწრებდნენ ტამბურში. ასე – „ციგნების ტაბორივით“ ჩავქანდით მატარებლიდან.

დილის ექვს საათს აჩვენებდა სადგურის საათი.

გარეთ სრული წესრიგი და სიმშვიდე, თითქმის სიცარიელე იყო. ორმოცდათხუთმეტი ქართველისაგან შემდგარი ლავა უცებ მოედო იქაურობას და ყველაფერი აადუღა ჩემოდნებით, ფუთებით, ბოხჩებით. არაფერი განსაკუთრებული. ქართველებთან ერთად ერთხელ მაინც ხომ გიმგზავრიათ, თუგინდ „თბილისი – მოსკოვის“ ანდა „მოსკოვი – თბილისის“ მატარებლით?!

არის შეძახილები:

„ხო არაფერი დაგრჩა?“

„ნამდვილად ლონდონია?“

„რა ვიცი, შორაპანსაც გავს!“

„ჩქარა, დეპოში არ გადააყენონ მატარებელი!“

„ბიჭო, ჩვენებს არ ჩამორჩე!“

„ყველანი ვართ?“

„რობიკო სად არის?“ მზრუნველად იკითხა ერთმა!

სითბოთი აღსავსე ამ შეკითხვას რამდენიმე წამში ქალის განწირული კივილი მოჰყვა:

„ბავშვები, ბავშვები სად არიან?“

ბავშვებში უფლისწულები – ედუარდი და რიჩარდი, უფრო სწორად, მათი როლების შემსრულებელი მცირეწლოვანი „არტისტები“– მამუკა წიკლაური და მერაბ ნინიძე იგულისხმებოდნენ.

მომკივანი ქალი კი, გასტროლების დროს მათი „აპეკუნი“, ჩვენი თეატრის „პიანისტკა“ ლეილა სიყმაშვილი გახლდათ, რომელსაც მხოლოდ წამით დავიწყებოდა დედური მოვალეობები და ახლა ლოყებდახოკილი, დახმარებას ითხოვდა. ამ დროს უფლისწულებს მშვიდად ეძინათ „ედინბურგ – ლონდონის“ არაკომფორტულ, ყავისა და ბისკვიტის სუნით გაჟღენთილ მატარებელში და თავიანთი ნამდვილი დედები ესიზმრებოდათ.

იხუვლა ორმოცდათხუთმეტკაციანმა ლავამ და სავარაუდოდ იმ კუპეში შევარდა, სადაც ბავშვები ეგულებოდა.

ნეტა გენახათ, უმნეო, გაოგნებული თვალები ბავშვებისა, რომლებიც სავსენი იყვნენ უდიდესი შთაბეჭდილებებით. ეხუმრებით, ისტორიული „პრინსესსტრიტის“ ქუჩის თეატრებს, შოტლანდიურ „იუბკიან“ ორკესტრებს, საკუთარ თავბრუდამხვევ წარმატებებს?

იქ დაფრინავდა მათი გონება და წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩაცვივდებოდნენ, ახალგაღვიძებულებს ორმოცდათხუთმეტი ადამიანი ერთდროულად რომ დაუწყებდა ჩაცმას. ამ მოვარდნილი ენერგიისაგან ბავშვები ისე აღეგზნენ, რომ უმცროსს ნერვიულობისაგან გულიც კი აერია.

ედუარდი და რიჩარდი როგორც იქნა გადაარჩინეს დეპოში მოხვედრას, რაც ყველა ქართველისათვის ტრაგედიის ტოლფასი იქნებოდა და ნახევრადშიშვლები სადგურში ჩაიყვანეს.

იყუჩა, დამშვიდდა ლავა!

ერთი კი მოვკარი თვალი, მატარებლის ფანჯრებიდან მომზირალი, გაოგნებული გამცილებლების გაფართოებულ თვალებს, გავიფიქრე ჩემთვის: რა იყო, რა, ქართველები არ გინახავთ-მეთქი? – მაგრამ მაშინ მთავარი ქალბატონი ელიზაბეტი იყო, რომელმაც ედინბურგში გაგვაცილა ათი დღის წინათ და დაგვპირდა, „უკანა გზაზე მე დაგხვდებით და თქვენს აეროპორტამდე გადაყვანაზე ვიზრუნებო.“

მაგრამ სად არის შენი ელიზაბეტი?

სადა ხარ, ელიზაბეტ! ლიზი! ლაიზა! ლიზა!

ვიღუპებით. თვითმფრინავზე თუ დაგვაგვიანდა, კვირაში ერთხელ დაფრინავს „ლონდონი – მოსკოვი“, ჩვენ აქ ვერ დავრჩებით! არა, რა შუაშია, ლონდონი კი მოგვწონს, მაგრამ ფული, ფული აღარ გვაქვს, არც თბილისიდან წამოღებული სანოვაგე შემოგვრჩა. ასე კი არ არის, ჩვენ ყველაფერი გათვლილი გვაქვს. ახლაც ორ კვირაზე ვიყავით გახაზირებულები. მერე, ყველაზე მთავარი – „კაგებე“. ჩვენ, ჩვენ არ დაგვბრალდეს ეს დაგვიანება, თორემ შეიძლება... რა ვიცი, ყველაფერი შეიძლება...

არა, არ ჩანს მაინც ელიზაბეტი!

ბედისწერას შეგუებული ლავა ნელნელა კარგავს თავის „დუღილის ტემპერატურას“, მშვიდდება, წყნარდება; ზოგი ჩემოდანზე ჯდება, ზოგი კარავს სცემს, ზოგი „კომუნისტში“ გახვეული, შემორჩენილი ფერდაკარგული ძეხვის გადამუშავებას იწყებს. აქეთ ბიჭები ეწევიან „კოსმოსს“, იქით, ცოტა ბობოლა ტიპები თბილისში ნაყიდ „მალბოროს“ ვაბოლებთ. ქალები რიგრიგობით, კანტიკუნტად შედიან ტუალეტში. ერთი სიტყვით, მოვერგეთ სიტუაციას.

დრო კი უმოწყალოდ გარბის. შვიდი, რვა და... აგერ უკვე ცხრა საათი სრულდება. როცა ისე გავუშინაურდით ლონდონის სადგურს, როგორც ხაშურისას, სადგურის კარებში ქალბატონი ელიზაბეტი გამოჩნდა. ზომაზე უფრო მაღალი, ინგლისელი ქალბატონი, მშვიდი ნაბიჯით მობაკუნობდა ხის დაფით, რომელიც კეკლუცად ეჭირა ხელში. ზედ კი ეწერა:

Rustaveli Company

ეს ორი სიტყვა ნიშნავს:

„თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ დრამატულ თეატრს.“

ვაი, შე უბედურო, ელიზაბეტ! რომ იცოდე, რა გელის ამ კომპანიისაგან? მაგრამ, დახეთ ელიზაბეტს!

აქეთ არ გადმოვიდა შეტევაზე?!

აქ რა გინდათ, ვის დაკარგვიხართო და...

ეცა ორმოცდათხუთმეტკაციანი უძილო, მშიერი და პირდაუბენელი არტისტი, გამნათებელი და სცენის მუშა...

„თქვენ ამ მატარებლით არ ჩამობრძანდითო?“ – ერთი კი იკითხა ცოტა ნირწამხდარმა და მატარებელზე მიგვითითა.

მოვიხედეთ და რას მოიხედავ! დგას პატიოსნად ეს ჩვენი ჩამომყვანი მატარებელი, დგას და ქშენს. ყავის და ბისკვიტის გარდა, ახლა ლიმონიანი ჩაის, მგონი შიგ ცოტა კონიაკჩამატებულის, სუნიც კი ასდის. მშვიდად წმენდენ გენერლების ფორმაში გამოწყობილი გამცილებლები ვაგონების სახელურებს და ასევე მშვიდად ტოვებენ მატარებელს დედაქალაქის კბილებდაფერილი, ნასაუზმები, გაწკრიალებული სტუმრები და თავიანთ საქმეზე მიეშურებიან. იქ ცხოვრება ცხრა საათისთვის იწყება და მატარებელიც მორჩილად ელოდება იმ დროს.

ჩვენც ცხვრის ფარასავით გავყევით ყოჩივით წინ მიმავალ ელიზაბეტს და მას შემდეგ სულ ერთი ფიქრი მაწვალებდა: რა? დეპო არ ჰქონდათ ლონდონელებს?

ჩემი ცნობისმოყვარეობა მალე დაკმაყოფილდა.

ერთი წლის შემდეგ, Rustaveli Company-მ სპექტაკლები გამართა „რაუნდ ჰაუზში“, რომელიც ლონდონის ყოფილი დეპოს შენობაში იყო განთავსებული.





თემურ ცერცვაძე

თუ არ პატრონობ

თუ არ პატრონობ სახლ-კარს,
თავზე გექცევა ჭერი;
შენ მაინც შენსას უკრავ,
შენ მაინც შენსას მღერი.

შენ თუ არ აჭმევ შენს შვილს,
მაშინ აჭმევენ სხვები...
ვაჟკაცად მოგაქვს თავი,
ზიხარ და ზღაპრებს ყვები.

თუ დაიბრმავებ თვალებს,
ღმერთმა შეგარგოს რქები...
მაინც ტყემალზე ზიხარ,
მაინც ვერაფერს ხვდები.

პირში დაგცინის ცოლი,
შვილი გაგინებს გულში;
დღესაც იგივე მთხლე ხარ,
რა მთხლეც იყავი გუშინ!

დიდოსტატის ანდერძი

ა, ბატონო – ოქრო,
ა, ბატონო – ვერცხლი;
რაც არ უნდა გითხრათ,
მე ვერაფერს შევცვლი.

ვერ გავიგე – ვინ ხართ,
ვერ გავიგე – რა გჭირთ;
ხან მაძალებთ ღვინოს,
ხან მაცდუნებთ ხარჭით.

ევაჭრებით ღმერთსაც,
სული გიდგათ ვაჭრის...
მე გიშენებთ ტაძარს,
თქვენ მარჯვენას მაჭრით.

რას ვიწუხებ ნეტა
თავს – ფიქრით და გარჯით...
ნეხვში გიყვართ ყოფნა,
ჰოდა – ნეხვში დარჩით!

რა დავაშავე?!

ნეტა ჩემგან რას ითხოვენ,
რა ჯანდაბა უნდათ?!
ყველაფერი არის კარგად,
მაგრამ მე ვარ ცუდად.

შეგეძლოს და არ მშველოდე,
არის ცოდვა დიდი;
გიპოვე და – გაგაღმერთე,
მიპოვე და – მყიდი!

ჩემი სულის მზედ მიმაჩნდი,
ჩემს დედოფლად გთვლიდი,
ქალი მაინც ქალი არის,
ცბიერი და ფლიდი.

რა საოცარ წამს მჩუქნიდი,
რა სიხარულს მგვრიდი...
ახლა გინდა გიჟი იყავ,
გინდა იყავ მშვიდი.
რასაც შენთვის ვაკეთებდი,
ანგრევდი და შლიდი;
მერე თვითონ გადავბუგე
ყველა გზა და ხიდი.

ასეთი რა დავაშავე,
რა მიქენჯნის სინდისს?!
სტუმრად მხოლოდ სევდა მოდის
და ცხოვრება მიდის.

ცხვირი ისე წავიმტვრიე

მტერს მოყვრულად რატომ დავხვდე,
ბოღმას რატომ ვუცინო?!
ცხვირი ისე წავიმტვრიე,
ლამის დავრჩი უცხვირო.

თუ კისერსაც წავიმტვრევდი,
არ მეგონა აქამდე;
ვინც მე ქვები დამიშინოს,
იმ ქვებითვე ჩაქვავდეს.

რადგან მაინც ცოცხალი ვარ,
რადგან მაინც გადავრჩი,
ღმერთი ყველგან შემეწევა,
აღმართშიც და დაღმართშიც.

ქალს ავყავარ მეცხრე ცამდე,
მერე ცხენსაც ვაჭენებ...
ამ დროს ვგრძნობ, რომ ციხეს ვანგრევ
და სამყაროს ვაშენებ.

კიდევ ერთხელ დავამუნჯე
ხალხი – ენაჭარტალა,
ზოგჯერ თურმე სიყვარულსაც
უნდა რქებით გატანა...

მტერს მოყვრულად რატომ დავხვდე,
ბოღმას რატომ ვუცინო?!
ცხვირი ისე წავიმტვრიე,
ლამის დავრჩი უცხვირო.

ოფოფები გამიფრინდა

ჩემი დიდი სისუსტეა,
ჩემი დიდი ნაკლია,
ადგილზე რომ ვერ ვისვენებ,
მოთმინება მაკლია.

ალბათ მართლა თავს ვიტკივებ,
ალბათ მართლა ვაჩმახებ,
თორემ ძმობას შევფიცავდი
ჰალსტუხიან ყაჩაღებს.

ვინაიდან ფული არ მაქვს
და ვერ ვხარჯავ ათასებს,
არც სულელი მიჯერებს და
არც ჭკვიანი მაფასებს.

დროა, ცოტა გამოვფხიზლდე,
შარზე ყოფნას შევეშვი;
ღმერთმა უწყის – ვის რა ელის,
ქუჩის მოსახვევებში.

ღმერთმა უწყის, რატომ ბნელა,
ანდა როდის იელვებს...
მოვერევი უაზრობას,
სულის სიცარიელეს.

აღარც ბეწვის ხიდზე ვივლი,
გზა – ისედაც, ბეწვია...
ოფოფები გამიფრინდა,
მდუმარება მეწვია.

ღმერთო

ღმერთო, როგორ დავიღალე,
ღმერთო, რამე მიშველე;
ყველგან გაუგებრობაა,
სიგიჟე და სიშტერე.

ვინც მიყვარდა – დამეკარგა,
ახლოს არ გამეკარა,
ვარდის ნაცვლად შემაჩეჩეს
ჭინჭარი და ეკალა

თუკი ვინმე ქვას ისროდა,
გზაზე გადამეყარა...
აბა – ეს რა ცხოვრებაა,
ანდა – ეს რა ქვეყანა?!

რას ველოდო, ვის ველოდო,
ვინ რას გამოიმეტებს?!
თვალი როგორ გავუსწორო
ამ დამსხვრეულ იმედებს?!

ერთხელ მაინც თუ შევცოდე,
ვინანიებ ათასჯერ...
ასე როგორ გამიმეტე,
ასე რატომ დამსაჯე?!

ნუთუ ისე უნდა მომკლა,
ისე უნდა დამმარხო,
შენი დიდი მოწყალება
რომ ვიგრძნო და არ ვნახო?!

ნეტა აზრი თუ ჰქონდა?!

მეტკინა და გატკინე,
გეტკინა და მკლავ...
ერთხელ, ორჯერ... ათასჯერ,
მეორდება კვლავ.

ყველა ლხენას გამყარე,
შემახვედრე ჭირს;
უსაშველო ყოფილა,
რაც მე ახლა მჭირს.

მაინც კაცი არ ვიყო,
თუ ვინანო ეს,
ჩემი ბედისწერა ხარ!
ამას მივხვდი დღეს.

არაფერი არ მინდა,
არაფერი მსურს;
მთელ ცხოვრებას კი არა,
განაცვალებ სულს.

შენ ხომ მკვდარსაც გადარევ,
ამოიღებს ხმას...
ნეტა აზრი თუ ჰქონდა,
ამ ყველაფრის თქმას?!

ცრუ პოლიტიკოსები

ამათ მტერმა უყურა, გვაგიჟებენ ნამდვილად,
რაც არ უნდა იხტუნო – უკვე არისგვიან;
მე ეს ტაკიმასხრები მაცოფებენ ადვილად,
მე ეს ცოდვის შვილები ზოგჯერ სიცილს
მგვრიან.

ამ უაზრო თოჯინებს რა თიხისგან ძერწავენ?!
თუ არ გვინდა გვმართავდეს ღრიანცელი
ბაზრის,
მივუთითოთ ადგილი პოლიტიკურ მეძავებს,
თორემ ყველა მეძავი უკვე თავზე გვაზის.

ვერაფერი მოარჩენს საუკუნის იარას,
ვერც ხანჯალი გვიშველის, ვერც ცეცხლი და
ტყვია,
როცა ქვეყნის ნაგავი მარტო გარეთ კი არა,
თითეული ჩვენგანის ოცნებებში ყრია.

ცაზე ბედის ვარსკვლავი მაინც აელვარდება,
მთავარია არ იყო მშიშარა და მორცხვი;
დაწყევლილი სიბერე გააცილეს ვარდებმა,
ახლა ვარდებს მიხედავს ისტორიის ცოცხი!

კლასიკის ახლებურად გადაკითხვა ძველი შეცდომებით

ჟურნალ „ახალ საუნჯეში“ (2012, №1) გამოქვეყნდა ლელა კოდალაშვილის წერილი „ლიტერატურული ფარისევლობანი“, რომელშიც ავტორი „ახლებურად“, კრიტიკულად აფასებს ლიტერატურულ პერსონაჟებს: „ეთერიანის“ გმირებს, შუშანიკს, „ვეფხისტყაოსნის“ რაინდებსა და ოთარაანთ ქვრივს. ცხადია, ყოველგვარ თვალსაზრისს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ ფარისევლობის მხილება ფარისევლურ პოზიციაზე დგომით არ უნდა ხდებოდეს.

ამჯერად „შუშანიკის წამებაზე“ შევაჩერებთ მთავარ ყურადღებას. იმთავითვე ვიტყვით, რომ საკითხის შეფასებას შევეცდებით ქრისტიანული პოზიციიდან და ამას საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავთ, რომ **თავად ავტორსაც განუზრახავს (როგორც თავად ჰგონია) ქრისტიანული გადმოსახედიდან განიხილოს შუშანიკის ზოგიერთი ქცევის შეუსაბამობა მართალ სარწმუნოებასთან და გვიჩვენოს, რომ დედოფლის არაერთი ქმედება გაუმართლებელია ქრისტიანული პრინციპებიდან გამომდინარე.**

ქალბატონი კრიტიკოსი თავიდანვე ასეთი შეკითხვით მიმართავს მკითხველს: *„განა შეიძლება, საუკუნეების წინანდელი მორალური ფასეულობები ინსტრუქცია იყოს დღევანდელი ადამიანისთვის?“*

ქრისტიანული თვალსაზრისით, საკითხის ამგვარად დასმა იმთავითვე არამართებულია. ქრისტიანისათვის მორალური ფასეულობები არ იყოფა და არ ფასდება ეპოქალური ნიშნით. სახარებისეული ღირებულებები ეფუძნება გამოცხადებას და მათი დროში ცვალებადობა სრულიად წარმოუდგენელია. „იესუ ქრისტე გუშინ და დღეს და იგი თავადი არს უკუნისამდე“ (ებრ. 13:8) - ბრძანებს მოციქული. ქრისტიანთა აზროვნებასა და ქცევას მუდამ მარადიული ღირებულებები ასაზრდოებდა და მათი „გადახედვის“ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს.

იწყებს რა შუშანიკის შესახებ საუბარს, კრიტიკოსი თავიდანვე სკეპტიკურ დამოკიდებულებას ავლენს, როცა წერს, რომ: *„...ძველი აგიოგრაფიულია, და **ჟანრის კანონის თანახმად**, მოთხრობილია შუშანიკ დედოფლის ეგზოტერიკული მოწამეობისა და სიკვდილის შესახებ“*. მიაქციეთ ყურადღება: ჟანრის კანონის თანახმადაა მოთხრობილი დედოფლის მარტვილობის შესახებო, - იგულისხმება, შეიძლება სრულიადაც არ ყოფილა მისი წამება ისევეარად, როგორც არის აღწერილი და გაფორმებულია მხოლოდ ჟანრის კანონის შესაბამისად. სწორედ ეს ფარული აზრი გამოსჭვივის კრიტიკოსის მსჯელობიდან. მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი ლელა საკმაოდ გამბედავია, მაინც ურჩევნია საკუთარი თვალსაზრისი სხვას გადააბრალოს და მესამე პირში ისაუბროს: *„ჩემ მიერ ჩატარებულ მცირე სტატისტიკას თუ დავეყრდნობით, რომელიც საშუალოდ ასაოდე პერსონას ითვლის, **თითქმის ყველა გამოკითხული ადამიანი აღშფოთებულია შუშანიკ დედოფლის უკიდურესად აგრესიული ქმედებებით, რელიგიური ფანატიზმით, უაზრო და უმისამართო თავგანწირვით**. ყველაზე მეტად კი ჩემს რესპონდენტებს აღელვებთ ის, რომ **შუშანიკი ცუდი დედაა**. გახსოვთ ალბათ: „და ვიდრე მუნ ჟამადმე მოვიდიან შვილნი იგი მისნი ხილვად დედისა თ სისა, ხოლო რაჟამს მიაქცინეს და უვარ-ყვეს ღმერთი, ვერღარა იკადრეს ხილვად მისა, არამედ სახელი-ცა მათი სძაგდა სმენად.”*

შემდეგ კი ქალბატონი შუშანიკსაც და მკითხველებსაც ზნეობის გაკვეთილებს უტარებს და მოძღვრავს: *„...ამქვეყნიურ ცხოვრებაში დედის უპირველესი მოვალეობა სწორედ მათი [შვილების] სამსახურია, რაც თავის თავში სწორედ უფლისადმი სიყვარულს მოიცავს“*.

თურმე რელიგიური რწმენისათვის თავდადება „უაზრო და უმისამართო თავგანწირვა“ ყოფილა. აქამდე ძვირფასი ლიბერასტები მხოლოდ მრევლისა და ცალკეული ეპისკოპოსების ფანატიზმზე საუბრობდნენ ხოლმე, ახლა კი უკვე იმ ზომამდეც მივედით, რომ წმინდანების „ფანატიზმზეც“ იწყება მსჯელობა. სარწმუნოებრივი სიმტკიცის გამოვლენა კრიტიკოსისა და მისი არაერთი თანამოაზრის მიერ აღიქმება როგორც ფანატიზმი.

თურმე შუშანიკი ცუდი დედაა, რომელმაც შვილები მიატოვა. არ გვგონია, ქალბატონი ლელა შეგვედაოს, რომ ქრისტიანისათვის ყველასა და ყველაფერზე მაღლა უნდა იდგეს ღმერთი: „რომელსა უყუარდეს მამა ანუ დედა უფრო ს ჩემსა, არა არს იგი ჩემდა ღირს; და რომელსა უყუარდეს ძე ანუ ასული უფრო ს ჩემსა, იგი არა არს ჩემდა ღირს“ (მათე 10, 37). საუკუნეთა განმავლობაში ასკეტები ხშირად ტოვებდნენ ოჯახებს, რადგანაც მათ სულში საღვთო ეროსის ცეცხლი ეგზნებოდა და თავიანთი მოღვაწეობით ისინი შეეწეოდნენ არა მარტო საკუთარ მახლობლებს, არამედ მთელ სამყაროს. შუშანიკის საქციელი არ უნდა აღვიქვათ ნაწარმოების კონტექსტიდან მოწყვეტილად. ვარსქენისა და შუშანიკის თანაცხოვრება შეუძლებელი გახდა. სასახლის დატოვების შემდეგ დედა კი შვილებს თან ვერ წამოიყვანდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ არც არავინ გამოატანდა და მეორეც, მას წასასვლელი არსად ჰქონდა. ნაწარმოებიდან ჩანს, შვილები არ იყვნენ ისე მცირეწლოვანნი, განსაკუთრებული ზრუნვა დასჭირვებოდათ, მით უმეტეს, უფლისწულები სათანადო ყურადღების ქვეშ რომ იქნებოდნენ სასახლეში, არ გვგონია, ეს საეჭვო იყოს. ბორკილდადებულ, ბნელ საპყრობილეში ჩაგდებულ ქალს, რა სახით უნდა ეზრუნა მათზე? უფრო მეტიც, **თავად შუშანიკი საჭიროებდა შვილების დახმარებას და არა პირიქით**. ნაწარმოებში აღნიშნულია, რომ შვილები დადიოდნენ დედის სანახავად და მხოლოდ მას შემდეგ შეწყვიტეს მასთან სიარული, როდესაც ქრისტიანობა უარყვეს.

„...აღნიშნავენ იმასაც, რომ შუშანიკი უსამართლო და გაუწონასწორებელი ადამიანია. გავიხსენოთ, როგორ ექცევა ის უდანაშაულო რძალს: „ვანყარა ხელი და ჭიქა ივი პირსა შალეწა და ღ ნო ივი დაითხა.” - წერს ლ. კოდალაშვილი. ეს არ არის გაუწონასწორებლობა, არამედ საღვთო მრისხანების გამოვლინება, რაც წმინდა წერილშიც არაერთხელაა აღწერილი. ამ მხრივ თუნდაც უფლის მიერ ტაძრიდან ვაჭართა გამორეკვა რად ღირს. არ გაგვიკვირდება, ერთ დღესაც იესო ქრისტე დაადანაშაულონ ქრისტიანისათვის შეუფერებელ ქცევაში.

კრიტიკოსი განაგრძობს: *„ალბათ არაერთი კანონიკური მორწმუნე შემომდავება და მეტყვის, რომ მარტვილობა თავის თავში მოიცავდა ხორციელ გვემას, მაგრამ ვინ დაწესა ეს წესი, **ვის სჭირდებოდა ღვთისადმი სიყვარულის ამგვარი დასტური, რა ფასეულობა ფასდებოდა მატლებდასეული, ჩირქიანი, მყრალი სხეულის დემონსტრირებით, იქნებ აგვიხსნას ვინმემ?** განა დედოფალს სარწმუნოების მიმართ ერთგულების გამოხატვა ქრისგან უბრალო განდგომით და ლოცვით არ შეეძლო? განა ეკლესიის მსახურებისთვის წინააღმდეგობის გაწევა ეპატიება საერო პირს? გარდა ამისა, ნებით თუ უნებლიეთ, შუშანიკი სუიციდურ ფსიქოტიპად გვევლინება. ის უარს ამბობს ხუცესის დახმარებაზე – ჭრილობების მორჩენაზე, კვებაზე და **ამით წინ აღუდგება როგორც ღმერთის, ასევე თავისი მოძღვრის ნებას - არ თქვას უარი ღვთით ბოძებულ სიცოცხლეზე...**“.*

შუშანიკი თავისი დაწყლულებული სხეულის დემონსტრირებას კი არ ახდენს და სახეში კი არ გვჩრის, როგორც ქალბატონი ლელა და მისი თანამოაზრეები გვჩრიან „ლიბერალურ ღირებულებებს“, არამედ უჩვენებს დანაღვლიანებულ ხუცესს, იმის დასტურად, რომ რწმენაში მტკიცედ დგას და არ აპირებს დანებებას. საკუთარი სარწმუნოებრივი სიმტკიცის გამოვლენა კი ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია, რათა სხვასაც შეემატოს მხნეობა. ამიტომაც ბრძანებს წმინდანი: „მობაძავ ჩემდა იქმნენით, ვითარცა მე ქრისტესა“ (1 კორ. 11, 1). ამაში არავითარი ქედმაღლობა არ არის.

კოდალაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ შუშანიკი ეურჩება თავის მოძღვარს და ამდენად ეურჩება ღმერთსაც. უეჭველია, თავად ქალბატონი ლელა მოძღვრისადმი სანიმუშო მორჩილებით იქნება ცნობილი. შუშანიკის შესახებ კი უნდა ითქვას, რომ **სულიერი განვითარების თვალსაზრისით, იგი ბევრად მაღლა დგას ვიდრე იაკობი** და ეს ყველგან იგრძნობა. ამასთან იგი ეურჩება მას არა რაიმე სარწმუნოებრივ, არამედ სრულიად არაარსებით, ყოფით საკითხში. ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც სულიერი შვილი სულიერი განვითარების ბევრად მაღალ საფეხურზე ყოფილა, ვიდრე მისი მოძღვარი; ნაწარმოების მიხედვით, შუშანიკი სასწაულებსაც კი აღასრულებდა. აქედან გამომდინარე, მას სრული უფლება ჰქონდა ცალკეულ საკითხში ხუცესს არ დამორჩილებოდა.

რაც შეეხება მის ასკეტურ ღვაწლს, იგი სულაც არ იყო თვითგანადგურებისაკენ მიმართული, პირიქით, უმძიმეს პირობებში შუშანიკმა 6 წელი იცოცხლა და ესეც საოცარია, რადგან იმ საშინელ მხარეში, სადაც დატყვევებული იყო შუშანიკი, აუტანელი კლიმატის გამო, „მოხუცებული არავინ“ იპოვებოდა.

ნამდვილად გამაოგნებელია ლ. კოდალაშვილის დასკვნა: *„ასე რომ, იოლად სავარაუდოა, რომ სწორედ ვარსქენის მიერ სპარსთა მეფის ასულის ცოლად მოყვანაა მისი ოჯახის ტრაგედიის სათავე, რასაც, ბუნებრივია, თავმოყვარე დედოფალი არ აღიარებს და თავის განრისხებულ ქმედებებს ქმრის სარწმუნოების შეცვლით ხსნის. შუშანიკი სიყვარულის სიწმინდის, ღირსების დამცველი ტრაგიკული ქალია და არა სარწმუნოებას შეწირული წმინდანი“.*

ოღონდ შუშანიკის პერსონაჟს რელიგიური თავგანწირვა ჩამოაშოროს და ნებისმიერი სისულელისათვის თავშეწირულად გამოაცხადებს მას კრიტიკოსი. საოცარია პირდაპირ! ვარსქენმა სხვა ცოლი მოიყვანა და თურმე ამიტომ მიმართა თვითგვემას შუშანიკმა. ხომ გადასარევი ლოგიკაა? კრიტიკოსმა ჯერ „რელიგიურ ფანატიზმში“ დაადანაშაულა დედოფალი, ბოლოს კი დაასკვნა, რომ რელიგიური გრძნობები არაფერ შუაშია და შუშანიკმა თავისი საქციელით საკუთარი ქალური ღირსება დაიცვა. ასეთი უსუსური და წინააღმდეგობრივია კოდალაშვილის მსჯელობა.

აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ შუშანიკის სახით დახატულია წმინდანი კონკრეტულ, კრიტიკულ სიტუაციაში და მისი მოშურნეობისათვის მიბაძვა არ გულისხმობს იმას, რომ ადამიანი გაიქცეს და მატლები დაისხას სხეულზე. ყველამ უნდა იტვირთოს ის ღვაწლი, რომლის ზიდვაც შეუძლია: „არც არავინ ასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებში; თორემ დახეთქავს ახალი ღვინო ტიკებს, თვითონაც დაიქცევა და ტიკებიც უვარგისი გახდება“ (ლუკა 5, 37).

ორიოდე სიტყვა „ოთარაანთ ქვრივზე“ და ამ ნაწარმოების კოდალაშვილისეულ წაკითხვაზეც უნდა ითქვას, ვინაიდან მას გარკვეული კავშირი აქვს შუშანიკის შემთხვევასთან. *„XIX საუკუნის 80-იან წლებში კი ქართულ ლიტერატურაში გამოჩნდა ქალი პერსონაჟი, რომლის ემანსიპირებულობა, პატრიარქალური საზოგადოებისგან თავდაღწევა ავტორმა მხოლოდ მისი დაქვრივებით შეძლო. ისევე, როგორც ეკატერინე გაბაშვილის მგდანა ან ნიკო ლომოურის დეიდა სიდონია, ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივიც ქმრის სიკვდილის შემდეგა ხდება ბორკილახსნილი. მწერალიც თითქოს მმართველი მამაკაცის გაქრობის შემდეგა აძლევს ქალს უფლებას, დატკბეს დამსახურებული თავისუფლებით. მე-19 საუკუნის ავტორი ჯერჯერობით ვერ ბედავს საზოგადოებასთან კონფლიქტს, არ თელავს მის ღირებულებებსა და ტრადიციებს“* - წერს ლ. კოდალაშვილი.

იშვიათი დემაგოგიაა. როგორც ჩანს, ქალბატონი ლელა ძალიან დაახლოებული ჩანს იმ იდეოლოგიასთან, რომელსაც „ფემინიზმს“ უწოდებენ. კოდალაშვილის მიხედვით, ოჯახური ცხოვრება წარმოდგენილია, როგორც უმძიმესი ტვირთი, უღელი ქალისათვის, რომელიც ართმევს მას თავისუფლებას. სად წაიკითხა, საიდან დაასკვნა კრიტიკოსმა, რომ ილიას ოთარაანთ ქვრივი ქმრის სიცოცხლეში ბორკილდადებული იყო? ვინ უზღუდავდა მას თავისუფლებას? პირიქით, ქვრივს მუდამ ენატრება ქმართან გატარებული ტკბილი ოჯახური ცხოვრება. ბორკილები და გისოსები მხოლოდ კრიტიკოსის ფანტაზიის ნაყოფია. მიუხედავად ამისა, იგი ჯიქურ ცდილობს, დაამტკიცოს, რომ ოთარაანთ ქვრივის „უფლებები“ ქმრის სიცოცხლეში შეზღუდული იყო და იგი მუდმივ ზეწოლას განიცდიდა, რაც სრული სისულელეა და ამის არავითარი არგუმენტი არ შეიძლება არსებობდეს.

ლ. კოდალაშვილი განაგრძობს: *„სავარაუდოდ ორმოცი-ორმოცდახუთი წლის ოთარაანთ ქვრივი სქესჩამქრალი, და ამიტომაც, ნაადრევად დაბერებული ადამიანია. აბა, დავფიქრდეთ, ბავშვობიდან მოყოლებული, მისი სახით ღრმად მოხუცი თუ არა, ხანშიშესული, ნაოჭებით დაღარული ქალი მაინც ხომ წარმოგვიდგება. მისი ქალურობა ქმრის სიკვდილის მერე დაიტკეპნა, გაისრისა“*. რა წარმოუდგება კოდალაშვილს თვალწინ, ეს მისი საქმეა, სხვაა - რა წერია ნაწარმოებში. მოთხრობაში კი არაერთხელაა ნაჩვენები, რომ ოთარაანთ ქვრივი ხანშიშესული, ნაოჭებით დაღარული, ნაადრევად დაბერებული ქალი კი არ არის, არამედ სიცოცხლით სავსე, გამრჯე და ენერგიული ადამიანი.

კრიტიკოსს აღიზიანებს ისიც, რომ ოთარაანთ ქვრივი მეორედ არ გათხოვდა და სოსია მეწისქვილეს პირდაპირ არ მიახტა: *„ოთარაანთ ქვრივს სრულფასოვანი ოჯახი რომ ჰქონოდა, ან ქმრის სიკვდილის შემდეგ სოსია მეწისქვილეს შეყვარება და მასზე დაქორწინება შეძლებოდა, მისი წრეგადასული ფიქრები აღარ შეეხებოდა გიორგის“*.

ოთარაანთ ქვრივმა მთელი თავისი სასიცოცხლო ძალები საკუთარ შვილს შეალია, რაც მთავარია **იგი დარჩა სიყვარულის ერთგული** და სწორედ ამის გამო ამუნათებს მას კოდალაშვილი. სოსია მეწისქვილე მან უარყო მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ შეიყვარა და მის მოქმედებაში დასაძრახი არაფერია.

მკითხველს ყურში ხვდება კრიტიკოსის მიერ გამოყენებული სიტყვა **„სქესჩამქრალი“**. კოდალაშვილი, ამ შემთხვევაში, იმ ადამიანთა საერთო თვალსაზრისს ასმოვანებს, რომელთათვისაც ადამიანი მხოლოდ ბიოლოგიური არსებაა. მათი აზრით, გაუმართლებელია სქესობრივი თავშეკავება, რადგანაც იგი ენებს ჯანმრთელობას; ამავე ლოგიკით, მიუღებელია მარხვა - ადამიანს ხომ ცილების, ცხიმებისა და ნახშირწყლების განსაზღვრული რაოდენობა ესაჭიროება?

ქრისტიანობა კი ადამიანს, უპირველეს ყოვლისა, აღიქვამს, როგორც სულიერ არსებას. სულიერი ღვაწლი კი განწმენდს სულსა და სხეულს. უდიდესი ასკეტი იყო წმ. გრიგოლ ხანძთელი, მაგრამ სქესობრივი აქტივობისა და ნოყიერი საკვების გარეშე 102 წელი იცოცხლა, რაც იმ დროისათვის რეკორდული ასაკია. მსგავსი მაგალითები კი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიაში უმრავლესია. ვირისა და ხურმის ამბისა არ იყოს, მრავალმა არა უწყის რა ასკეზის მშვენიერებისა. შეუძლებელია, ეს თეორიულად ასწავლო და გაუშინაარსო ვინმეს. ამის დადასტურების ყოველგვარი გარეგანი მცდელობა უშედეგო იქნება. სანამ ადამიანი მას საკუთარ სულზე არ გამოსცდის, ვერაფერს გაიგებს. ვერავითარი ხორციელი სიამოვნება ვერ შეედრება რელიგიურ ექსტაზსს, სულიერი სიხარულის განცდას. ამას ჩვენი უმცირესი გამოცდილებით ვიმახით უპირველეს ყოვლისა. წაიკითხეთ სიმეონ ახალი ღვთისმეტყველის „საღვთო ჰიმნები“ და იხილავთ ასკეტიზმის სიდიადეს.

ლ. კოდალაშვილის სტატია იმითაა საყურადღებო, რომ ეს არის ნიმუში კლასიკის კრიტიკისა **ლიბერასტული** პოზიციებიდან. აშკარაა, რომ თუ ჩვენ მივიღებთ ამ ძალად თავს მოხვეულ იდეოლოგიას, რომელიც აგრესიულად შემოიჭრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და მათ შორის ხელოვნებაშიც, ყველაფრის გადაფასება მოგვიწევს, ჩვენი ისტორიისა და ლიტერატურის ჩათვლით. ამ იდეოლოგიის გადმოსახედიდან სისულელეა წინაპართა ღვაწლი, რელიგიური რწმენისათვის თავის გაწირვა და მეფე-წმინდანის შეგონება: „ეძიებდით ქრისტესათვის სიკვდილს“.

ვიმეორებთ, ყოველ შეხედულებას აქვს არსებობის უფლება, მაგრამ გამაღიზიანებელი ის არის, რომ ქალბატონი ლელა მაინც ქრისტიანობას ეპოტინება და ცდილობს ვითომ ქრისტიანული პოზიციიდან გვიჩვენოს შუშანიკის ქცევის შეუსაბამობა ქრისტიანულ რწმენასთან.

ქალბატონ ლელასთან და მის თანამოაზრეებთან ერთი თხოვნა გვექნება: როდესაც ამ საკითხებზე საუბრობთ, შეეშვით, ნუ ეპოტინებით ქრისტიანობას, რადგან სასაცილოა ეს ყველაფერი; გეყოთ იმის აღიარების ვაუკაცობა, რომ თქვენი კრიტიკა არის საკითხის შეფასება არა ქრისტიანული, არამედ დარვინისტული, ფროიდისტული და ლიბერასტული პოზიციებიდან.

პატივისცემით,

ლევან ბებურიშვილი

განცხადება

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ მორიგი სამარცხვინო კამპანია წამოიწყო. ქართულ აკადემიაში გაერთიანებულ „მეამბოხე“ წევრებს კავშირიდან გარიცხვა „მოგვისაჯა“.

რისი არც იურიდიული და არც მორალური უფლება არ გააჩნია. კავშირის წესდების თანახმად ნებისმიერ წევრს უფლება აქვს სხვა ლიტერატურულ ორგანიზაციაში გაერთიანდეს. რაც საერთაშორისო სტანდარტს შეესაბამება და გადასინჯვას არ ექვემდებარება. დროა კავშირის მესვეურებმა დრაკონული კანონების დარღვევის ნაცვლად გააცნობიერონ, რომ უკანონობით, მუქარითა და დაშინებით მმართველობას ვეღარ გაიხანგრძლივებენ და ნამდვილ მწერლებს საბჭოურ დიქტატს თავს ვერ მოგვახვევენ!

იკა ქადაგიძე,
ლექსო დორეული

რეპრესირებული პოეტის საიუბილეო საღამო

(რა მოხდა 2010 წლის 19 მაისს სამების ახალგაზრდული ცენტრის დარბაზში მწერალთა კავშირის ინიციატივით გამართულ საიუბილეო საღამოზე)

შალვა მჭედლიშვილის, რეპრესირებული პოეტისა და ზნეობრივი გმირის ღვაწლის აღიარება ქართულ მწერლობაში უპრეცენდენტო მიზანმიმართულებით იკრძალება.

უთავბოლო საიუბილეო საღამოების გაჭიანურებულ ფონზე, სადაც ჩინოსან მწერალთა ტომეულების აღლუმს ბოლო არ უჩანს და ყდის ფერსა და ხარისხში გაჯიბრებულ ფავორიტებს მორიგი ტრიუმფით ტკბობისას ზომიერება აშკარად ღალატობს, ავბედითი დუმილი ჩამოწვება.

გადაულახავი დუმილი მაშინ ისადგურებს, როდესაც ქვეყნისთვის თავდადებული პოეტი გმირის სახელს თუნდაც მოკრძალებული სიტყვა ან წრფელი მადლიერება უნდა შევაშველოთ.

ჩვენ პირიქით ვმოქმედებთ. იმ ჩირაღდანს ვმალავთ, წყვდიადში გზა რომ უნდა გაგვიკვალოს და თანამდებობებზე გადაგებულ მედროვე ნარცისებს ერთხელ და სამუდამოდ შეაგნებინოს, რომ ეს ქვეყანა ჩალით არ არის დახურული, რომ აქ კიდევ არსებობს პატიოსნება, ჯერ კიდევ სწამთ, რომ ქართული მწერლობა კასტური კატორღა კი არ არის, არამედ ნამდვილი კატორღიდან უფლის წყალობით გადარჩენილი პოეტის უიღბლო სამშობლოა, რომელსაც უთავბოლო სიყალბის მარწუხი მტრის ნაღმზე არანაკლები შეუბრალებლობით ასახიჩრებს.

ამ წერილის შექმნის მიზეზი მაფიქრებინებს, რომ ის დაუსრულებელი დაბრკოლებები და დაუმსახურებელი ინტრიგები, რაც შალვა მჭედლიშვილის სახელის აღიარებას წინ ეღობება, ერთი მოზრდილი, პარადოქსული შინაარსის რომანის თემატიკას თავისუფლად მოიცავს და მაინც მოვლენებს თანმიმდევრულად მივყვეთ.

ამა წლის 5 მაისს, რეპრესირებული პოეტის გარდაცვალებიდან მესამე წელს, მწერალთა კავშირმა შალვა მჭედლიშვილის საიუბილეო საღამოს გამართვა დაგეგმა. შესაბამისად, კავშირის ხელმძღვანელობა ბატონი შალვას ოჯახს საკუთარი ინიციატივით დაუკავშირდა და საღამოს ჩატარების თარიღი 19 მაისი ოფიციალურად გააცხადა.

საზოგადოებამ ეს ამბავი უკვე 5 მაისს შეიტყო და წინდაწინ მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა. ცოცხალი მიცვალებულების სისხლნაკლული შეხვედრების შემდეგ რეპრესირებული პოეტის საიუბილეო საღამოს გამართვის იდეა მართლაც სახავდა იმედს, რომ ქართული მწერლობა გატკეპნილ გზაზე სიარულს სიახლის დამკვიდრებას ამჯობინებს, საბჭოურ მენტალიტეტს ნებაყოფილობით თმობს და სწორებას ეროვნულ მოღვაწეზე იღებს, რომლის ღვაწლიც ბოლოს და ბოლოს ერმა უნდა შეიტყოს, დაგვიანებით მაინც გაიგოს და გააცნობიეროს რათა ზნეობრივი კრიზისის მოძალებას როგორმე გაუძლოს, თანამდებობებისა და პრივილეგიებისადმი პათოლოგიურ წყურვილს ლაგამი ამოსდოს და ხმამაღლა განაცხადოს რას ირჩევს: მონობას თუ თავისუფლებას.

მონობას, რომელსაც საკუთარ თავს თვითონვე უხანგრძლივებს (როცა სიყალბის რღვევა აზრადაც არ მოსდის) და ამას მხოლოდ გარეშე ძალას აბრალებს თუ თავისუფლებას, რომლის საზღაურიც გაცილებით მსუბუქია ვიდრე სიყალბეში გატარებული წლების შემზარავი შედეგი.

მართალია მოსალოდნელ იუბილეს კავშირი მხოლოდ გაზეთში გამოქვეყნებული 9 პოეტური თხზულებით გამოეხმაურა, მაგრამ ნათქვამია, „ყვავს კაკალი გააგდებინეო“.

ასე იყო თუ ისე, საიუბილეო საღამოს ყველა სულმოუთქმელად ველოდით. ცოდვა გამხელილი სჯობს და წინასწარ თადარიგიც დავიჭირეთ: მწერალთა კავშირის დემოკრატიულ წეს–წყობას რომ ვიცნობთ, თავი დავიზღვიეთ. ოჯახის უფროსმა კავშირის მდივანს სთხოვა, რომ საღამოზე ბატონი შალვას მეგობრებისთვის სიტყვა არავის დაეკავებინა.

თხოვნას სათანადო პასუხი მოჰყვა: ახალგაზრდებს (მათ შორის თქვენს მონა–მორჩილს) რა მოპატიჟება სჭირდებათ, ოღონდ გვიკადრონო თითქოს საიუბილეო ციებ–ცხელების დროს შერჩევით გამოსვლებს თვითონ არ აკანონებდნენ და ოდესმე ვინმეს აზრი რამედ ჩაუგდიათ.

მოკლედ, დათქმულ დღეს საგანგებოდ მოვემზადე, რომ მეგობრის დაუგეგმავმა ზარმა ყველაფერი უკუღმა შეატრიალა. მისგან გავიგე, რომ 4 საათზე კი მწერალთა კავშირი ლეგენდარული პოეტის, მუხრან მაჭავარიანის პანაშვიდზე მისასვლელად უნივერსიტეტთან საგანგებოდ იკრიბებოდა. აქედან გამომდინარე, ყველა გააფრთხილეს, რომ შალვა მჭედლიშვილის საიუბილეო საღამო აღარ ჩატარდებოდა. ვთხოვე ეს მოულოდნელი ინფორმაცია სხვებთან გადაემოწმებინა. მისი ნათქვამი დადასტურდა: კავშირის წევრების უმრავლესობა პანაშვიდზე წასასვლელად დაერაზმათ. საქმის გასარკვევად ბატონი შალვას ოჯახში გადავრეკე, მათთვის ეს ცნობა სიახლე გამოდგა. აღარ იცოდნენ რა გზას დასდგომოდნენ. საიუბილეო საღამოს სუფრის ხარჯიც გაეწიათ. ახლობლებიც დაეპატიჟათ და გაუთვალისწინებელი ცვლილებით დაბნეულები სიტყვებს ვეღარ პოულობდნენ.

ყველაფრის გასარკვევად კავშირის მდივანთან დაკავშირება ვურჩიე და მალე დადებითი პასუხიც გვაღირსეს.

5 საათზე სამების ახალგაზრდულ ცენტრში რომ შევედი ორმაგმა გრძნობამ დამრია ხელი: არც თუ ხალხმრავალ დარბაზში, რეპრესირებული პოეტის საიუბილეო საღამოზე ძირითადად პატიოსანი მწერლები შეკრებილიყვნენ, ფავორიტებსა და ლაქიებს ვერსად წაწყდებოდა ცნობისმოყვარე თვალი. კავშირის მდივანმა ხელი საქმიანად ჩამომართვა და იდუმალი ტონით მამცნო, რომ მაინცდამაინც დღეს, ღონისძიებები ერთმანეთზე წაეწყო, მუხრან მაჭავარიანის პანაშვიდიც არაორაზროვნად ახსენა და დაასკვნა, რომ საიუბილეო საღამო ნახევარ საათში უნდა დაესრულებინა.

მეგონა ხუმრობდა, მაგრამ მან დაბეჯითებით გამიმეორა, რომ ჩვენი გამოსვლები ტკბილი (ზუსტად ეს სიტყვა იხმარა) და მოკლე უნდა ყოფილიყო, რადგან დრო არ ითმენდა და მორიგ საზოგადოებრივ ღონისძიებაზე უნდა გადაეპატიჟა.

კავშირის აბედით იერარქიაში ჩემ მიმართ ნეიტრალურად განწყობილ მდივანს უსიტყვო ღიმილით გავეცალე. ჩვენი გაერთიანების ლიდერებს ვთხოვე, საღამოს დაწყების დრო დაემახსოვრებინა. 6–ის ნახევარზე კავშირის მდივანმა შესავალი სიტყვა წარმოთქვა. მისი მჭევრმეტყველების დონე ჩემი წერილის თემატიკას სცილდება, თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, ურიგო დასაწყისი არ იყო. სხვა გამომსვლელებმა 2 წუთიანი რეგლამენტი თვითნებურად გამოიყენეს. რატომღაც მიიჩნიეს, რომ ბატონი შალვას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო მათი საქმიანობის რეკლამისა და სიძლიერის დემონსტრირების აუცილებელ პირობად ექციათ.

დარბაზში უცნაური ატმოსფერო შეიქმნა; გამომსვლელები თითქოს იმ ერებს განასაჯიერებდნენ. თავიანთი ეროვნულობის დასაცავად უკან არაფერზე დაიხევდნენ, ბატონ შალვასთვის კი ინტერნაციონალიზმის თაიგული გაემეტებინა. მხოლოდ რეპრესირებულ პოეტს უნდა ეტვირთა სიკვდილის მერეც ის გაუმართლებელი მიმტევებლობა, კაცს ყველაფერს რომ მოათმენინებს და სხვის თავგასულობასაც ისიც დაუწერელი ტაშისცემით შეეგებება.

როგორც ჩანს, გამომსვლელებმა რეპრესირებული პოეტი იმ ძველი დაუვიწყარი და ამოუძირკვავი ინტერნაციონალიზმის სიმბოლოდ (თუ ნოსტალგიად) გააიგივეს და თავიანთ მადლს შესაბამისად სრული გასაქანი მისცეს. იმ პიროვნებებზე გაიმეტეს ეს ტიტული, ვინც საბჭოური ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ დაუცხრომელი ბრძოლის გამო იმპერიამ ცოცხლად დამარხა.

მართლაც, დუმილისა და ინტრიგების დიდოსტატებს ვერავინ ასწავლის როდის აიმაღლონ, როდის დადუმდნენ ან მართალი სიტყვის ჩასახშობად განყენებული, უწყინარი მუსიკალური ნომრები რა სიხშირით გამოიყენონ.

ამ საქმეში დახელოვნებულები მალე პოეზიის საღამოებზე მარტოოდენ ანსამბლებს მოიწვევენ და შეუსვენებლად ამღერებენ, სადღაც ვერ გაამტყუნებ, მჭლე და უნიჭო, ყალბი სიტყვის დაფარვა მიზნად რომ დაუსახავთ, მაგრამ მათ საუბედუროდ ჯერ კიდევ იბადებიან პოეტები, რომელთა შემოქმედება და ბიოგრაფია ეპოქალურ ჩარჩოს არ ექვემდებარება და საზოგადოებაში გავრცელებული ნიჰილისტური განწყობის გასაქარწყლებლად აქტიურ ქმედებას ეფუძნება.

ცნობილი პოეტებიდან თემურ ჩალაბაშვილის წრფელმა სიტყვამ ნიავივით დაუბერა და ეგოცენტრისტი გვამების მიერ აღმართულ სიყალბის დეკორაციას ბზარი დაატყო, მაგრამ კავშირის მდივნის რეფრენი შეუბრალებლად ჟღერდა: საიუბილეო საღამო თხუთმეტ წუთში უნდა დასრულებულიყო. აღშფოთებული მწერლების მღელვარება კიდევ ერთმა გაუთვალისწინებელმა „წვრილმანმა“ გაამძაფრა: დარბაზში უცხო ადამიანების ნაკადი შემოვიდა. დამთვალიერებლები (სტატუსის მოძებნა გაჭირდა) ხმაურობდნენ, თითქოს ვერ ამჩნევდნენ, რომ შეკრებილი საზოგადოება ღონისძიებას ესწრებოდა. სამების ახალგაზრდული ცენტრის განუხრელი წესრიგი უკვალოდ გამქრალიყო. უფრო მეტიც, შემოსწრებული ხალხი უბოდიშოდ მიმოდიოდა, საუბრობდა, საერთო ქაოსს აძლიერებდა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ვიღაცამ საგანგებოდ დაარიგა მაინცდამაინც ამ საიუბილეო საღამოზე გამოეჩინათ დაუდევრობა და უპატივცემლობა.

ამ გარემოებამ დამსწრე საზოგადოება უფრო გააღიზიანა. უკმაყოფილო სახეებს ვიღა დაეძებდა, შალვას მეუღლე ატირდა. ბოლოს როგორც იქნა, კავშირის მდივანმა ჩემი სახელი და გვარი გამოაცხადა, რა თქმა უნდა, იმის გამეორებაც (ათასმეესედ!) არ დავიწყებია, რომ 15 წუთში შეხვედრა უნდა დაგვესრულებინა. ახმაურებულ დარბაზს თვალი მოვავლე და ყელში მოწოლილ სათქმელს გასაქანი მივეცი.

– უპირველეს ყოვლისა თქვენ მოგესალმებით, ვინც ბატონი შალვა მჭედლიშვილის საიუბილეო საღამოზე იმის მიუხედავად მოვიდა, რომ წინასწარ გავრცელდა ინფორმაცია თითქოს შეხვედრა აღარ ჩატარდებოდა. ამისთვის, გმადლობთ.

ჩვენ თვალწინ გაუგონარი რამ ხდება: ზნეობრივი გმირისა და რეპრესირებული პოეტის საღამოს მხოლოდ ნახევარი საათი დაუთმეს. მაშინ როცა ყველას საღამო 2 საათზე მეტხანს გრძელდება და ამ წესის დარღვევა არავის აზრადაც არ მოსდის. ასე მოქცევა არ შეიძლება! დიახ, არ შეიძლება! კეისარს კეისრისა უნდა მივაგოთ! ნუთუ რეპრესირებულმა პოეტმა ეს მცირედიც არ დაიმსახურა, რომ ერთი ხსოვნის საღამო სავაჭროდ და სადავიდარაბოდ არ გაუხადონ! სად არის მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა? ეს საიუბილეო საღამო მათი ინიციატივით დაინიშნა. აქ რად არ არიან?

ბატონი შალვას ღვაწლის წარმოსაჩენად მხოლოდ ოჯახი და მისი მეგობრები იბრძვიან. ეს მათი კერძო ინიციატივაა, კავშირის ორგანიზაცია კი იმასაც არ აკეთებს. საიუბილეო საღამო ღირსეულად ჩაატაროს, ბერკეტები მათ ხელშია და კეთილი ინებონ და ბატონი შალვას ხსოვნის პატივსაცემად ერთი წიგნი მაინც გამოსცენ. მხოლოდ საკუთარ ტომეულებს ზედიზედ რომ ბეჭდავენ!

დროა ხალხს მისი სახელი გააცნოთ! ან აქ რა ხდება? გამომსვლელები მხოლოდ საკუთარ თავზე საუბრობენ. ეს მუსიკაც რა შუაშია, როცა ბატონი შალვას ან მისდამი მიძღვნილი ერთი ლექსიც არ წარმოთქმულა! რა სიყალბეა!

ამას აღარ მოვითმენთ, აღარ შევეგუებით! დამთავრდა!

ქართულ მწერლობაში გამეფებულ სიყალბეს ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეღოს! ასე გაგრძელება აღარ შეიძლება!

ბატონი შალვას დარი რეპრესირებული პოეტი გმირი არა გვყავს და მისი სახელის დასაცავად ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ!

მე მარტო აღარ ვარ, ახალგაზრდა თაობა მხარში ამომიდგა და ჩვენსას გავიტანთ! სიყალბის დრო დამთავრდა! მის ხსოვნას პატივი ეცით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ამ საქმეს ასე აღარ დავტოვებთ!

შოკირებული საზოგადოება აღელდა. რამდენიმე ადამიანმა ხელი ჩამომართვა და სიმართლის თქმის დიდი მადლობა გადამიხადა.

ჩემ შემდეგ ტრიბუნა მარსიანმა დაიკავა და პროტესტი გააგრძელა. მან თქვა, რომ შალვა მჭედლიშვილის დევნა საბჭოთა რეჟიმის შემდეგ მწერლობამ გადაიბარა და ზუსტად იმას აკეთებს, რაც მხოლოდ ტოტალიტარულ რეჟიმს ბრალდებოდა. ისინი თვითონ ჭედენ და ებღაუჭებიან ბორკილებს! ეს სირცხვილია! მარსიანმა წაიკითხა ბატონი შალვას შესანიშნავი ლექსი: „ციმბირის გზებზე“, სადაც საბჭოთა რუსეთის იმპერიული პოლიტიკაა გამოაშკარავებული. ორცეცხლშუა ჩავარდნილმა მდივანმა განაცხადა, რომ მე მართალი ვარ, მაგრამ საიუბილეო საღამოს ხანგრძლივობა მათ (ე.ი. კავშირს) საპატრიარქოს ახალგაზრდულმა ცენტრმა შეუზღუდა. 6 საათზე აქ მორიგი ღონისძიება დაიგეგმა და შესაბამისად, მწერალთა კავშირიც იძულებული გახდა შეხვედრა ნახევარ საათში დაესრულებინა.

აყაყანებული ხალხის დასაწყნარებლად მდივანმა სიტყვა პოეტ ქეთი დოლიძეს გადასცა, რომელიც ყოველთვის სიმშვიდეს განასახიერებდა, მაგრამ ამჯერად მდივნის მოულოდნელად, მან განაცხადა, რომ მართალი ვარ და მხარს მიჭერს, რომ ეს პოეტის ხსოვნის შეურაცხყოფაა.

საბოლოოდ დაბნეული მდივანი აყვირდა, რომ მას ეპისკოპოსები (ზუსტად ასე თქვა) აძალებდნენ საღამო ადრე დაემთავრებინა, რადგან დარბაზში მორიგი ღონისძიების ჩატარებას გეგმავდნენ.

ამ დროს ჩვენი გაერთიანების ერთ–ერთი ლიდერი კახა ბაციკაძე საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზატორებთან მივიდა. ორი წუთი არ იყო გასული, რომ ცენტრის ორგანიზატორებმა შემდეგი განცხადება გააკეთეს: აღნიშნული ღონისძიების შესახებ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა ერთი კვირით ადრე გაფრთხილეს.

აქედან გამომდინარე, ახალგაზრდული ცენტრი წამოყენებულ ბრალდებაზე პასუხს არ აგებდა. სიმართლის გამჟღავნებამ ისედაც აფორიაქებული საზოგადოება უარესად აახმაურა.

მართლაც, უპრეცენდენტო რამ მოხდა: მწერალთა კავშირმა ჩაშლილი საიუბილეო საღამოს გამო პასუხისმგებლობა საპატრიარქოს ახალგაზრდულ ცენტრს დააკისრა.

იმ დაწესებულებას, რომელმაც ქუჩაში გამოძევებული მწერალთა კავშირი თავისთან შეიფარა და დღემდე უშურველად მასპინძლობს.

ვინც ახალგაზრდულ ცენტრში გამართულ მრავალფეროვან ღონისძიებებს ხშირად ესწრება, მოეხსენება, რომ აქ დროს თავისი ფასი ადევს და ჩაშლილ შეხვედრებს ადგილი არასდროს ჰქონია.

დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდია. როგორც ჩანს, მწერალთა კავშირს ნამდვილი მწერლების დაჩაგვრაზე დიდი, გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა და ბოლშევიკურ კურსს განუხრელად იცავს: იმას სჯის, ვინც ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ გაილაშქრა, ვისაც სიმამაცე ეყო მწერლობის თავისუფლებისა და ღირსების გადასარჩენად ყველა ჯურის ავანტიურისტის გამოსააშკარავებლად თანმიმდევრულად ებრძოლა!

ბრავო! ასე გააგრძელეთ თუ გაგივათ!

იკა ქადაგიძე

ინტერვიუ გიორგი ბარამიძესთან

„პროფესორი გიორგი ბარამიძე როგორც მკვლევარი თავს ვალდებულად მიიჩნევს, აღადგინოს ფილოსოფიურ ტრადიციაში არსებული მნიშვნელოვანი ფილოსოფომები, ხელახლა გაიაზროს ისინი და ამით ბიძგი მისცეს ფილოსოფოსობის სამომავლო განვითარებას.

მისი მეცნიერული მოღვაწეობის მთავარი მიმართულებებია: თეორიული ფილოსოფია, პოლიტიკური ფილოსოფია, მეტაფიზიკა, ქრისტიანული მისტიკა, პოლიტიკურად ორიენტირებული ფილოსოფიური თეოლოგია და რწმენის შესახებ მეცნიერება. იგი შესანიშნავად იცნობს ანგლო-ამერიკულ, გერმანულ, ფრანგულ და იუდეურ აზროვნებას. ამასთანავე იგი ცნობილია როგორც – რაც ასევე უაღრესად მნიშვნელოვანია – ძველი ებრაული, ძველი ბერძნული, ლათინური, გერმანული, ინგლისური, რუსული, ფრანგული და ესპანური ენებიდან მთარგმნელი. განსაკუთრებით გაითქვა სახელი მაქს ვებერის, მარტინ ჰაიდეგერის, იურგენ ჰაბერმასის, პიერ ბურდიეს, ჟან-ფრანსუა ლიოტარისა და იოზეფ რათცინგერის მრავალი ნაწარმოების თარგმანებით.

პროფ. ბარამიძეს მიაჩნია, რომ ისტორიული ფილოსოფიის ქვაკუთხედი არის რენესანსულ-პლატონური ფილოსოფია, რომელმაც განსაზღვრა ურთიერთაღიარებაზე, ტოლერანტობაზე დაფუძნებული აზროვნების ჩამოყალიბება. სწორედ პლატონიზმი (განსაკუთრებით მარსილიო ფიჩინო) აძლევს ბიძგს პროფესორ ბარამიძის ძალისხმევას, როცა ის გაწონასორების ფილოსოფიის როგორც ინსტიტუციურ ისე საზოგადოებრივ რეაქტუალიზებას ესწრაფვის. სწორედ ასე იქცევა ფილოსოფია იმად, რაც ის პროფ. ბარამიძის მიხედვით უნდა იყოს: ინსტანციად, რომელიც იმ ზომამდე ამახვილებს ადამიანის ცნობიერებას, ვიდრე შესაძლებელი არ გახდება ის, რომ დაპირისპირებულმა აზრებმა ერთმანეთი აღიარონ, რაც თავის მხრივ საფუძვლად დაედება სამართლიან მოქმედებებს.

პროფესორ ბარამიძის ორიგინალური აზროვნება უაღრესად ფასეულია. იგი საუცხოოდ იცნობს ფილოსოფიის ისტორიას მისი ნაკლებად ცნობილი ეპოქების ჩათვლით; სწორედ ეს არის საფუძველი, საიდანაც იგი ძირისძირობამდე იკვლევს თანამედროვე აზროვნებას; მრავალი ენიდან მის მიერ შესრულებული თარგმანები კი ქართველ მკითხველს საშუალებას აძლევს, ამ აზრების ქმნადობის თანამონაწილედ იქცეს. ყოველივე ამით პროფესორ ბარამიძეს საამკარაოზე გამოაქვს ფილოსოოფიის ყველაზე უცილობელი ამოცანა: ფილოსოფია ვალდებულია როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოებას შეახსენოს ის, რისი დაცვაც მათ ევალებათ; ისინი ვალდებულნი არიან, დაიცვან აზროვნება, რომელსაც აქვს შემწყნარებლობის უნარი, რაც, თავის მხრივ, თავისუფლებისა და სამართლიანობის საწინდარია.

პროფესორი ბარამიძე არის უაღრესად გამორჩეული მკვლევარი, რომლის მოღვაწეობა ფილოსოფიისთვის ფასდაუდებელ ღირებულებას წარმოადგენს. მისი ფილოსოფიური მოღვაწეობა უმაღლეს აღიარებას იმსახურებს“.

ასე აფასებს თანამედროვე მსოფლიოში სახელგანთქმული ფილოსოფოსი ბურკჰარდ მოიზიში პროფესორ გიორგი ბარამიძის მოღვაწეობას.

– ბატონო გია, როგორც პოლიტიკის ფილოსოფიის სპეციალისტი და ანალიტიკოსი, როგორ შეაფასებდით საქართველოში პოლიტიკურ-სოციალური კლიმატის შეცვლას? შეიძლება ითქვას თუ არა, რომ ამ ცვლილებების გარკვეული შედეგები უკვე მოვიმკეთ?

– 2012 წ. პირველი ოქტობრის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში პოლიტიკურ-სოციალური კლიმატი რადიკალურად შეიცვლა. აშკარაა, რომ ამ ცვლილებების გარკვეულ შედეგებს – სამართლიანობის აღდგენის კუთხით – უკვე ვიმკით. თუმცა საზოგადოებაში არსებობს განცდა, რომ ეს პროცესი ჭიანურდება. მე ამ განცდის მხოლოდ ფილოსოფიურ მხარეზე მოგახსენებთ. ცნობილია, რომ ადამიანს სამართალი ეჩქარება, მას უნდა, რომ იგი სწორედ ახლა და აქ აღდგეს. მაგრამ ეს ადამიანური ლოგიკაა, სამართალს თავისი ლოგიკა აქვს; ხშირად ეს ორი რამ ერთმანეთთან ვერ თანხმდება. გარდა ამისა, ახალ ხელისუფლებას უპრეცედენტოდ სავალალო მემკვიდრეობა ერგო. როგორც ქართული, ისე საერთაშორისო საზოგადოება ძირისძირობამდე შეძრული და შეურაცხყოფილია იმ არაადამიანური სისატიკით, რომელიც წინა პოლიტიკური რეჟიმის მიერ, როგორც ირკვევა, მეთოდურად და სისტემურად ინერგებოდა. საზოგადოება, რომელიც, ალბათ, კარგა ხანს ვერ გამოვა ციხის საშინელი კადრების კოშმარიდან, ისევ შოკირებულია სამალავებში აღმოჩენილი ამაზრზენი ჩანაწერების შესახებ ინფორმაციით. გასაკვირი არ არის, რომ სულ უფრო მეტ ინტენსივობას იძენს მოთხოვნა წინა დანაშაულებრივი რეჟიმის გასამართლების შესახებ.

წინა ხელისუფლება თვლის, რომ მისი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პროექტი, განათლების რეფორმა იყო. თქვენ როგორ შეაფასებდით ამ თვალსაზრისით მათ მუშაობას?

რა რეფორმაზეა ლაპარაკი? საზოგადოებას მათი რეფორმირებული არაფერი უნახავს *დე*ფორმირებული (გადაგვარებული) კი, რამდენიც გნებავთ. თუ მაინცა და მაინც „ფორმასთან“ მიმართებაში გვინდა მათი იდიოზური „ნაღვაწის“ შეფასება, მაშინ უნდა ითქვას, რომ ამ ხალხმა ჯერ სახელმწიფო გადაიფორმა (მიიტაცა), შემდეგ უნივერსიტეტები და სკოლები. საზოგადოებამ დიდი ხანია შეაფასა მათი მოქმედება როგორც განათლების სისტემის დეფორმირება – გადაგვარება, რაც ნგრევითა და გაჩანაგებით დასრულდა. მაგრამ იმავე საზოგადოებამ კარგად იცის, რომ განათლება ნათელთან არის დაკავშირებული და წყვდიადის ძალები მას ვერ გაეკარებიან.

თქვენ ერთ-ერთი მთგანი იყავით მათ შორის, ვინც წინა ხელისუფლებამ უნივერსიტეტიდან უსამართლოდ დაითხოვა. რა დასავლურ-ევროპულ თეორიულ გამოცდილებას უკავშირებთ ამ პროცესს და რას გვეტყოდით აკადემიური და თეოლოგიური კორუფციის ცნებათა შესახებ?

წინა პოლიტიკური რეჟიმი სიტყვით რომ ვითომ ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, სინამდვილეში საფუძველს უყრიდა საბჭოური ტიპის ახალ ტოტალიტარიზმს. ამ პროცესის შედეგია ის, რომ მივიღეთ ტოტალიტარული უნივერსიტეტი როგორც სტუდენტობისა და პროფესურის რეპრესიის დაწესებულება. აქედან გამომდინარე, ყველა ის პროფესორი, რომელსაც ბოლო ცხრა წლის განმავლბაში მოუხდა უნივერსიტეტის დატოვება არის ამ რეპრესიის მსხვერპლი. ახალი ტოტალიტარული უნივერსიტეტი გარკვეული თანმიმდევრულობით ახორციელებდა ტოტალურ პოლიტიკურ დევნას. ამ მხრივ დასავლურ-ევროპულ თეორიულ გამოცდილებაზე მეკითხებით და არ შემიძლია არ ვახსენო ადორნოსა და ჰორკჰაიმერის „განმანათლებლობის დიალექტიკა“ ასევე – ლეო შტრაუსის „ დევნა და წერის ხელოვნება.“ დაინტერესებულ მკითხველს ვურჩევ ყურადღებით წაიკითხოს ეს (და არამარტო) წიგნები. საზოგადოებისთვის ნათელი გახდება, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვითომდა „საბჭოთა ოკუპაციის შედეგებს“ ებრძოდნენ ახალი „ჰომო სოვეტიკუსები“.

წინა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში უნივერსიტეტში ერთმანეთს შეერწყა კორუმპირებული სახელმწიფო ხელისუფლება და უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ამან გამოიწვია ძირეული ცვლილება უნივერსიტეტის სტრუქტურაში; იგი აღარ არის სტუდენტებისა და პროფესორების ერთობა.

ძნელი წარმოსადგნია, მაგრამ ფაქტია, რომ უნივერსიტეტში ირიცხება მხოლოდ 640 პროფესორი, მაშინ როცა ადმინისტრაციის თანამშრომელთა რაოდენობა 3000-სს აღემატება. ძნელი გამოსაცნობი არ არის ტენდენცია, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ მთელი საუნივერსიტეტო სივრცე დაიპყრონ მხოლოდ ადმინისტრაციამ. ამ ტენდენციის ბოლო არის ის, რომ უნივერსიტეტში არ დარჩებოდა არცერთი ე. წ. „ფულთაიმ“ ანუ სრულშტატიანი პროფესორი. დაუმატეთ ამას ის შთამბეჭდავი სხვაობა, რაც არის პროფესორისა და ადმინისტრაციის თანამშრომელთა სარგოებს შორის და თქვენ წინაშე იქნება ნაციონალურ-ტოტალიტარული უნივერსიტეტის სურათი უპროფესურო უნივერსიტეტი – უნივერსიტეტი როგორც ადმინისტარციული მონსტრი, რომელიც ნთქავს თავის პროფესურას და სტუდენტებს; დრაკონი, რომელმაც თავისი თავი შესანსლა, რათა ქვეყნიერებას მოვლინებოდა ბევრად უფრო საშინელი დრაკონი – სიმულაკრი – ტოტალიტალურის ეს მახინჯი სიმბოლო.

დარწმუნებული ვარ, ქართველებსაც ძალზე დიდხანს მოსვენებას არ მოგვცემს შეკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა, რომ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველო ახალ ველურობაში გადაიჩეხა.

ამ გლობალური პროცესის პარალერულად მოხდა ის, რომ საუნივერსიტეტო ადმინისტრაციამ, რომელიც კორუმპირებული პოლიტიკური რეჟიმის გაგრძელებად მოგვევლინა, შეისრუტა პროფესურის სოლიდური ნაწილი, ხოლო კორუმპირებულმა ხელისუფლებამ – სტუდეტური თვითმმართველობები, რამაც დააჩქარა უნივერსიტეტის შინაგანი ხრწნა.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წინა კორუმპირებული რეჟიმი გარკვეული ფილოსოფიური წანამძღვრებიდან ამოდიოდა. იგი ემყარებოდა მაგ. ადამიანის რაღაცნაირ გაგებას. ამ მხრივ ძალზე მოდური გახდა სიტყვა – გაგება – სიმულაკრი, რომელიც ლათინური წარმომავლობისაა და მსგავსს, ანდა მიმგვანებულს გულისხმობს (ამ ფენომენს კარგად ვიცნობ, ვინაიდან მოგეხსენებათ, წლების განმავლობაში თსუ-ში ვკითხულობდი თანამედროვე ფრანგული ფილსოფიის კურსს და სხვა ლიტერატურასთან ერთად ფრანგულიდან ვთარგმნე ჟილ დელეზის „პლატონი და სიმულაკრები“ და ჟან ბოდრიარის „სიმულაკრები და სიმულაცია“). ვინ, ანდა რა არის სიმულაკრი? ნაციონალისტ იდეოლოგთა გაგებით იგი ისეთი რამაა, რასაც არ აქვს ორიგინალი ანდა დედანი. ადამიანთან მიმართებაში იგულისხმება, რომ მას არავითარი კავშირი არ აქვს ღმერთთან და არის მხოლოდ ეგზემპლარი. ადამიანი სიმულაკრი მათი გაგებით არის უფესვო, უტრადიციო, უღმერთო, უზნეო არსება. ასევეა პოლიტიკურ სისტემასთან მიმართებაშიც. ისინი აკრიტიკებდნენ ძალაუფლების სიმულაკრებს, რომლებიც მათი აზრით ე.წ. ვარდების რევოლუციამდე არსებობდა, თვითონ კი საფუძველი ჩაუყარეს და დაამყარეს სიმულაკრების ანუ უტრადიციო, უზნეო, უღმერთო ინდივიდების ძალაუფლება, რა დროსაც ადამიანის ღირსებასა და სიცოცხლეს ჩალის ფასი აქვს. ასე რომ, XX-XXI სს-ის მიჯნაზე საქართველომ მოხაზა ტრაგიკული გზა ძალაუფლების სიმულაკრებიდან სიმულაკრების ძალაუფლებამდე.

– საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ სიტყვები „გახრწნა“ და „გარყვნა“ წინა პოლიტიკური რეჟიმის შეფასებისას პირველად თქვენ გამოიყენეთ 2012წ. ოქტომბრის არჩევნებამდე თითქმის ორი კვირით ადრე ჯერ „For.ge”- ის ტრიბუნიდან, შემდეგ კი მეცხრე არხის მეშვეობით გადაცემაში „ახალკაცის მატრიცა“. თქვენი გამოსვლიდან დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ კი ტელევიზიებმა აჩვენეს ციხის ამაზრზენი კადრები.

დიახ, მე ვახსენე ბიბლიური გაგება „შახათ“, რომელიც ნიშნავს გახრწნას, გარყვნასა და ამ აზრით – კორუფციას; ასევე გამოვიყენე ძველი ბერძნული სიტყვა „პორნეო“, რომელიც იმავე მოვლენას აღნიშნავს. მაშინაც ვფიქრობდი და ახლაც იმ აზრის ვარ, რომ ამ სიტყვებით ყველაზე ადეკვატურად აღიწერება წინა, კორუმპირებული ხელისუფლების ბუნება. მან ყოველმხრივ წაახალისა და ხელი შეუწყო ადამიანში ველური, ცხოველური ძალების აშვებას და ამით შეეცადა დაემყარებინა „ახალი ველურობა“. ზემოთ ადორნო და ჰორკჰაიმერი ვახსენე, რომლებიც ფაშისტური სინამდვილით შეძრწუნებულები და გაოგნებულები კითხულობენ: როგორ მოხდა ის, რომ კაცობრიობა ნაცვლად წინსვლისა „ახალ ბარბაროსობაში გადაიჩეხაო“. დარწმუნებული ვარ, ქართველებსაც ძალზე დიდხანს მოსვენებას არ მოგვცემს შეკითხვა იმის თაობაზე, თუ როგორ მოხდა, რომ 21-ე საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველო ახალ ველურობაში გადაიჩეხა. ციხის კადრებმა სააშკარაოზე გამოიტანა სისტემის ის შემზარავი შინაგანი გარყვნილება, რაც ზედაპირზე არ ჩანდა.

აქვე მინდა, შევეხო საერთოდ დანაშაულის საკითხს. ქართველებს გვაქვს სიტყვა ბოროტმოქმედი. ეს უკანასკნელი ძალზე ტევადი გაგებაა. მკითხველს გავახსენებ, რომ სულხან-საბა პოეტს განმარტავს როგორც სიტყვის მოქმედს. რას ნიშნავს „მოქმედი“? წარმოვიდგინოთ გალაკტიონი როგორ უვლის, ელოლიავება და უყვარს სიტყვა. ბოროტმოქმედი ვინღა არის? ის ვინც უვლის, ელოლიავება და ვისაც უყვარს ბოროტება. მკითხველს თავად შეუძლია წარმოიდგინოს კატასტროფის ის მასშტაბები, რომელიც ამგვარი „სიყვარულიდან“ მომდინარეობს .

როცა ლაპარაკია კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულზე, უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, თუ ვინ არის კაცობრიობა. ეს უკანასკნელი სხვა არავინაა, თუ არა ჩვენი შინაგანი ბუნება. ამ აზრით, კაცობრიობა არათუ ჩვენშია, არამედ თითოეული ჩვენგანი არის კაცობრიობა. დასავლეთში მას ადამიანის ღირსება უწოდეს. ამიტომაც ნებისმიერი არაადამიანური მოპყრობა, რომელიც ხელყოფს და, საბოლოო ჯამში, ანადგურებს ჩვენს ღირსებას, კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია.

– მოდით უფრო დეტალურად შევეხოთ უნივერსიტეტიდან თქვენი გათვისუფლების საკითხს, რამაც სტუდენტთა გამორჩეული ნაწილის მწვავე პროტესტი გამოიწვია. როგორ გგონიათ, რისი შედეგი იყო ეს ფაქტი და, საერთოდ, რა მდგომარეობაა ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის მიმართულებაზე?

საქმე ის არის, რომ ყოველივე იმის შედეგად, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ, შეიქმნა ერთობ სავალალო და პარადოქსული ვითარება: უნივერსიტეტი პოლიტიკურ-პარტიულ დაწესებულებად გადაგვარდა სახელმწიფო საიდუმლო სამსახურებისა და პოლიციური რეჟიმის საუნივერსიტეტო განშტოებებით. იგი მთელი ამ წლების განმავლობაში მიზანმიმართულად ახორციელებდა კვალიფიციური პროფესურის დევნას; ხელს უწყობდა და დანაშაულებრივად ახალისებდა არაკვალიფიციურობასა და აკადემიურ კორუფციას. აქედან გამოდინარე, არ ვფიქრობ, რომ ჩემი შემთხვევა განსაკუთრებული იყოს.

თუმცა არის რამდენიმე არსებითი გარემოება. საქმე ის არის, რომ წინა ხელისუფლებას ამოძრავებდა ე.წ. მოლოდინის ეფექტი; რაც იმას ნიშნავს, რომ მის კორუმპირებულ ქმედებებს „ზემოდან“, აუცილებლად ექნებოდა გამოხმაურება „ქვემოდან“, ანუ საზოგადოების გარკვეული წვრილ-წვრილი ჯგუფებიდან (უფრო ზუსტი იქნებოდა, თუ ვიტყოდით სექტებიდან), რომელიც სამწუხაროდ

ყველა ეპოქაში არსებობს და რომელსაც არანაკლებ ეხალისება კორუმპირებული ქმედებების ჩადენა — რაც ყველაზე სავალალოა — უზენაესი იდეალების სახელით. ამ შემთხვევაში, მე ვგულისხმობ ე.წ. აკადემიურ კორუფციას. ეს ის ვითარებაა, როცა დისკვალიფიცირებული და კვალიფიკაციის არმქონე ინდივიდები უზნეო ხერხებით ერთიანდებიან, რათა თავიანთი კორუმპირებული ჩანაფიქრი განახორციელონ. ასე რომ, ნაციონალურ-ტოტალიტარულ უნივერსიტეტში ერთმანეთს შეერწყა პოლიტიკური „კორუფცია ზემოდან“ და აკადემიური „კორუფცია ქვემოდან“. შემთხვევითი არც ის არის, რომ ბოლო დროს ამ ვითარებასთან დაკავშირებით გავრცელდა ტერმინი „ჩანერგილები“. ამგვარი სუბიექტები უნივერსიტეტის სტრუქტურების გამოყენებით ხალისით ასრულებდნენ კორუმპირებული პოლიტიკური რეჟიმის დაკვეთებს კონკრეტული პროფესორების დევნასთან დაკავშირებით. საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის მიმართულების გარკვეული ჯგუფი ამგვარი აკადემიურად კორუმპირებული ლაშქრობის ავანგარდში ჩადგა. ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ჯგუფები (სექტები) შესაშურ სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებენ და ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ახალ ვითარებასაც კომფორტულად მოერგონ. მაგრამ იმედი მაქვს, რომ ახალ ვითარებაში მათი კორუმპირებული მომსახურება და ანტიგამოცდილება არც სტუდენტებს დასჭირდებათ და არც საზოგადოების სხვა ფენებს, მით უფრო არ დასჭირდება ახალ ხელისუფლებას. ქართული საზოგადოება მძიმედ, მაგრამ მაინც მოახერხებს იმას, რომ ისტორიულ მოუსავლეთში გაისტუმროს „ნაციონალური ციხის“ მოდელზე გამოჭრილი ტოტალიტალურ-რეპრესიული უნივერსიტეტი მისი უფროსებიან — „ნადზორებიანად“ და აკადემიურად კორუმპირებული სექტებიანად.

რაც შეეხება ფილოსოფიის მიმართულებას, სურათი მეტად სავალალოა: უნიჭიერესი სტუდენტობა თითქმის მარტოდ არის დარჩენილი იმ პროფესურის წინაშე, რომლის ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი კვალიფიკაციას აბსოლუტურად მოკლებულია და რომელთა თავებში გარდა საბჭოურ-ბოლშევიკური კორუფციული მენტალური სქემებისა, არაფერი მოიპოვება. საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ ზოგიერთმა მათგანმა თავი გამოიჩინა როგორც ინტელექტუალურმა მეკობრემ და დაუოკებელმა პლაგიატორმა.

ყოველივე აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა, ეს სექტორი „აკადემიური უბედურების ზონად“ გამოეცხადებინა მათ, ვისაც ეს ხელეწიფება, ვიდრე ამგვარ კორუმპირებულ სექტებთან პოლიტიკური კეკლუცობა წამოეწყო.

აუცილებლად უნდა ვახსენოთ ბოლო დროის ე. წ. კონკურსების ნოუჰაუ ადმინისტრაციის ყოვლისშემძლე 3 წევრის სახით — გასული საუკუნის ავადსახსენებელი 30-იანი წლების „ტროიკების“ ანალოგი ე. წ. „ინტელექტუალური სიკვდილის ბრიგადები“.

კორუმპირებული პოლიტიკური ხელისუფლება — აკადემიურად კორუმპირებული "სექტები“ — „აკადემიური სიკვდილის ბრიგადები“ — აი ნაციონალურ-ტოტალიტარული უნივერსიტეტის რეპრესიული სტრუქტურა!

მკითხველს აღარ გადავღლი ასეთ საკითხებზე მსჯელობით; მით უმეტეს, რომ განზრახული მაქვს დავწერო მამხილებელი წერილების სერია ქართულ და ინგლისურ ენებზე, სადაც შევეცდები კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ვაჩვენო, თუ გადაგვარების რა მასშტაბებთან გაქვს საქმე.

მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ იმავე უნივერსიტეტში კვლავაც არსებობენ და მოღვაწეობენ მაღალკვალიფიციური კოლეგები, რომლებიც დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც. ისინი არცთუ მრავალრიცხოვანი არიან, მაგრამ როგორც ერთი ფილოსოფოსი ამბობს „მარად დარჩებიან“. სწორედ მათი თავდადებული ღვაწლის წყალობითაა, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, უნივერსიტეტის ეთოსი არ დაშრეტილა.

— როგორ გგონიათ, რა როლი ეკისრება უნივერსიტეტებს სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში და რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით საქართველოში?

— ამ საკითხში ჟაკ დერიდას ცნობილი პოზიციის პერიფრაზს გავაკეთებდი. ცნობილია სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკული ფუნქცია სახელმწიფოსა და ძალაუფლების სხვა ფორმების მიმართ. მაგრამ სამოქალაქო საზოგადოება არ არის კრიტიკის უკანასკნელი ინსტანცია და ასეთი რამ არც არსებობს. ამის გარანტი კი სხვა არაფერია თუ არა უნივერსიტეტი, რომელიც აკრიტიკებს კრიტიკულ ცნობიერებას; სამოქალაქო საზოგადოება სვამს შეკითხვებს, უნივერსიტეტის ფუნქცია კი არის ის, რომ შეკითხვები დაუსვას თვითონ შემკითხველ ცნობიერებას. უნივერსიტეტში — იურიდიული და ჰუმანიტარული ფაკულტეტების სახით — მუდმივად უნდა ხდებოდეს იმის გასიგრძეგანება, თუ ვინ არის ადამიანი და როგორ უნდა ხდებოდეს მისი უფლებების გააზრება. უნივერსიტეტი ეწინააღმდეგება ინტერპრეტაციებზე მონოპოლიების დამყარებას და ამით არ იძლევა მენტალური და სხვა სახის ძალადობრივი სტრუქტურების ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

საზოგადოდ, სამოქალაქო საზოგადოება და უნივერსიტეტი ხელს უნდა უწყობდეს ერთმანეთის გაძლიერებას.

— როგორია თქვენი ხედვა მომავლის საუნივერსიტეტო განათლებაზე? რამდენად მოხდა განმანათლებლობის რუსოსეული და კანტიანური იდეების ქართულ სინამდვილეში დანერგვა და უკვე არის თუ არა დრო, ვიფიქროთ ამ პარადიგმების გადალახვაზე?

— მთავარია, რომ უნივერსიტეტი დაუბრუნდეს მათ, ვისაც ის ეკუთვნის: სტუდენტებსა და პროფესორებს, ხოლო მათი საშუალებით — ქართველ ერს, საქართველოს მოქალაქეებს.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია: უნივერსიტეტს მიენიჭოს ჭეშმარიტი ავტონომია, პროფესურას აკადემიური — თავისუფლება, სტუდენტს — საუნივერსიტეტო კორპორაციის სრულუფლებიანი წევრობა.

ცნობილია უამრავი შემთხვევა, როცა სტუდენტები აკადემიურად კორუმპირებული პროფესურის მხრიდან განიცდიან ფსიქოლოგიურსა და სხვა სახის ზეწოლას. ამის მიზეზი ხშირად ხდება ის, რომ სტუდენტები ღიად გამოთქვამენ პროტესტს იმის გამო, რომ მათ სწორედ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ფავორიტი — კვალიფიკაციას მოკლებული და დისკვალიფიკაციაქმნილი — ინდივიდების გამოისობით არ ეძლევათ ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. სტუდენტები ექცევიან კორუფციული აკადემიური სქემების ტყვეობაში, რასაც ხშირად გამოძალვის სახე აქვს. საქმე ის არის, რომ იგი იხდის ფულს, რათა მიიღოს ხარისხიანი განათლება, სინამდვილეში კი უხარისხოსა და გაფუჭებულ პროდუქტს აჩეჩებენ.

ჩვენ გვჭირდება ისეთი უნივერსიტეტი, რომელშიც სტუდენტი არსებით მონაწილეობას მიიღებს როგორც აკადემიური პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფაში, ისე ამ პროდუქტის მიმწოდებლის შეფასებაში, როგორც ხდება ეს მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტებში.

რაც შეეხება განმანათლებლობას, კანტმა იგი არასრულწლოვანებიდან გამოსვლას დაუკავშირა. მიშელ ფუკომ მართებულად აღნიშნა, რომ აქ მთავარია „ექსოდუს“ — გამოსვლის პარადიგმა. არასრულწლოვანება კომფორტულია, იოლთან და სიადვილესთან, სიმსუბუქესთან არის დაკავშირებულიო; ეს კი ტექნიკის ნიშანია. არასრულწლოვანებას უკავშირდება აზროვნების და არსებობის ტექნიკური წესი. მაგრამ თუ ამ საკითხს სხვა კუთხით შევხედავთ, ამგვარი „გამოსვლა“ თვითონ არის განპირობებული კომფორტისკენ სწრაფვით: ადამიანი ასე ცდილობს, გაუსხლტეს ღმერთს და იმ პასუხისმგებლობას, იმ ტვირთს, რასაც მას ღვთის წინაშე დგომა აკისრებს. აქედან გამომდინარე, დღეს ბევრი მოაზროვნე უბრუნდება „აღყვანების“ პარადიგმას, რომელიც სიწმინდესა და საკუთარ თავში ღვთის მოძიებაზეა ორიენტირებული.

ამ გაგებით განმანათლებლობა ფილოსოფიაა; იგი ნათელთან არის დაკავშირებული, თავისი არსით რელიგიურია (ისე როგორც ჭეშმარიტი აზროვნება) და მართლმადიდებელ რწმენას ეფუძნება.

— ქვენ კოლოსალური ცოდნა და გამოცდილება გაქვთ დაგროვილი განათლების სფეროში. მხარს გიჭერთ და ძალიან გაფასებთ როგორც უნივერსიტეტის პროფესურა, ისე სტუდენტთა დიდი ნაწილი, რომელმაც შარშან ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით თქვენი მხარდამჭერი მრავალრიცხოვანი ჯგუფი ჩამოაყალიბა. მოგეხსენებათ ახლახანს უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობის დაკავებაზე კონკურსი გამოცხადდა. უნივერსიტეტში თქვენი მოღვაწეობით აღფრთოვანებული სტუდენტების დიდი ნაწილი ამ პოსტზე თქვენს კანდიდატურას აყენებს...

დიდი მადლობა; ჩემთვის უზარმაზარი პატივია ჩვენი უნიჭიერესი სტუდენტობის მხარდაჭერა და ნდობა. ამიტომაც, მე მივიღებ მონაწილეობას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში და შევეცდები, ისეთი პროგრამა წარვადგინო, რომელიც ჩემი ღირსეული კოლეგების მხარდაჭერას მომაპოვებინებს.

— როგორია თქვენი შეფასება იმ კანონ-პროექტისა, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელს პრემიერმინისტრი დანიშნავს?

— წინა პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, როგორც მოგახსენეთ, უნივერსიტეტი რეპრესიულ დაწესებულებად იქცა; ეს იმას ნიშნავს, რომ მან მიიტაცა ძალადობაზე უფლება. ეს უკანასკნელი, ანუ ლეგიტიმური ძალადობა მხოლოდ სახელმწიფოს პრეროგატივაა. სახელმწიფო უბრალოდ ვალდებულია, უნივერსიტეტი დააბრუნოს ლეგალურსა და ლეგიტიმურ სივრცეში. ეს უკანასკნელი არ გულისხმობს მარტო კანონიერების სფეროში დაბრუნებას, არამედ სამართლიანობის აღდგენას. სამართლიანობა კი „კანთა კანონადაა“ მიჩნეული. სტუდენტები და პროფესორები ამ სახელმწიფოს მოქალაქეები არიან და სახელმწიფო ვალდებულია, ისინი დაიცვას მოძალადე ინსტიტუციის რეპრესიული ქმედებებისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნივერსიტეტი დიდი ხანია გაიყვანეს მომსახურების სფეროდან და როცა მის ვაიმესვეურებს ჯიუტად არ უნდათ მისი ხსენებულ სფეროში დაბრუნება, მაშინ სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს ყველა ლეგიტიმური მეთოდი ამის გასაკეთებლად.

ამასთანავე ვფიქრობ, საზოგადოება მიესალმებოდა თუ უნივერსიტეტი თავისი ჯანსაღი ნაწილის სახით თვითონ გამოიჩენდა კეთილ ნებას, გამონახავდა შესაბამის რესურსებს და თვითონვე გადადგამდა სათანადო ნაბიჯებს ამ მიმართულებით.

წინა ხელისუფლების დამქაშები ცდილობენ, მოსახლეობას თავგზა აუბნიონ და ავტონომიის ცნებით მანიპულირებენ. მაგრამ ჩვენმა მოქალაქეებმა კარგად იციან, რომ ავტონომია არ ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი ოდიოზურ ჯგუფებს იზოლირებული, მოწყვეტილი ჰყავდეთ დანარჩენი საზოგადოებიდან და მას დანაშაულებრივ ტყვეობაში ამყოფებდნენ.

კორუმპირებული პოლიტიკური ხელისუფლება - აკადემიურად კორუმპირებული "სექტები“ — „აკადემიური სიკვდილის ბრიგადები“ - აი ნაციონალურ-ტოტალტარული უნივერსიტეტის რეპრესიული სტრუქტურა!

ალბათ, დამეთანხმებით, რომ აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ არსებობს, არც ერთი ინსტიტუტი — მათ შორის სახელმწიფოც — არ არის აბსოლუტურად დამოუკიდებელი. ალბათ, უპრიანი იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ დამოუკიდებლობა ყოველთვის ნიშნავს ახლებურ დამოკიდებულებას. ჩვენი გათვითცნობირებული მკითხველსთვის არ იქნება ძნელი გასაგები ისეთი მოდელი როგორიცაა „დამოკიდებული დამოუკიდებლობა“. მკითხველს შევახსენებ, რომ მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო — ამერიკის შეერთებული შტატები სწორედ ამ მოდელის მიხედვითაა დაფუძნებული: მას საფუძვლად უდევს თეოლოგიური სქემა, ოღონდ პოლიტიკურ მოწყობაში თეოლოგიური ელემენტი არავითარ როლს აღარ თამაშობს. უნივერსიტეტების დაბრუნება საჯარო სამართლის სფეროში, როგორც ჩანს, ამგვარი სქემის რეალიზებას გულისხმობს. მთავარია, სახელმწიფო იჩენდეს ე. წ. ჩაურევლობის ნებას, არ ერეოდეს უნივერსიტეტის შიდა საქმეებში და არ ზღუდავდეს მის თვითმმართველობას. მოწინავე დემოკრატიის ქვეყნებში ეს კანონით რეგულირდება. პირველი ბიძგის ჰიპოთეზას არ ვიზიარებ, მაგრამ შესაძლოა, ამ ვითარების საილუსტრაციოდ გამოდგეს: სახელმწიფო ბიძგს აძლევს უნივერსიტეტის ამოქმედებას და მისი ფუნქცია ამ მიმართებით მხოლოდ ამით ამოიწურება.

გარდა ამისა, იურისტებსა და სამართლის ფილოსოფიაში ჩახედულ პირებს კარგად მოეხსენებათ რადრბრუხის ფორმულა (Radbruchsche Formel), რომელიც გულისხმობს, რომ როცა უკანონობა ყოველგვარ ზღვარს გადადის, აუცილებელია არა კანონის მიხედვით მოქმედება, არამედ სამართლანობის პრინციპიდან გამომდინარე.

— ცნობილია, რომ ფილოსოფოსობის ის გზა, რომელიც თქვენ აირჩიეთ ფენომენოლოგიასა და ჰერმენევტიკაზე გადის. ისიც ცნობილია, რომ თქვენ მრავალ უცხოურ ენას ფლობთ და შესანიშნავი მთარგმნელიც ბრძანდებით. რას ფიქრობთ, როგორი უნდა იყოს მშობლიური ენის ადგილი საუნივერსიტეტო განათლების სიტემაში?

— მშობლიური ენა განათლების მიღების არა მარტო საშუალება, არამედ, გარკვეული აზრით, მისი მიზანიცაა. რაც შეეხება უცხოურ ენებს, დასაბუთებულია, რომ გარდა მრავალი სხვა სიკეთისა, მათი დაუფლება ადამიანს სწორედ მშობლიური ენის სიღრმისეულ ათვისებაში ეხმარება. უნივერსიტეტი განსაკუთრებულ მზრუნველობას უნდა იჩენდეს ქართული ენისა და, საერთოდ, ქართველოლოგიური მეცნიერებებისადმი. მრავლისმეტველია ის ფაქტი, რომ ლოგოსთან, რაც არის ფილოსოფიის სწრაფვის საგანი ბევრად ახლოსაა ფილოლოგია, ვიდრე საკუთრივ ფილოსოფია.

რა თქმა უნდა, იგულისხმება ის, რომ უნივერსიტეტი ასეთსავე მზრუნველობას უნდა იჩენდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და სხვა დარგებისადმი.

საზოგადოებას კარგად ახსოვს, რომ ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მძაფრი სტუდენტური პროტესტი სწორედ იმან გამოიწვია, რომ ისინი განიცდიან თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის მწვავე ნაკლებობას მშობლიურ ენაზე. უნივერსიტეტი კი ჯიუტად არაფერს აკეთებდა მათი სამართლიანი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

აუცილებელია, უნივერსიტეტმა ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ სტუდენტობა უზრუნველყოს კლასიკური და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის მაღალხარისხიანი თარგმანებით. თუმცა ძალისხმევა არ უნდა იქნეს შენელებული უცხოური ენების შესწავლის კუთხით. უპრიანია, კარგად გავითავისოთ რენე დეკარტის შეგონება, რომელიც უნივერსალური ცოდნის იდეალს განასახიერებს. დეკარტს საყვედურობდნენ იმის გამო, რომ იგი თავის ნაშრომებს ლათინურად წერდა, იგი კი ამბობდა: ჩემი მიზანია, ნიჭიერი ფრანგი ახალგაზრდობა სიზარმაცის ტყვეობიდან დავიხსნა და იძულებული გავხადო, ლათინურად იკითხოსო.

რა შეეხება ფილოსოფიას და მით უფრო მის ჰერმენევტიკულ ნაირსახეობას, შეუძლებელია აქ რაიმეს მიაღწიო, თუ თანამედროვე ენებთან ერთად ძველი ბერძნული და ლათინური არ შეისწავლე. ამის მერე მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება სურვილი იმისა, რომ ძველ ებრაულ ენას დაეუფლოს, ვინაიდან დასავლური სააზროვნო სივრცე, რომლის ნაწილი ჩვენც ვართ, წარმოუდგენელია ებრაულ-იუდეური ელემენტის გარეშე. იმისთვის, რომ თანამედროვე პოლიტიკურ — ფილოსოფიურ დისკურსებში სრულყოფილად ჩერთო, აუცილებელია, არაბულისა და სპარსულის შესწავლა. ყოველ შემთხვევაში, ეს ერთ-ერთი გზაა, თუ ამგვარი გამოცდილება ვინმეს გამოადება.

— როგორ გამოეხმაურებოდით გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" აღდგენას?

— გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენას მივესალმები. გაზეთის მესვეურებს და ქართველ მკითხველს ვულოცავ მის დაბრუნებას. შეუძლებელია იმ როლის გადაფასება, რაც „ლიტერატურულმა საქართველომ“ და მისმა რედაქტორმა ბატონმა თამაზ წივწივაძემ შეიტანა საქართველოში მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბების, კრიტიკული აზროვნების განვითარებისა და ეროვნული იდეალების გაცნობიერების საქმეში.

ესაუბრა ლექსო დორეული



ირაკლი ვაშაყმაძე

სასწაული ხევში

დარიალის ხეობაში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა – კურთხევით მთავარანგელოზების მიქაელის და გაბრიელის და წმინდა გიორგის სახელობის მონასტერი შენდება. 2010 წლის 6 მაისს, გიორგობას ეკლესიის გუმბათზე მომლოცველთა და მრევლის ნაამბორალი ჯვარი აღიმართა.

ტაძრად წამოიმართე და...
ვიგალობეთ,
ვილხინეთ,
ზეცით ჯვარი გაბრწყინდა და...
მაცხოვარი ვიხილეთ.
უცებ, ზეცა განათდა და,
გაჰქრა მტერი – ავთვალი,
ფარნავაზი...
მირიანი...
გორგასალი აქ არი...
დახანჯლული გაამრთელე,
გულის ძგერა გამქრალი,
დავით მეფე აქ არის და...
ბაგრატ მეფეც აქ არი...
გამანედლე სასოებით,
იმერ-ამერს დარია,
შორით – წკვარამ – წყვდიადია,
მზე დაჰნათის დარიალს.
ვაზს მტევანი გამოასხი,
ბნელი ნათლით ათენე,
ვით დიდგორში,
ვით შამქორში,
ისევ ამაქართველე.

ჭოკიანი

გადაიღო,
გადიკარა,
მოიწმინდა,
მაფშალიამ გათენება ინატრა,
მარიობა, ჭოკიანი გამიცოცხლდა,
დამქიზრა და ტანში შემაჟიჟმატა.
ალიანდრას ყვავილები შეჭკნობია,
ჯიჯოურის ჟვერი ნისლში ქანაობს,
ფოთოლცვენის ჩვენი წყარო დაუხრჩვია,
სორე მოლი, სორე წაბლის მარაო,
სორე ცირა...
დიდოუდო ნანაო.

სიზმარი

(სალომე ნიკოლეიშვილს)

წუხელ მესიზმრა – ხევდახევ,
მთა-მთა მიჰყავდი ძერასა,
თავშეხიზნული უფსკრულებს,
დავჰყეფდი ბედისწერასა,
მერე... ღვთის ნათელს ამოვყევ
ანგელოზების მღერასა,
ზეციდან წყარო დიოდა,
ბულბული ბრდღვნიდა ძერასა,
გარინდებული ვუსმენდი,
მაცხოვრის გულის ძგერასა.

ზამთრისპირის სევდა

მოწყენილი მაგნოლია,
ძირს გირჩები მოთქვამს ნაძვის,
ჩემო დედი, ჩვენს აივანს,
ზამთრისპირის სევდა აწვიმს.
ხელისგულზე ბაბოთია,
ბაგინეთი – კერცხეთია,
ზეით თოვლის მინდვრებია,
მარცხნივ ბებოს მესხეთია,
აქვე, ჩვენი ამაღლება,
ნისლში ინაშაურია,
უშენობაში სიცოცხლე,
გახვრეტილი შაურია,
აგერ, ჩვენი ჭურისთავი,
ვენახია, ბოსტანია,
ნაძვებია, ჭადრებია,
პალმებია, ალვებია,
ყოველივე, რასაც ვხედავ,
შენი თვალშენავლებია,
შენი ხელშენავლებია.
მოწყენილი ალიანდრა,
ძირს გირჩები ტირის ნაძვის,
ჩემო დედი, ჩვენს ეზო-კარს,
ზამთრისპირის სევდა აწვიმს.

ჰერეთული იავნანა – შეძახილი

„ჰერი ბიჭო, ჰერი გოგო, ჰერიო,
არ ვახაროთ მტერიო“

ჰერი ბიჭი, ჰერი გოგო – ჰერეთია
მაცხოვრის გულს მოგლეჯილი ხმელეთია,
დედის ძუძუს მოწყვეტილო მამასისხლად
ვინ ოხერმა დაგფლითა და გაგასხვისა.
ჰერი ბიჭი, ჰერი გოგო – ჰერეთია,
სიყვარულის გულში ელეთ-მელეთია.

ხმება ვაზი, წყვდიადი და უკუნია
ჰერის მთებზე ხმალაბჯართა გუგუნია.
ღვთისმშობელი ამ ღამესაც გაათენებს,
უფალი ჯვრით იბერიას გაამრთელებს.

ჰერი ბიჭი, ჰერი გოგო – ჰერეთია,
ჯერ კი, ირგვლივ... წკვარამი და ბნელეთია,
მაგრამ მაინც... მაგრამ მაინც... ღვთის წყალობით,
სიყვარულის გულში ელეთ-მელეთია.

იცი, საიდან მოვდივარ?

იცი, საიდან მოვდივარ?
ორმოცდაექვსი წლიდან,
თურმე რომ დავბადებულვარ,
შოთიე ხელმეხს ცლიდა.
ანგელოზების გალობა,
ჩამოისმოდა ციდან,
გახარებული ბაბუა,
ჭიქას ჭიქაზე ცლიდა.
დედიკოს მკლავზე ვტიროდი
ბიჭი სულ ერთი ციდა,
ხაჭაპურის ფქვილს ბებია,
ვერცხლის მერდინში ცლიდა,
თურმე ლამაზი ყოფილა
ივლისის ერთი დილა.

მუცო

მუცოს მკერდს დაღონებულო,
თვალცრემლიანო ღვიაო,
შემოგჯარია ღრუბლები,
როკავენ, არ მიდიანო.
წყაროთა ჩუმი ქვითინი
მღვრიე ტალღებად დიანო,
რამდენჯერ უნდა დამთოფო,
დამხანჯლო, გამატიალო,
ორპირო წუთისოფელო,
ზოგთათვის პირვარდიანო,
მუცოს მკერდს დაღონებულო,
თვალცრემლიანო ღვიაო,
დაღამებია მზის თვალსა,
შენთან კი მაინც მზეაო.

შატილი

გეახელ, ბარის ამბავი,
შატილო, უნდა შაგტირო,
შენც ვერ ყოფილხარ კარგადა,
ჟამისგან მკერდში დაჭრილო,
ჩემს დღეში მყოფსა, შატილო,
რაფერღა უნდა შაგტირო.

რა არ ვნახე

უფლის წყალობით და ნებით
ჩემი იმერ-ამიერი ვნახე.
ვნახე აის-დაისები იმერეთის,
ვნახე შენი მადლიანი სახე.
ვნახე დედა, ვნახე მამა,
დაი, ძმაი და მოყვასი ვნახე.
ვნახე მერცხალ-ბულბულებით
ალიონი თვალებს როგორ ახელს.
ვნახე წუნდა, მოწამეთა,
გელათი და ალავერდი ვნახე.
ნიალაზე შეფენილი ცხვარი ვნახე,
და ბოროტის დაგებული მახე.
და ბოროტის მოქნეული სახრე.
ვნახე ბევრი სასწაული,
რა არ ვნახე, ქვეყნად რა არ ვნახე!

არ ვთვლი თავს თადარიგის მოქალაქედ



***ემზარ ტურძელაძე**, ინჟინერ-მშენებელი, სხვადასხვა დროს მუშაობდა „მთავართბილმშენში“ მშენებელ-ოსტატად, ჰიდროტექნიკისა და ნაგებობათა თბილისის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუში უმცროს მეცნიერ-მუშაკად (გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ნაშრომი ჰიდროტექნიკური მშენებლობის დარგში), საბინაო კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილედ, საქართველოს მინისტრთა საბჭოს საქალაქო მეურნეობის განყოფილების გამგის მოადგილედ, დედაქალაქის მერიაში სხვადასხვა დარგის ხელმძღვანელად, ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის მოადგილედ. ერთი სიტყვით, ეს არის კაცი, რომელიც ასეთი ფორმულირებით დაჯილდოვდა ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ: „თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების საქმეში პირადი დიდი წვლილისა და აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის“*

ლიტერატურა მისი ჰობია, თვალს ადევნებს სამწერლო ცხოვრებას; მისი სახით ქართულ მწერლობას ჰყავს ერთგული ქომაგი და გულშემატკივარი.

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება ***ემზარ ტურძელაძე**.*

— ბატონო ემზარ, ერთმანეთი დაკარგული რომ გვეგონა, ისევ შეგვახვედრა „ლიტერატურულმა საქართველომ“. ასეთ მოვლენაზე თუ უთქვამს ჩვენს დიდ წინაპარს: „ამ დღეს ველოდი მოვესწარ ...“.

თქვენ რას იტყოდით?

— ვულოცავ ქართველ მკითხველს უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას — გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენას. ბატონმა თამაზ წივწივაძემ ფარაონივით, ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ გაზეთის აღდგენა ასეთი საყოველთაო სასიხარულო მოვლენა გამხდარიყო ქართველისთვის, გაზეთის აღდგენასთან ერთად, ხალხს მისი გამარჯვებაც უხარია — „მინდა უჩემოდ იყო ხანდახან, რომ ჩემთან ყოფნის ფასი იცოდე“. ძალიან გახარებული ვარ მწერალთა გაზეთის აღდგენით; პარასკევი დღე გამორჩეულად მიყვარდა ყოველთვის და, კვლავ დაგვიბრუნდა ამ დღის მოლოდინის სასიამოვნო განცდა,

რაც შეეხება თქვენს წინადადებას ინტერვიუს თაობაზე — ვერც ვერასოდეს წარმოვიდგენდი თუ პირველივე ნომრებში მხვდებოდა წილად. უღრმეს მადლობას გიხდით თქვენც და ბატონ თამაზსაც ამისათვის, მე ალბათ როგორც თქვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს მხვდა ეს პატივი ბონუსად.

— როგორც ვიცი ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის მოადგილედ მუშაობდით, ამჟამად პენსიონერი ხართ, როგორ შეეგუეთ უმოქმედობას, დაუსაქმებლობას?

— დიდი ნიჭიაო, უთქვამთ — წახვიდე იმაზე ადრე, რომლის შემდეგ უკვე ზედმეტი იქნები. ჩემი წასვლა კი იმან განაპირობა, რომ ჩვენი სამინისტრო გააუქმეს. ასე, რომ ჩემი დაუსაქმებლობა არაა ჩემი ნიჭის თუ უნიჭობის ბრალი.

თქვენი ნებართვით ერთ გადახვევას გავაკეთებ: თავის სამშობლოში შექმნილი ვითარების გამო შამილს ლექსის წერა აუკრძალავს თურმე — „მე ომი მაქვს, ვინც ლექსს დაწერს, სიკვდილით დაისჯებაო.“ ნაიბებს უთქვამთ — ეს არ გამოვაო...; შამილს უპასუხია — „ვინც ამ კანონის შემდეგ ლექსს დაწერს, ის არის პოეტიო“.

მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში არავის აუკრძალავს, მაგრამ ურბანიზააციისა და მშენებლობის სამინისტროს გაუქმებამ დიდი ზიანი მიაყენა მშენებლობისა და საბინაოკომუნალური მეურნეობის საქმეს.

დღეს ჩვენს ქვეყანაში წარმოებს მშენებლობანი, თუმცა ბევრი რამ აქვთ ქართველ მშენებლებს გულსატკენი. ფაქტობრივად იგნორირებულია მთავარი ის პოსტულატი, რომლითაც განსაზღვრულია პროექტის, მშენებლობის წარმოების, მისი კონტროლის, აშენებულის შემდგომი ექსპლოატაციის ერთიანი პროცესი, რომელიც მოითხოვს აკუმულირებას. შებღალულია ქართველ მშენებელთა, არქიტექტორთა და საქალაქო მეურნეობის მუშაკთა პროფესიული ღირსება, ავტორიტეტი, დაკნინებულია ექსპერტიზის ფუნქცია; არქიტექტურული „ქმნილებანი“ კი ჩამოეფარნენ სივრცეს, ვერ ჩაეწერნენ მასში და, ფაქტიურად დაიკარგა პეიზაჟი, რაც განსაკუთრებით ხიბლავდა მოსახლეობას და დედაქალაქის სტუმრებს. ან რა გასაკვირია აღნიშნული, როცა 2004 წლის შემდეგ თბილისის არქიტექტურის სამსახურს ჯერ მინერალური წყალი „ნაბეღლავის“ ფირმის დირექტორი ჩაუყენეს სათავეში, შემდეგ ქუთაისის ციხის ყოფილი უფროსი თუ იურისტი. ამ სამსახურს კვლავაც პროფესიით იურისტი ხელმძღვანელობს.

ცალკე შესწავლის საკითხია მშენებლობის ხარისხი და ნაგებობათა საიმედოობა. ქვეყანაში, სადაც ყველაზე ღირსეულ მეფეს ხალხმა „აღმაშენებელი“ უწოდა, შეგონება: პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, ისე გაიგეს, რომ მეპურეს ქვეყნის ეკონომიკა და მშენებლობის ხელმძღვანელობა ჩააბარეს, ამასთან „მდგრადიც“ დაუმატეს. შესანიშნავად მიესადაგება ამ გარემოებას ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვები, ბონია მეწისქვილეს რომ უთხრა — „არასოდეს რომ არ გაგიკეთებია და არ იცი რაა, ისეთ საქმეზე რამ მოგაკიდებია ხელი შე კაცო“.

ის გარემოება, რომ ფირმა „თბილისის წყალი“ წყალსადენის ქსელში არსებულ 35-40% მოწოდებული წყლის დანაკარგს ინაზღაურებს გაზრდილი ნორმით და მაღალი ტარიფით მოსახლეობის ისედაც მწირი შემოსავლებიდან, ნათლად მიუთითებს, რომ თუ დაგვიანებული არაა, საჭიროა დაისვას საკითხი მარეგულირებელი კომისიების არსებობის აუცილებლობის შესახებ. შესწავლის შედეგად მრავალი კურიოზი გამოვლინდება ალბათ.

არსებობს ერთი ბრძნული შეგონება: „პატიოსანი საქმისთვის უნარიან ხალხს ეძებენ, არაპატიოსანი საქმისთვის — ნდობით აღჭურვილთ“. ამ სიტყვების პერიფრაზი — პატიოსანი ხელმძღვანელი საქმისთვის უნარიან და პატიოსან ხალხს ეძებს. საქართველოში არ დალეულა ორთავე თვისებით აღჭურვილი ახალგაზრდა სპეციალისტები.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ განგებამ, როგორც ხოკეის თამაშის წესებითაა გათვალისწინებული „გაიხსენოს“ ე.წ. „отложенный штраф“-ი, მშენებლობაში დაშვებული არაპროფესიონალიზმისთვის, თბილისში ხომ 20 ათასზე მეტი ავარიული შენობა-ნაგებობაა აღრიცხული 2002 წლის აპრილის მოწისძვრის შემდეგ; რა პასუხს გასცემენ ქ.თბილისის მერი და ქვეყნის ხელმძღვანელი ავარიულ სახლებში მცხოვრებთ?

— ბატონო ემზარ „ნამეტნავად“ ვიწრო პროფესიულ სპეციფიკური ინტერვიუ ხომ არ გამოგვივიდა? სხვა, ზოგად ვითარება-სიტუაციას ხომ არ შევეხოთ? თბილისის საზოგადოების ცხოვრების ახლანდელ სპეციფიკას?

— ერთი მართლაც ქართული ყოფაცხოვრებისათვის უცხო, უჩვეულო გარემოება შეინიშნება თბილისის ბაღ-სკვერებში. დღეს მცირეწლოვანი ბავშვები ძირითადად მამაკაცებს გამოჰყავთ სუფთა ჰაერზე სასეირნოდ. ისინი, როგორც წესი, სულ მამები და ბაბუები არიან. ქალებსაც დაჰყავთ ბავშვები, მაგრამ ისინი დაქირავებული ძიძები არიან. მიზეზი კი ისაა, რომ ოჯახის მარჩენალი მამაკაცები უსამსახუროდ არიან დარჩენილნი. ხალხი ქილიკით ამბობს „ქვეყანა გადაბრუნდაო“ და იმ ძველ დროს იხსენებს, როდესაც ქვეყანაში ყველა მამაკაცს ჩამორთმეული ჰქონდა უფლება უმუშევრობაზე.

— ვის გამოარჩევდით ახალი ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის?

— არ შეიძლება აქ არ გავიხსენო ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის შესანიშნავი სიტყვები: „სიმართლის ერთგულებით მხოლოდ მტრები შევიძინე და, რაც უფრო უარესია, მტრების გინებით მოყვარეს შევაჯავრე თავიო“. ეს სიტყვები ნაღდად მართალი და გულრწფელია, მაგრამ ჯანსუღ ჩარკვიანის „სიფრთხილეს არ სტკივა არც გული, არც თავი, სიფრთხილეს არ უთქვამს არასდროს მართალი“ — აფორიზმია.

არ ვთვლი თავს უფლებამოსილად ვინმე შევაფასო, მაგრამ, რომ არ გაგაწბილო, ვიტყვი რასაც ვფიქრობ. განსაკუთრებით გამოვარჩევდი თუ გამოვყოფდი ი. ღარიბაშვილს, თ. ხიდაშელს, თ. წულუკიანს, დ.ნარმანიას. ესენი, ჩემი ღრმა რწმენით, — განათლებით, ცოდნით სიწმინდით, უაღრესად ერთგული, თავდადებული შრომით და შრომის შედეგებით, მართლაც რჩეულები არიან.

შრომის უნარი, მუყაითობა და შედეგიანობა მათთვის თანდაყოლილი ნიჭია, როგორც „родимое пятно“. მათ ფონზე იკვეთებიან ნაწილი ადამიანებისა, რომლებსაც განათლებაც აქვთ, შრომობენ, სულ მოუცლელები არიან, მაგრამ — შედეგი ნაკლებია. ასეთებზე იტყვიან ხოლმე: ეს კაცი ყველაფერს აკეთებს, რომ ფაქტიურად არაფერი გააკეთოსო. ისე, ადამიანი გასაოცარი არსებაა — სხვა ადამიანი კატორღაშიც რომ მუშაობდეს ქვის სატეხ კარიერებზე, შორიდან მაყურებელი იტყვის ან გაიფიქრებს, რომ თავისი ქანდაკებისთვის გრანიტის ქვას ეძებსო. ასეა თურმე.

— კარზეა მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნები. რომელი პარტიის რჩეულს დაუჭერთ მხარს?

— რომ გეკითხათ პრეზიდენტად ვის ისურვებდიო, სხვას დავასახელებდი, მაგრამ გაცხადებულ კანდიდატთა შორის — მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გეტყვით, რომელი პარტიის რჩეულიც არ უნდა იყოს, მაინც გიორგი მარგველაშილს. არიან ადამიანები რომლებიც მიაღწევენ თუ არა საწადელს ბიზნესსა თუ კარიერაში — ზნეს იცვლიან, რომ იყვნენ, იმაზე უარესნი ხდებიან. გიორგი მარგველაშვილი კი, რაც უფრო წარმატებული ხდება, უკეთესდება და იმიტომ. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის, რომ მას არ იზიდავს ფუფუნება. ეს ის თვისებაა, რომელიც ზედმიწევნით უნდა კონტროლდებოდეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა.

— ამჟამად რასა იქმთ, რას საქმიანობთ?

— კარგა ხანია 70 წელს გადავაბიჯე, მაგრამ თადარიგში რომ გადავედი, როგორც მოქალაქე არ ვთვლი თავს თადარიგის მოქალაქედ. ჩემს მეგობრებთან და ყოფილ ახალგაზრდა თანამშრომლებთან ერთობლივად შევქმენით სტრუქტურული დანაყოფი, ჯგუფი და შევიმუშავეთ თბილისის საბინაო ფონდის ავარიული და დაზიანებული საცხოვრებელი ფართის განახლების გრძელვადიანი და იპოთეკური თვითდაფინანსების და თვითგანვითარებადი სისტემის პროგრამა. იგი ითვალისწინებს მოსახლეობიდან და საფინანსო ინსტიტუტებიდან ინვესტიციების მოზიდვისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, საშუალებას აძლევს ავარიულ და სხვა კერძო სახლებში მცხოვრებ მოსახლეობას ეკონომიკურ ბრუნვაში მოაქციოს პრივატიზებული ბინები და მონაწილეობა მიიღონ ქალაქის განაშენიანებაში. აღნიშნული პროგრამა მოწონებულ იქნა უცხოელი ექსპერტების მიერაც. ექსპერტებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ის გარემოება, რომ ამ პროგრამით ბინათმშენებლობა ხელმისაწვდომია მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ნაწილისთვისაც. მიუხედავად აღნიშნულისა, პროგრამით დღემდე არ დაინტერესებულან ქალაქის მესვეურნი. მიზეზი, ალბათ მოვლენათა ხშირი ცვლილებები და თვით ფონდის არაკომერციული დანიშნულებაა. ნათქვამია: სიტყვა ნდობის ან მტრობის მთესველიაო. ჩემმა ნათქვამმა ვერ დათესა ნდობა. ისე ცოდვა გამხელილი ჯობიაო — ჩვენი პროგრამის შესახებ მხოლოდ წერილობით ვაცნობეთ, პროგრამაც ვაახლეთ, თუმცა როგორც იტყვიან „თავი არ მოგვიკლავს“. შედეგი შესაბამისად ნულის ტოლი მივიღეთ.

მიუხედავად ამისა, ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ქვეყნის სტრატეგიული განვითარების პროგრამაში აუცილებლად იქნება გათვალისწინებული თბილისელთა კეთილდღეობის ამაღლების ღონისძიებანი, რაც გულისხმობს მოსახლეობის ღირსეული საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო გამოჩენილი არქიტექტორის ლე კორბუზიეს (რომელიც სიცოცხლეშივე მოესწრო მსოფლიო აღიარებას) შესანიშნავი და ყოვლის მომცველი სიტყვები: „კურთხეული იყოს ომის შემდგომი სიღარიბე, რადგან მან მოგვწყვიტა ფეშენებელური სასახლეების მშენებლობას და გვაიძულა მიგვემართა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის“.

გვწამს, რომ ამ საქმეს გამოუჩნდება შესაბამისი დრო და მხარდაჭერა. „Случай - великий мастер бития, он дает, он и отнимает“.

— რუსულ გამოთქმებს ხშირად იყენებთ. რით ავხსნათ ეს?

— თქვენი შეკითხვების პასუხებზე, ჩემს ნაფიქრალზე უფრო კარგი პასუხი მინდა გაგცეთ და ამიტომ, ხან რუსულ და ხან სხვა გამონათქვამს ვიხსენებ ხოლმე. თორემ რაც რუსმა დაგვმართა როცა ჩვენი შეცდომები და სისუსტე დაინახა ყველაფერი კარგადაც მახსოვს. რუსის საქციელი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, წინასწარ ადვილი გამოსაცნობია. მათ ერთ-ერთ და უმთავრეს სენტენციაში: „тот прав, у кого больше прав“, ყველაფერია ნათქვამი.

ამ ცოტა ხნის წინ რუსული პრესა წერდა, რომ ი.სტალინს რომ არ მოეპარა ატომური ბომბის ტექნოლოგია, ჩვენ (ანუ რუსები) ეხლა ინგლისურად ვილაპარაკებდითო. თუ როგორ დაუფასეს რუსეთისთვის გაწეული ღვაწლი, ყველამ კარგად იცის.

ალბათ არ იქნება უინტერესო შემდეგი ფაქტი: თურმე ბეთჰოვენი თავის ქმნილებათა შესაქმნელად რუს თავადიშვილ — ანდრეი რაზუმოვსკის დაუფინანსებია. თავის მხრივ ბეთჰოვენს მადლიერების გამოსახატავად თავისი ლეგენდარული მე-5 და მე-6 სიმფონიები მიუძღვნია ანდრეი რაზუმოვსკისათვის. ამის შემდეგ ყოველი კონცერტის პროგრამაში იბეჭდება ა.რაზუმოვსკის პორტრეტი და ეს დღემდე გრძელდება. რუსი უმადურია თავისი ბუნებით, თუმცა რუსის ნათქვამია, რომ: „— Требовать благодарность — глупость, не быть благодарным — подлость“. თუმცა, ჩემი აზრით მას ახასიათებს სოლიდარობა იმასთან, ვისაც სდევნიან, ამასთან, თვითონ არასოდეს ამბობს უარს დაჩაგროს ის, ვინც ამის უფლებას აძლევს.

დასასრულ, მინდა გამოვხატო პირადად ჩემი აზრი იმის შესახებ, რომ თბილისში მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, ძალიან ნელა, მაგრამ კარგავს რწმენას თავიანთი ცხოვრების უკეთესი მოლოდინისას. ეს ის ხალხია, რომელმაც დღემდე თავი პატიოსანი შრომით მოიტანა და მთელი ცხოვრება იცოდნენ, რომ ყველაზე რბილი ბალიში სუფთა სინდისია. ხალხს დასაქმება უნდა; „როცა სიღარიბე კარიდან შემოდის, რწმენა ფანჯრიდან მიფრინავსო“. იმისათვის, რაც ბატონმა ივანიშვილმა გააკეთა, გამოხატა რა, ქართველი ხალხის 90%-ის აზრი, თქვენი გაზეთის მთავარმა რედაქტორმა ბატონმა თამაზ წივწივაძემ ღვთისგან მოვლენილი კაცი უწოდა მას.

ადამიანი ერთადერთია ცოცხალ არსებათა შორის, რომელსაც სწორი ხაზის გავლება შეუძლია და, ღრმად მწამს, რომ ქართველებს უახლოეს ხანში გვექნება სათქმელი, რომ ქართველები ის ხალხი ვართ მსოფლიო ხალხებს შორის, რომელმაც ყველაზე სწორი არჩევანი გააკეთა. ქართველმა ხალხმა დაიმსახურა ის, რომ ბატონი ივანიშვილი მოვიდა.

ესაუბრა
გიორგი ფანიაშვილი

ლეილა მეესხი

დენდო

ნოველა

წითელგულა ჩიტების გუნდმა გადიფრინა. იქვე, ახლოს, ხის ტოტებზე ჩამოსხდნენ. მწვანე, გრძელნისკარტა ფრინველები იყვნენ. საოცრად ლამაზები. უმრავლესობას წითელი ფეხები უჩანდათ...

– ამ ჩიტებს „ომის მაცნეებს“ ეძახიან... – ჩაილაპარაკა ქალმა. ღია ფანჯრასთან იდგა, ფრინველების ქროლვას უცქერდა. – იმ ადგილს უტრიალებენ, სადაც სისხლი იღვრება, მიწა სახიჩრდება... ბუნების, ადამიანების დასაშიმინებლად მოფრინდებიან ხოლმე.

– ამიტომ უტრიალებენ სოფელს?! – ჰკითხა კაცმა.

– ალბათ.

ცოლ-ქმარი დაბინდებისას ესტუმრა სოფელს, ჩუმათ, მალვით შემოვიდნენ. მანქანა ეზოს ბოლოს, ჩრდილებში მიმალეს. მშობლიური ეზო-კარისთვის დაეხედა სურდა ვაჟას, ასე უპატრონოდ ხომ არ მიატოვებდა აქაურობას. არადა, ავად გაყურსული ჩანდა სოფელი... შიში, ცოცხალ არსებასავით დააბოტებდა. ჩამიჩუმი არ ისმოდა. დაცარიელებულს ჰგავდა იქაურობა.

დილაადრიან, აივანს მიაშურა ვაჟამ. ტალავერქვეშ, ჩრდილში დაიმალა. სოფელს გახედა. მიაყურადა. სადღაც ბაკის კარი შეხსნეს, ვიღაც ლანდად გასხლტა ეზოში. აკრიახებული დედალი წიწილებს ჩაუსვეს. ხმები გარკვევით შემოდიოდა. ადამიანები ძველებურად განაგრძობდნენ ფუსფუსს, მისვლა-მოსვლას. სულ ახლოს, ღობის იქით, წალამი ჩაყარეს თონეში, ტკაცატკუცით ავარდა ალი. ახლადგამომცხვარი პურის სურნელი დატრიალდა. „საკუთარ სახლ-კარს, ნაშრომ-ნაწვალებს ვერ ელევიან... იკარგებიან, მაგრამ მაინც აქ არიან. მიწიდან ლანდებივით ამოდიან... იხოცებიან და მაინც ცოცხლები არიან!“ – ტკივილიანმა ფიქრმა გააზრიალა...

ეგონა დაცარიელებული დახვდებოდა სოფელი. ახალგაზრდები გაიხიზნებოდნენ, მხოლოდ ბერიკაცების თუ ბერიქალების უღიმღამო ლანდები ირაცრაცებდნენ... ასე არ აღმოჩდა... ვენახის ბოლოს ტანმაღალი ვაჟი გამოჩდა. რწევით მოდიოდა. დასტვინა. ერთმანეთს ნიშანი მისცეს. (როგორც ადრე, სიყმაწვილის ჟამს). ხის ტოტები დაიწია ვაჟმა, ტანი აიმჩატა და ღობეზე გადმოხტა, ღმერთო! ასე თუ კაცის ხილვა გაუხარდებოდა, არ ეგონა. თავისიანის, ახლობლის ხილვა... ჩანს აუხდა წუხანდელი სიზმარი. ცხადში გამოეცხადა ბავშვობის მეგობარი... მორღვეულ ღობეზე ტანმჩატედ გადმოაბიჯა. ძაღლი ახლდა თან. წითელი, გაქუცული. ფეხდაფეხ ადევნებული. კუდმოჭრილი ჩანდა, ყურებჩაჭრილიც... ვიღაცას დაესახიჩრებინა ცხოველი. თითქოს ეთამაშა, გართულიყო.

– ვაჟა! ჭირიმე... – ჩაეხვივნენ ერთმანეთს.

– როგორ მომენატრე... სად ხარ, ბიჭო?

ერთ დროს ულამაზესი ჭაბუკი. ლურჯი თვალებითა და ხვეული თმით, მაღალი ტანით, გაშლილი მხრებით, თავმომწონე. ახლა შეცვლილი ჩანდა, ილაჯგაცლილი. გახუნებულ-გაჟღალებული... არადა, სიმართლე – სიმართლეა... ქალების მუსუსი იყო, „თითო ღამის გასათევი ყველგან მაქვსო“ – იწონებდა ერთდროს თავს, – „მეც მიყვარს ისინი და იმათაც ვუყვარვარო... რა არის ამათში ცუდი?! ქართველებს ვამრავლებ“. ძველი პეწი ნაკლებად შერჩენოდა, უფრო გათელილს ჰგავდა... ცხოვრებასთან ნაჯიკავებს. ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა, ვერ დაწყნარდა... თავადაც არ იცოდა რა სურდა, საითკენ მიიწევდა.

– ერთ ქალს რატომ უნდა შეაჩერდეს კაცი... სხვებმა რა დააშავეს?.. (ეს მისი სიტყვები იყო) რომ იცოდე რა ლამაზი შვილები მყავს. ერთმანეთზე უკეთესები. დახატულები არიან... – თითქოს თავს იმართლებდა.

... ახსოვს, სკოლაში, ყველაზე გვიან შემოვიდოდა. რწევით, თეთრი კბილების ელვარებით. განსაკუთრებით, ინგლისური ენის გაკვეთილზე იგვიანებდა. ახალგაზრდა მასწავლებელზე, ქალაქელ ქალიშვილზე იყო შეყვარებული. მზეონა ერქვა თუ თეონა, აღარ ახსოვს ვაჟას. ერთი წელი იმასწავლებლა, მერე დაბრუნდა დედაქალაქში... თავმომწონე, ყველასგან გამორჩეული ბიჭი, აშკარად ეტრფოდა ქალიშვილს. მინდვრის ყვავილებს მიართმევდა, წითელი ვარდის კოკრებს. ჭკუაზე არ იყო... ისიც აჰყვა. გამოუცდელი ჩანდა. გაკვეთილზე დაგვიანებით რომ შემოვიდოდა ვაჟი, რწევით შემოაღებდა კარს, გულისჯიბიდან ყვავილების თაიგულს დააძრობდა და ქალს მიართმევდა, აკისკისდებოდა : – „ვახ! მოვიდა, დენდი!“ – იტყოდა. თავდაპირველად გოგო-ბიჭებმა ვერ გაარკვიეს რას ნიშნავდა სიტყვა „დენდი“. როცა გაიგეს, უკვე ერქვა ვაჟს ზედმეტსახელი – „დენდო“. ბოლომდე შერჩა...

– ბიჭო! რადიოს თუ უსმენ... – გაავებული ჩანდა – ვერაფერი გავიგე... ცაზე რუსული თვითმფრინავები დაფრინავენ. გვმბომბავენ. ტანკებმა გზები ჩაკეტეს, გასასვლელებში ჩადგნენ. აქეთ არტილერია გვიშენს... გორი დაბომბეს... ახლომახლო სოფლები მიასწორ-მოასწორეს. ჩვენები კიდევ რადიოთი გადმოსცემენ, „მომხვდური გავდევნეთ, გავიმარჯვეთ, ჯარმა ივაჟკაცაო“... ვერაფერი გამიგია. „ტანკები ავუფეთქეთო... თვითმფრინავები ჩამოვყარეთო“... ვის დავუჯერო?! შენ მაინც გამაგებინე... რატომ ხოცავენ ამ ხალხს?! დედაჩემი საწოლიდან ვერ წამოვაყენე... აქ უნდა მოვკვდეო... რა ვქნა?! მივატოვო დაკუნტული ბერიქალი?! რა ხდება გამაგებინე... მოდიან, შენს მიწას ეპატრონებიან. მამა-პაპის დანატოვარს... იცი, ესენი ვინ არიან? სეპარატისტებს რომ უწოდებენ... სეპარატისტები კი არა, ჩემი შამბალა!.. ვიცნობ მათ... ნაუბედურალი ხალხია, „პაბეგში“ მყოფნი... აქ აფარებენ თავს. თავიანთი მიწისთვის არ მოუვლიათ, არ დაუთესავთ და არ მოუმკიათ და შენი მიწა რად უნდათ! მაგათმა ძარცვა იციან მხოლოდ, ადამიანების დახოცვა. არც თავიანთი მიწა-წყალი უყვართ და არც სხვისი... ეგაა სიმართლე! ვიცნობ...

– საიდან?!

– შენსავით წიგნისთვის კი არ შემიკლია თავი. პეპელასავით ვიფრინე. ხან აქ, ხან იქ... ამ ხეტიალში ვის არ გადაეყრები, ჰოდა, გავიცანი... ჩემი დანახვა არ ესიამოვნებათ, ბევრი რამის მომსწრე ვარ!

მარნის წინ ისხდნენ, დაბალ სკამებზე, ხახვი, ხმელი პური და თევზი ეწყოთ. დიდი ვერაფერი სუფრა ჰქონდათ! უპირველესად, ღვინის ამოსაღებად ხაპი მოიძია მასპინძელმა... სტუმრის თვალწინ მოხადა ქვევრს. აყალო მიწა მოაცილა, სახურავი ახადა, ბრკე მოწმინდა. ღვინომ წინწკლები რომ გაჰყარა, გაიხარეს. შეჰყვნენ და შეჰყვნენ... ამ მთისა და იმ ბარის, ძველი და ახალი, მესამე ჭიქას, მეოთხე მიჰყვა... უკვე ზარხოშად იყვნენ. რაც თქვეს, გაიხსენეს, საკმაო აღმოჩნდა... ახლა დაცლილ ქვევრებივით წამოგორებულნი, ბოლო სურვილს თუ საწადელს უმხელდნენ ერთმანეთს...

– ვაჟა! თუ ჩემი ძმა ხარ! გთხოვ... ვინცობაა, ფეხი წამიცდეს, შევშინდე და გავიქცე, ძმურად გეხვეწები... ჩემი საწყალი დედა უპატრონოდ არ დამიტოვო... შეაკითხე... ლუკმა აჭამე...

– რა ლაპარაკია, ბიჭო... არც იფიქრო!

კარგა ხანს თავდახრილი იჯდა დენდო.

– სიმართლე რომ გითხრა, არსად წამსვლელი არ ვარ. გული მიგრძნობს ცუდს და ეგაა მიზეზი... საკუთარი თავისთვის ვერაფერი მომიხერხებია. რატომ მაქვს ამგვარი განცდა, არ ვიცი. მაგრამ ასეა... მივქარე იმდენი რომ ვიხეტიალე... უპატრონოდ დავაგდე აქაურობა. წასართმევად რომ წაეპოტინენ, ახლა გავიგე ნამდვილი გემო...

მიჩუმდა, თვალებში ჩამდგარი ცრემლი ხალათის საყელოთი შეიწმინდა. პირამდე გალიცლიცებული ჭიქა ბოლომდე დასცალა. ხარბად, სულმოუთქმელად ბოლომდე შესვა.

– ფიცხი კაცი ვარ, მოუთმენელი... ვიცი, ვიღაცას შევაკლავ თავს. – ჭიანაჭამი, დარკილული კბილები უჩანდა.

– რა მოგივიდა, ბიჭო? – შეაჩერა ვაჟამ.

– შენ გგონია, ლაჩარი ვარ?!

– რა იცი, ეგებ ვართ ლაჩრები! – ჩაეღიმა ვაჟას – საკუთარ სახლში, საკუთარ მიწაზე, რომ დაიმალები, სარდაფში ჩაძვრები... გაისუსები, ლაჩარი ხარ, მაშ! რა?

– არ ვიცი... ეგებ მართალი ხარ!--წამოდგა, – წავალ ჩემს საცოდავ დედას დავხედავ, დანატრულია ჩემზე...

– გადმოდი, ეს ქვევრი ჩვენი დასალევია!..

– ჰო..

საიდანაც შემოვიდა, იმავე გზით წავიდა. უკვე მთვრალი იყო ვაჟა. ერთბაშად მოეკიდა ღვინო. ბომბივით მაგარი ღვინო დააყენა!...

თავმოხდილ ქვევრს სახურავი დაახურა, აყალო მიწით შემოზილა, როცა გაიმართა, მოეჩვენა... მარნის ღია კარიდან ისინი უმზერდნენ... თავისიანები, წინაპრები... მთელი დღის დაღლილს, ღვინის სურნელით ავსებულს, სიამოვნებდა მათი ლანდების კრთომა... კიბეს აჰყვა... ზალაში შებორძიკდა, მშობლების გადიდებულ სურათებს დააცქერდა, უტყვ მოწმეებივით აკვროდნენ კედლებს... გახუნებულ ფოტოებს წენგოსფერი დასდებოდათ. გაცრეცილი ნაკვთები უჩანდათ. მალე ვეღარაფერს გაარჩევს. დრო ყველაფერს წაშლის... გახუნდება სურათი.

საძინებელში შეაკითხა ცოლს. ახლადნაბანავები ქალი, ჯერაც სველი თმით, ჭრელზოლიან ფარდაგზე ფეხშიშველა იდგა. ჩითის მსუბუქი პერანგი ხალვათად ადგა ტანზე... გულმა მისკენ გაუწია.

– „საცნაურსა დაგიყენებ, საცნაურსა ფერასაო, შუშუ ჭრელსა, შუშუ კვრელსა, შუშუ ვეფხვისფერასაო“... – წაუღიღინა, წამოწეულ მუცელზე თითები შეაპარა, მიუთათუნა... ჩაეცინა ქალს.

– მესმოდა თქვენი ჭიკჭიკი...

– რატომ არ გამოხვედი?

– ხელი არ შეგიშალეთ... ღამაზად იჯექით... გემოზე.

– ჰო, ასე იყო...

იმ ღამით, ღია ფანჯარასთან ეძინა ცოლ-ქმარს. ძილის წინ, ღამის ლოცვასავით წაიჩურჩულა კაცმა: „მთავარია, არ შეგატყონ, რომ გეშინია. სხვას ყველაფერს ეშველება!..“

პიტნის, ურცის თუ ომბალოს სუნი მოჰქონდა ნიავს.

მაღლა, მთის კალთაზე, თეთრ ეკლესიაში, ვერცხლის ზარები რეკდნენ. იქამდე მიღწევა ძნელი იყო, მითუმეტეს ფეხმძიმე ქალისთვის ციცაბო ბილიკზე სიარული. ჯერაც ვერ გადაეწყვიტა, როდის დაადგებოდა გზას. არადა, თავისკენ უხმობდნენ ვერცხლის ზარები... ყველაზე მეტად მეუფე თადეოზის ხილვა ეწადა. მისი ხმის მოსმენა. ბუბუნა ხმით კითხულობს ფსალმუნებს... ფართო შუბლი, კეხიანი ცხვირი, შავი წვერი, ტანადი და აღნაგი. ანაფორით, მკერდზე ჯვრით... „მე ის სანთელი ვარ, უფლის საკურთხეველთან რომ უნდა დაიწვას...“ – ხმაც ეცნო... ერთი კაცი მთელ ამ მხარეს უვლის... ზარებს არისხებს, ქვეყანას აფხიზლებს. ბავშვებს მფარველობს... ქვეყნისთვის ლოცულობს.

გაღმა ჭალაზე, წაბლისფერი, სქელკისერა ბუღა ბღაოდა. ეს მერამდენე დღეა ჩაესმის მისი ბღავილი. ტყის პირს ჩამოჰყვება, მდინარეს მოადგება და ბღავის. ჩლიქს ურტყამს მიწას... ჭალა-ველს, მდინარეს, მიტოვებულ სათიბებს, პატრონს თუ... მდედრს უხმობს.

რაღაც მარადიული იყო ამ ძახილში...

მინელდა ბღავილი.

სამაგიეროდ სხვები გამოჩნდნენ. უცხოები. მწვანე „კამაზით“ მოვიდნენ. ცარიელ ყუთებზე ავტომატიანი ქალები ისხდნენ. (სნაიპერები. ტყვიას-ტყვიაში რომ სვამდნენ). მათი ხილვა არ ეამა... ყველაზე მტკივნეულს, ძნელად მოსათმენს ისინი აკეთებდნენ. ვინ იყვნენ ეს ქალები, რომელი სოფლიდან, რომელი კუთხიდან, რუსულ-ოსურად ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს სიტყვას არ აცლიდნენ. ნასვამები ჩანდნენ. ყველანი ერთად მღეროდნენ: „Гуляй, душа моя, гуляй“. რომ ელოდა, ბაღებს შეესევიან, ხილს დაჰკრეფენ და არიფანას წამოიწყებენო, შენც არ მომიკვდე!.. მანქანიდან ჩამოსვლას აგვიანებდნენ, ხან ერთ ჭიშკართან შეაჩერეს მანქანა, ხან მეორესთან... ვიღაცას ეძებდნენ... სიმღერას სიმღერა მოჰყვა... „Вот она, любовь окаянная“. მძღოლის გვერდით მჯდომი, შავად წარბწამწამ შეღებილი, ჭოლოკა ქალი განსაკუთრებით აქტიურობდა. მალიმალ კაბინიდან გამოჰყოფდა თავს. განაწყენებული ჩანდა. სამხედრო ფორმა ეცვა, მხარზე ავტომატი ეკიდა... ბრძანებებს იძლეოდა.

მათთან შეხვედრა არ სურდა ვაჟას. გრძნობდა, ხეირს არ მოუტანდა, ფრთხილად მიხურა ფანჯარა, „საძინებლიდან არ გამოხვიდე“, – ცოლს ანიშნა, კარები ჩაკეტა და ძველ ადგილას, აივანზე, თოფით ხელში დადგა. არავის დაუნახია, არც თვალი დაუტანებია, სამაგიეროდ, თვითონ ხედავდა ყველაფერს...

სახლი გზის გასაყარზე იდგა, აქედან ყველაფერი ჩანდა, ცხინვალისკენ მიმავალი გზაც. ქალებიც მოჩანდნენ, მოძალადე, სნაიპერი ქალები... თმაშეღებილები, გათითხნილები, ურცხვები. თვალები უგიზგიზებდათ, ბოროტ არსებებს ჰგავდნენ. მათში არაფერი იყო ქალური, თბილი. გაავებული ჩანდნენ... ვინ არიან?! ვის ეძებენ?! თითქოს სუნი იკრეს, მამაკაცის სიახლოვე იაზრეს, სულ ახლოს მოვიდნენ, ჭიშკართან შეჩერდნენ... თამბაქოს მწკლარტე სუნი ამოჰყვა ტოტებს. განუწყვეტლივ ეწეოდნენ... ვიღაცას ელოდნენ. ჯიბის ტელეფონით თავისკენ იხმობდნენ.

ისიც გამოჩდა. დღისით, მზისით. ყველას დასანახად. კოჭლაუხა, დამრეცილი კაცი. კვანჭალით მოჰყვებოდა გზას. მხრებში წახრილი, ქლესა და ლაქუცა. ქანავ-ქანავით მოიწევდა, თითქოს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა, დაინახავდნენ მეზობლები თუ არა. არავისი შიში არ ჰქონდა!. იცნო, გაღმაუბნელი იყო. სკოლასთან ახლოს ცხოვრობდა. სახელიც ახსოვდა, გვარიც... ერთხანს სოფლის მაღაზიაში იმუშავა, ფული შემოეფლანგა, (კარგა ხანს ციხეში იყურყუტა) მისი შემდგომი ბედით არასდროს დაინტერესებულა ვაჟა... ახლა, ხრინწიანი ხმით პასუხობს ქალებს... ხელაღებით მიუთითებს. სად ჩაუხვიონ, რომელ ჭიშკართან შეჩერდნენ.

მანქანამ უკან დაიხია, დაღმართს ჩაჰყვა. ერთმანეთის ჩამორიგებულ ჭიშკრებს შორის, ერთ-ერთთან შეჩერდნენ. დაიძახეს, არავინ უპასუხა. საყვირი აახმაურეს. კვლავ სიჩუმე იყო. მოულოდნელად, მანქანამ უკან დაიხია და ხელაღე-

გაგრძელება მე-16 გვ.

ხმა ზეაღლიღან

სიტყვები პროლოგითა და ეპილოგით



არქიმანდრიტი მამა ადამი (ვახტანგ ახალაძე)

სიტყვა მეოთხე

სიზმარი

გასროლის ხმა არ ეუცხოვა. მხოლოდ ის გაუკვირდა, პირველს რომ კიდევ რამდენიმე სროლა მოჰყვა. განა ადამიანს ერთი არა ჰყოფნისო (ტყვიაზე გაიფიქრა ეს)... თუმცა ხმა უკვე შორიდან ესმოდა.

ვიდრე გამოერკვეოდა, ვიდრე საკუთარ სულისაგან მიტოვებულ სხეულს მიჰხედავდა, აბდიამ გაუწოდა ხელი, ჯალაბაურმა. წამოაყენა და წაიყვანა. მთებში იარეს. ნინიასთან მიიყვანა, ეს მოგხედავსო. ვიდრე ნინია აქიმობდა, თავს ელგუჯა წამოადგა. ტიროდა, როგორც სვიმონს მაშინ...

პაატა იცრემლებოდა კუთხეში – გიორგის უმრწემესი ვაჟი...

სახლის წინ უამრავი ხალხი ირეოდა, სულ ჩვენებურები, სულ ქართველები. დროშები გამოეტანათ და ჯვარ-ხატები. დიდრონი კელაპტრებიც ეჭირათ ხელში. ვიღაც ჭედილას მოარბენინებდა...

პარმაღზე იწვა და აქედან ყველაფერი ჩანდა. გულაღმა დააწვინა ნინიამა და მაინც ყველაფერს ჰხედავდა. ხევს გაღმა მთა ჩანდა. ისიც ხალხით იყო სავსე.

მერე წამოდგა. ჭრილობიდან სისხლი აღარ მოდიოდა. თავს მხნედ გრძნობდა. მოუხდა ნინიას აქიმობა. აქეთ-იქით მხარში ქაქუცა ჩოლოყაშვილი და ალექსანდრე ორბელიანი ედგნენ. ახლა თეთრი გრძელი ჩოხა ემოსა. მიჰყავდათ, ხალხი გზას უთმობდა. ზოგი სანთელს აგებებდა, ყვავილებიც მიმოუფანტეს წინ. დაბლა დახარეს და მიწაზე დააბჯინეს ხმლები თაყვანისცემის ნიშნად. ფარნი არსად სჩანდნენ, თითქო იმალებიანო რიდით, ვერ გიფარეთო.

აი, როგორი ყოფილხარო, ჩემო ტკბილო ქვეყანავ, - ფიქრობდა გულში და ბედნიერებიან ნეტარებას გრძნობდა უფრო დიდ საქართველოში.

სიტყვა მეხუთე

გარინდებული იდგნენ ხეები

გარინდებული იდგნენ ხეები, სულგანაბულნი.

ო, არა! არა!

უქარობაში სჩანდნენ ასე, ისიც ოდენ უცხო თვალთათვის, ნისლით გაცრეცილი ხეები.

უკაცრიელობის სიჩუმეს ვერ შეთამამებოდა მათი ჭირვარამიანი ამოოხვრა. იდგნენ და იმედს არ კარგავდნენ, რომ, როცა იქნებოდა, მათი ვარამის გამზიარებელიც გამოჩნდებოდა ვინმე და ეს ნისლიც ჯანღიან-ბურუსიანად გაიფანტებოდა.

წინათ სულ პატარა სიო წამოუბერავდა თუ არა, ერთად აჩურჩულდებოდნენ ხეები, ერთმანეთს აყვებოდნენ, ტოტებსაც შეახებდნენ კრძალვით მეზობლებს, აქაოდა, ჩემსკენ გამოიხედე, გეთაყვა, ერთი ჩემიც მოისმინეო... ამდენი ხის ჩურჩული ერთ სიმფონიად იკვრებოდა და ერთმანეთისა ამიტომაც ესმოდათ.

ყველამ იცოდა ყველა მიტოვებული ბუდის, ყველა ობოლი ფოთლის, ყველა იმედგაცრუებული ტოტის, ყველა ძირს გადმოვარდნილი ბარტყის, ყველა ბნელი ფუღუროსა და ყველა კეკლუცი ფრთოსნის ამბავი.

წინათ გულისნადებსაც კი არავინ იტოვებდა თავის თავში დამარხულს.

ახლა არის, რომ გათითოხევდნენ.

კაცმა რომ თქვას, არც მარტო მათი ბრალი იყო ეს. ჟამთა სისასტიკეს განა დაუნდვია ისინი.

„ხეები ზეზეულად კვდებიანო!“

„გასაოცრად ლამაზად იციანო ხეებმა სიკვდილი!“

„ნეტავ გენახათ სიკვდილის წინ როგორ ამოიკვნესაო შავწყაროელმა მუხამ, ვითომც უსხეულომ, ვითომც სიკვდილმობეზრებულმა, ვითომც კიდევ სიცოცხლის ილაჯიანმაო!“

ასე ჰყვებოდნენ ასაკოვანი ხეები, რომელთაც ეს ყველაფერი თავიანთი წინაპრებისაგან გაეგონათ. აწინდელ ხეებს კი მსგავსი არაფერი ენახათ. ნაჯახის კაკუნისა და ხერხის ხრიალის ავხმოვანებაში ჩაჰკარგვოდათ ამათ სიკვდილს თვალებში შეფეთებულ მოძმეთა კვნესაც, სიდიადეც და შემოხედვაც.

ჩრდილოვან მხარეს ამოზრდილი მოკლე ტოტები რომ ვერავის შეახო ეშხმოდებულმა რცხილამ, თავის ტანმორჩილობასა და კოტიტობას დააბრალა და მხოლოდ ნაწვიმარზე გამონათებული მზის სინათლეზე დაინახა, ყმაწვილი და ენაჭარტალა რცხილა ვიღაცას რომ მოეჭრა შიგ ძირში და იმგვარი უცნაური გადანაჭერი დაეტოვებინა, რომელსაც ვერც კუნძს უწოდებდი და ვერც ნამორს.

ასე ჩაიფერფლა ჯერ თითქმის არც კი დაწყებული ამბავი რცხილათ სიყვარულისა.

ერთიანად ტოტებდაშვებული და უცრემლოდ მგლოვიარე მეზობლის დანახვა მოძმეთ გლოვის ზარების პირველ ჩამორეკვად მიითვალეს და ტანკენარ სხეულებში ავისმომასწავებელი ჟრუანტელის დავლით გაითავისეს.

იდგნენ მაშინაც ერთი ხანი ხეები გარინდებულნი და სულგანაბულნი. იდგნენ მოლოდინსა და ტკივილში. იდგნენ უდროოდ დაბერებულნი და სიცოცხლის სივრციდან ლტოლვილებად ავი ბედისწერის მიერ გამზადებულნი.

მეორე სიკვდილმა ვინ მოჰკლა, აღარავის ახსოვს. ვინაიდან იმ დღესვე კიდევ ორი ყმაწვილი ხის სიკვდილის შეტყობინებამ მეხსიერება წაართვა ბებერ ტყეს, ზარის ჩამოსაკრავი კოჟრიანი ტოტები დაუდამბლავა, მრავალხმიანი გადაძახილი აურია და ერთხმიან შემზარავ გოდებიან კვნესად უქცია.

„მეწყერი ჩამოწვება! თავს უშველეთ!“ – უნდოდა ეყვირა ბებერ ტყეს, მაგრამ ისევ გოდებიანმა ამოკვნესამ-ღა ამოაღწია სულის ფსკერიდან და სხვამ არაფერმა.

„თავს უშველეთ!“ – მაინც არ ცხრებოდა ბებერი ტყე.

თუმცა არავის ესმოდა.

თუმცა ვერავის გააგონებდა.

თუმცა ეს ყველაფერი უკვე სულ ერთი უნდა ყოფილიყო არარსებობისათვის განწირული ბებერი ტყისათვის.

ის კი არ ჩუმდებოდა და არ მშვიდდებოდა. თუ რომელიმე ხე თავს მოიმძინარებდა, მეორე ტოტს განგებ წამოსდებდა და ტყის ნამუსისაკენ მიახედებდა.

„ვიდრემდის ჩვენ ერთ პირზე ვდგავართ, ჯერ კიდევ არა ვართ არარსებობის ბინადარნიო“, – დასცდა ეშხგადავლილ რცხილას.

„ვიდრემდის ორ-ორი ან სამ-სამი მაინც დავრჩენილვართ, ვისაც ერთმანეთისათვის ტოტების მიწვდენა შეგვიძლია, კიდევ ტყე გვქვიაო“, – ამოთქვა შვილმკვდარმა წიფელმა.

„ვიდრემდის ტყის შვილობის სურვილი ცოცხლობს ჩვენს გულებში, არც დედამიწა არ გაგვიმეტებს და არც გამჩენიო“, – ჩუმად თქვა ერთმა ახალამოსულმა იფნის ნერგმა და ისე სწრაფად გაჩუმდა, რომ ვიდრე მოწიფულმა ხეებმა ქვემოთ ჩაიხედეს, მისი პირისფერი ბაგეების ნატიფი მოძრაობის კვალიც ვეღარ იპოვეს. ამიტომაც გაგონილით ერთობ კმაყოფილი ტყისათვის უცნობად დარჩა ამ იმედისმომცემი ახალნერგის ვინაობა. თუმცა დედას რას გამოაპარებ...

ამასობაში ნერგებიც წამოიზარდნენ და მომცრო ხეებიც, რცხილებიცა და წიფელებიც, მუხებიცა და ნეკერჩხლებიც...

წვიმამაც ბევრმა გადაიარა და ღაწვყვრიმალებიც არაერთხელ დაუსველა ცრემლგამშრალ ბებერ ტყეს. თოვლმაც მრავალგზის უხვად ამოავსო ხეებს შორის გაბევრებული სიცარიელეები. ფოთლებმაც იმდენჯერ იცვალეს ფერი...

ბებერი ტყე კი იდგა ჯიუტად და ცოტა ამაყად. თხელდებოდა, მეჩხერდებოდა, იშვიათდებოდა, მაგრამ ქედს არ იხრიდა სიკვდილის წინაშე. არადა სიკვდილი ისე გაშინაურებულიყო, რომ ვერაგს მარტო გულმავიწყა ნაძვის ყველა ტოლი და სწორი როდი წაეყვანა, ყმაწვილებსაც რახანია თამამად უბრიალებდა თვალებს, აქაოდა, ძალა ჩემშია, შენში კი არა, ბებეროო...

ერთ დღეს, – თავად ვერ გაერკვიათ კარგად, რატომ სწორედ იმ და არა წინა დღეს, ან კიდევ რამდენიმე დღით ადრე, – ისე ადრიანად, რომ ღამეს ჯერაც ვერ მიეღო გადაწყვეტილება, გვერდი ძილით დაღლილი ქვეყნისაგან ზღვის მხარისაკენ ეცვალა, მყოფადშემოძარცვულმა, არარსებობას ჯერხნობით გადარჩენილმა, სიზმარნატრულმა, გულდაკლულმა, უკმარი სიცოცხლით სასომიხდილმა ხეებმა, – თითქოს თვალებმა მხოლოდ ახლა გამოაჭყიტესო, – ერთბაშად გაისიგრძეგანეს, როგორ შორიშორს დამდგარიყვნენ, უფრო შორს, ვიდრე იმ ქარიან დღეს, აზრების მოკრეფა რომ უჭირდათ, ან იმ საშინელ ყინვაში, ერთმანეთს რომ ვერ ეხუტებოდნენ...

ახლა-ღა დაინახეს, როგორ გათითოხევებულიყვნენ და ერთხმიანი გოდებიანი კვნესაც წარსულს ჩაბარებოდა. იმის მაგივრად საცოდავ ზრიალს გამოსცემდნენ, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ ქარი კარგა გვარიანად შეაზანზარებდა ამათ...

ვერცერთი ფრთოსნის გული ვერ გაუძლებდა საბრალო ტყის დამწუხრების ნახვას. ხეებსაც ეფიქრათ, ამ კუნაპეტში რომ დაგვანახა ჩვენი ბედშავობა, უთუოდ ღმერთმა დაგვინდოვო და ბჭობა გამართეს, გათენებამდე რა ეღონათ.

„ვიდრემდის დღე ღამეს გამოშორდებოდეს, ვიდრემდის მოკეთეებს ხმას მივაწვდენდეთ, ვილოცოთ, უფალმა ნისლით დაფაროს ჩვენი მთის სიშიშვლე და ჩვენი დედა ტყის აღსასრულის ჟამის გაცხადებაც ამით გადასწიოსო“, – ჩუმად თქვა ერთმა ხემ, რომლის ვინაობით არავინ დაინტერესებულა, ან კი რა მნიშვნელობა ჰქონდა... ამ გამეჩხერებულ ტყეში ახლა ყველა ერთ ბედუკუღმართობას უჩიოდა.

სწორედ იმ დღეს მთაზე ასულმა მზერა გავაპარე საბუკიას მთის ფერდობზე შეფენილი საპყარი ბებერი ტყისაკენ და სახტად დავრჩი, ნისლში გახვეული რომ ვიხილე. აკი გაზაფხულზეც არ მენახა იქ ნისლი. ვიფიქრე, ნეტავ რა უნდა ხდებოდეს-თქო.

ჩემი ბავშვობის ქოჩორა მთის კალთებზე გარინდებული იდგნენ ხეები, სულგანაბულნი.

არა!!!

მხოლოდ უქარობაში სჩანდნენ ასეთებად უცხო თვალთათვის თეთრი ნისლით გაცრეცილი ხეები.

უკაცრიელობის სიჩუმეს ჯერაც ვერ შეთამამებოდა მათი ჭირვარამიანი ამოოხვრა.

იდგნენ და იმედს არ კარგავდნენ, რომ როცა იქნებოდა, მათი ვარამის გამზიარებელიც გამოჩნდებოდა ვინმე და ეს ნისლიც ჯანღიან-ბურუსიანად გაიფანტებოდა.

სიტყვა მეექვსე

ფიქრები აჰმედ მელაშვილისა, თვითმფრინავი რომ მოწყდა ქართულ მიწას და ზეცაში აიჭრა

მშვიდობით, ჩემო სამშობლო მიწავ!

ნახვამდის, სისხლნო ჩემისა სისხლისანნო და ხორცნო ჩემისა ხორცისანნო, ნანინანატრო ქართველებო!

ქართულ მიწას მოწყდა ჩვენი თვითმფრინავი უკვე, მაგრამ ჰაერი ჯერ კიდევ საქართველოს სურნელითაა გაჟღენთილი! ეჰ, ამ სურნელს განა იგრძნობ ისე, თუ ოთხასი წელი არ იტანჯე, არ იდარდე, არ იწუხე, არ იავადმყოფე, არ იკვნესე, არ იცრემლე, არ გამწარდი, არ დაკარგე იმედი, არ დაივიწყე და ხელახლა არ ისწავლე ქართული სიტყვა და ენა, ანბანი და ადათი...

მერე ასე თუ არ თქვი ყველაფერზე, რასაც კი დროჟამმა დავიწყების ნაცარფერფლი გადააყარა და ჩაანავლა, გადამიქართულდაო... თუ სიყვარულმა შენი ერისა არ გათქმევინა თანატომელისთვის, შენსავით ნატანჯი ქართველისთვის, წუთისოფლის ბინდის განმაქარვებელი და ბადაგივით ტკბილი – ჩვენებუროო...

ღრუბლებისკენ მივიჩქარით. ღრუბლებსაც ავცდით და ვხედავ, მართლაც, რომ სულ სხვანაირია ქართული ზეცა, უფრო ზეცისფერი, უფრო უღრმესი, უფრო ღრუბლიანი და უფრო მზიანიც... აქ წამით, მაგრამ მაინც ვგრძნობ ღვთაებრივთან სიახლოვეს. მინდა ჩვენებურებმაც იგრძნონ ეს...

როდესაც ასე ახლოა საქართველოს ზეცა, მეც ვლოცულობ. მთელი ცხოვრება ქართველებისთვის მიცხოვრია და არც აწი ვაპირებ განზე და ცალკე დგომას. ოღონდ ღმერთმა მოგვიმართოს ხელი ქართველებს...

გული მეწურება. მტკივა საქართველო. ასეთი სვე ცოტა ქვეყანას და ერს თუ რგებია. სიყმაწვილე მახსენდება: ვეძებდი, სად არის-თქო ჩვენი საქართველო. მეუბნებოდნენ, იქ არა, რადგან იმ ქვეყანას, შენ სადაც საქართველო გეგულვის, რუსეთი ჰქვიაო. აქ კი, სადაც ცხოვრობ, თავად ხედავ – თურქეთიაო. ღმერთო, როგორ ვიტანჯებოდი! ნუთუ არსად გვქონდა სამშობლო მილიონობით ქართველს. თურქები გურჯებს გვეძახდნენ, რუსები კავკასიელებს... და ვინაითგან ჩვენ არ ვიყავით მათში ათქვეფილნი, არც გათურქებულნი და არც გარუსებულნი, ამიტომაც არავის ემეტებოდა ჩვენთვის ჩვენი სამშობლო მიწა. ისინი ჩვენს გულებში ჰყოფდნენ ნადირივით ტორებს და იქაც ერჩოდნენ საქართველოს ხატს... ჩვენი მიწა-წყალი ისევ საჯიჯგნად ჰქონდათ და ახლაც აქვთ...

მე გნახე, ჩემო სამშობლოვ, და აწი რა მიჭირს. მაშინაც მომეშვა, რუკაზე რომ დაგინახე, ჩემო... უფლის სამართალი დავლოცე მაშინ.

შენ ხომ ღვთისგან ხარ ჩვენთვის მოცემული. ჰოდა უნდა გიპატრონოთ, მაშ, რა პასუხს მივცემთ გამჩენს...

შენ მარტო მთა-ბარი ან მიწა-წყალი ხომ არ ხარ, ჩემო კარგო სამშობლო-ქვეყანავ! ან ღვთაებრივად ლამაზი ბუნება და ტყე-ველს შეფარებული ნადირ-ფრინველ-სულდგმული ხომ არა ხარ მხოლოდ! არც მარტო სიმღერა ან ზეცისკენ მსწრაფი ტაძრები და ციხე-კოშკები! არც მარტო ქართველი დედაკაცები და მამაკაცები, გოგონები და ვაჟები, მოხუცებულნი და ჩვილნი! არა, ყველაფერი, რასაც ვხედავთ, არის მხოლოდ ის, საიდანაც იწყება ჩვენი სამშობლო ქვეყანა... იწყება და არასოდეს მთავრდება...

არც მიწისძვრა ან ზვავის ჩამოწოლა, არც ქართველის სიკვდილი ან უშვილოდ გადაგება, არც ტყის გაკაფვა, არც მიწაყანის სიბერწე, არც ბრძოლებში დამარცხება, არც უცხოტომელთაგან ენის შერყვნა, არც ჯვარ-ხატების გატაცება, არც იადგართა, ჟამნ-გულანთა, სიგელ-გუჯართა ფერფლადქცევა, არც ღალატი და არც სხვა რამ განსაცდელნი, არც მტრის მიერ ჩვენი ბედოვლათობით წართმეული მიწები ან მეხდაცემული მუხა ან დამშრალი წყარო – არაფერი არ ნიშნავს დასასრულს... ჩვენ ჩვენს სამშობლოსთან ერთად ვგრძელდებით მარადისობაში, უკეთეს ქართველთა ფიქრებსა და ნატვრებში, ამათ მწარე ამოკვნესა-ამოგმინვაში, წინაპრების ლოცვებში, ახალშობილი ვაჟის ბოკვერულ მზერასა და ჩითისკაბიანი გოგონას მორცხვ ღიმილში, არწივის ირაოში და ხარირმის ნახტომში, უთქმელ ლექსსა და სულში ჩაბუდებულ გალობაში, უხმო სიოს ჩამოქროლვას აყოლილი ფურისულების თრთოლვაში...

გაგრძელება. დასაწყისი „ლს“ №49

(დასასრული. დასაწყისი მე-14 გვ.)

ბით მიასკდა ჭიშკარს... საკეტმა გაიღრჭიალა.

ჭიშკარი დენდოსი იყო...

ხმაც იცნო. ღრიალებდა იგი, იგინებოდა: „არ შემოხვიდეთ! არ გაბედოთ! ჩაგხოცავთ თქვენი დედა!.. ქუჩის ქალებო! მთელი ცხოვრება ხომ გხმარობდით და კიდევ გიხმართ! თქვენი ჯიში და ჯილაგი მოვ...“ მთელ სოფელს ესმოდა მისი ღრიალი... (განწირული კაცის ღრიალს ჰგავდა!)

და მიუშვეს ავტომატის ჯერი... ყუმბარაც მოისროლეს.

ტა-ტა-ტა! – დაიქუხა. მიწაც შეზანზარდა.

ცოტაც და, იწვოდა დენდოს სახლი... ორსართულიანი. ხისგან ნაშენი ძველი შენობა- საბძლით, მარნით, საკუჭნაოთი. ხელახლა განმეორდა სროლა... მერე მანქანამ უკან დაიხია და ბღუილით შეჰყვა აღმართს. თითქოს მიწამ პირი უყოო, ერთბაშად გაქრა.

ვაჟამ თოფის ლულა შემართა. სირბილით ჩამოჰყვა კიბეს. ჩქარობდა. ერთი წუთით დაიბნა, ვერ მოეაზრა, საით წასულიყო, დაბლა, აალებული სახლისკენ. დენდოსკენ თუ ... არადა, გარკვევით ხედავდა მას... სწორედ მას, ვისაც უნდა გასდევნებოდა, გზის ბოლოს, ყანყალით მიმავალ დამსმენს, მოღალატეს. თავისი საქმე აღასრულა, ჩაუშვა, გაამხილა, ახლა შინ ბრუნდება... რა ხანია, თოფი არ სჭერია ხელში, თითი არ გამოუკრავს ჩახმახისთვის. არ დაუმიზნებია და არც გაუსვრია... თუმცა რა მნიშვნელობა აქვს. უპირველესად ჭაღარა თმა და გათხელებული კეფა ამოიღო მიზანში. თუმცა ასე მიპარვით, ლაჩრულად სროლა არ შეეძლო, არ სურდა... დასტვინა. წინწასულმა მოიხედა. შეჩერდა. ეტყობა ვერ იცნო, „რა გინდაო“, – ხელი აუქნია. ათ-თხუთმეტ ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, კვლავ შემართა ლულა, სანამ გონზე მოვიდოდა, იჭექა თოფმა. დაბრეცილი მუხლისთავი დაუცხრილა.

იღრიალა, მაგრამ რა იღრიალა...

შემობრუნდა. დაღმართზე დაეშვა. დენდოსკენ...

...თავისივე ეზოში იპოვა იგი. ვაშლების ძირში, მკლავებგადაშლილი იწვა დენდო. დაუზოგავად, უმოწყალოდ დაეცხრილათ. ავტომატის ჯერი მიეშვათ. გულმკერდი შეენგრიათ. გასაფრენად გამზადებულს უგავდა სხეული... (გვერდით, პირალესილი ნაჯახი ეგდო). ფართო მკლავები, ჯიშიანი ყელ-კისერი, წაბლისფერი კულულები... (რატომღაც იმ ძველ დენდოს ხედავდა... სოფლის ულამაზეს ჭაბუკს).

ხანძრის სუნი მოსდებოდა სივრცეს, მთელ ამ კუთხეს. არავინ შველას არ ითხოვდა. ჩუმად, თავისთვის იწვოდა ძველი სახლი. ფარდაგებით, ტახტებით, ქვეშაგებით, ფარდებით... ნივრის გალებით, ზაფრანის კონებით, მსხლისა და ვაშლის ჩირებით... ნელა იწვოდა. ტკაცუნით, კვნესით, ჩაშლით და ჩაპირქვავებით... შავი ბოლი ერთვოდა ცას.

სანამ აქამდე მოაღწევდა ვაჟა (სანამ მოღალატეს მუხლებში მოცელავდა), დენდოს სახლი ჩაიწვა და ჩაიფერფლა... სახურავი ერთბაშად ჩამოწვა.

ნახანძრალში ჩარჩა მისი მოხუცი დედა...

...საკუთარი სახლის დაწვა არ გაუგია დენდოს, არც დაკუტებული დედის ბოლო ქვითინი მოუსმენია... არაფერი არ გაუგია... ირგვლივ ვაშლები ცვიოდა, წითელ-წითელი, დამკრახული. რაღაცნაირი განაწყენებით, გაავებით ასკდებოდნენ მიწას, თითქოს ხე ვერ იკავებდა ნაყოფს, იცილებდა...

ვაჟამ, ერთხანს დანანებით უცქირა სიყრმის მეგობრის ცხედარს. ვერ მიუსწრო, ვერ მიეშველა... დაიმალა, როგორ სხვები იმალებიან... სარდაფებში, საწნახელში... (უკვე არეულად აზროვნებდა), მაგრამ, მთავარი არ შეშლია... თავად გაუთხარა საფლავი, თავისავე ეზოში, ვაშლების ძირში დაასაფლავა --- (დედასთან ერთად...) ვაზის რქისაგან ჯვარი შეკრა და გულზე დაადო... ეგებ იოლად ითქმის „საკუთარ ეზოში, ვაშლების ძირში დაასაფლავა-თქო“. ეს არ იყო მხოლოდ დასაფლავება. იგი საკუთარი თავზე მიწის წაყრას წააგავდა, დაჯოჯოხეთებას. ამიტომ იყო, თითოეული ბელტის ამოღება და გვერდით გადაყრა, საკუთარი საფლავის გათხრას ჰგავდა. დანაშაულის განცდა ძალავდა. მიხვდა... ამდენი სისხლის, ცრემლის, უბედურების ატანა უკვე აღარ შეეძლო. „ჭირი ჭირს გააკრთობს და გააქცევსო“, მერე გააქცია?!. არეულად აზროვნებდა. ტირილი ეწადა და ვერ ტიროდა. გამშრალ-გახევებული ადგა საფლავს.

სანამდე იდგეს აქ?! საერთოდ რა დარჩენია ამ სოფელში, მამა-პაპისეულ ძველ სახლში?! მტვრიანი ფარდები თუ გახუნებული სურათები. ორი ჩაფი ღვინო... სულ ეს არის... თიხის ჯამ-ჭურჭელი... რა?! პირველყოფილი თემური წყობილებაა?! კამოდის უჯრაში, პაპის ნაქონი ვერცხლის ქამარ-ხანჯალი უწყვია. მოსევადებულ-მოჩუქურთმებული (მწვანე ფერი მოძალებია ვერცხლს...) თუ წაიღებენ – წაიღონ!.. სხვა რა გააჩნია, რომელი ნივთი ღირს ამდენ ტანჯვად!..

სიჩუმე იყო დენდოს ეზოში.

კუდწაჭრილი, წითელი ძაღლი გაუსაძლისად ყმუოდა.

ნახანძრალ ეზოში, მარტოდმარტო დარჩენილი, თავის უიღბლო პატრონს დასტიროდა, მოთქმით ზუოდა...

2008 წ. აგვისტო

მინაწერი.

სულ ახლახან, ამ ადგილებში, მავთულხლართებით, სასაზღვრო ზოლი გაავლეს, ადგილობრივთ მიკარება აუკრძალეს. საზღვრის მიღმა დარჩა ვაჟას ვენახი, ქვევრები. მთაზე წამომართული თეთრი ეკლესია და... რაოდენ გულსატკენია! ვაშლის ჩრდილებში მიკარგული დენდოს საფლავი...

გაურკვევლობის შფოთი შეყრია სივრცეს.

თამაზ წივწივაძეს

92 წლის ქართველი პოეტი გიორგი ყარაულაშვილი მამულიშვილური სიხარულით მოგილოცავთ თქვენგან განცხადებულ „ლიტერატურული საქართველოს“ აღდგენას და გთხოვთ ჩამწეროთ თქვენს რაზმში სამოლვაწეოდ ჩვენი ერისა და ჩვენი სამშობლოს გადასარჩენად.

უღრმესი პატივისცემით
გიორგი ყარაულაშვილი

ჩვენსკენ

ჩემს ქართულ ნაგაზს

ძაღლო შე ეზოს გუშაგო
რამ შეგქმნა ესე ერთგული,
შენ არც ქართული იცი და
არც არა ფრანგულ-ბერძნული,
მაგრამ იმდენი ჭკუა გაქვს
მტერთან არ იყო შეკრული.
შენა სჯობიხარ ზოგ-ზოგებს
ნაღდი ძაღლური ჯიგრითა,
მტრისა და მოყვრის გარჩევა
შენ არასოდეს გიჭირდა,
ეზოში უცხოს არ უშვებ
სააკაშვილის ჯიბრითა.
შენს ამდენ ცოდნა გაგებას
ვერც გაიგებენ ისინი,
ზოგჯერ შენ ისეთ ბრძენს ჰგავხარ
გიცქერ და გულში ვიცინი,
„ჩიორას“ ამბავს მაგონებს
ეგ შენი კუდის ქიცინი.

ოცი წელია

(მწერალთა კავშირის მესვეურებს)

წიგნი კი არა, პატარა
– ბროშურა ვერ გამოვეცი...
კავშირის მესვეურებო –
ჩემი კუთვნილი მომეცით!!!
ტყვია მეკუთვნის? – მესროლეთ,
ციხე მეკუთვნის? – ჩამსვით იქ...
ისიც მეყოფა, მიშა „მსჯის“, –
ოჯახს, რომ ვკვებავ – „ხამსითი“!!!
თქვენც მჩაგრავთ?! –
არა გრცხვენიათ?!.
მაინც ვერ მნახავთ – ცრემლიანს!!!
ყველას სიმართლეს მოგახლით, –
თუმცა, არა მყავს ცხენია!!!
ზოგი თქვენგანის მაგივრად –
იცოდეთ, რომ – მე მრცხვენია!!!

2010 წ.

P.S. მაყვალა გონაშვილი და „ძმანი მისნი“, 11 წელიწადზე მეტია, რაც მწერალთა კავშირს „მართავენ“, ისე, როგორც მიშა „მართავდა“ საქართველოს!!! უზურპატორია ეს ქალბატონიც! ყრილობის მოწვევა არ სურს, იცის რომ გადავაყენებთ, თუმცა, ხმებს წინასწარ „აგროვებს“, უამრავ საეჭვო პირებს ღებულობს – კავშირის წევრებად, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მხარდამჭერები იქნებიან. „გაყალბებისთვის“ ემზადება! ხელისუფლებასთან „შეხმატკბილებულად“ იყვნენ, მიუხედავად იმისა, სასახლე წაგვართვეს... მაინც არ აკრიტიკებენ, ისე როგორც სხვები და მეც! დღევანდელი, ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება, ვალდებულია მოაგვაროს მწერალთა კავშირის „მიჩუმათებული“ საქმეები!!!

ა. მ. 2013 წ. მარტი

ბატონო თამაზ!

ასეთი აზრი მომივიდა თავში – ყველა პენსიონერმა მწერალმა, ყოველი თვის 16-20 რიცხვებში, პენსიიდან 10-10 ლარი დავდოთ, რათა კვლავ გამოიცეს (მტრების ჯინზე) გაზეთი – „ლიტერატურული საქართველო“, კვლავ თქვენი რედაქტორობით და კვლავ მწერლებისთვის უსაყვარლეს დღეს – პარასკევს, ეს დღე ხომ გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ შეგვაყვარა – ქართველ მწერლებსაც და მკითხველებსაც.

მე, პირადად, ნაინფარქტარი კაცი გამოვჯანმრთელდები ამ ოცნების რეალობად ქცევით! გაიხარებენ და იმედი აღუდგებათ ყველა ქართველ მწერალს, მკითხველს. გაიხარებს ერი და ბერი!

შეიძლება ამ ამბავმა, ბატონ ბიძინა ივანიშვილამდეც მიაღწიოს და მწამს, ხელი არ აუკანკალდება, მიშას და მისი ბანდის მიერ გასაცოდავებულ, იმედდაკარგულ, მშიერი მწერლების დახმარებაზეც!!!

ვინ იცის, შეიძლება ნაყოფი გამოიღოს ამ იდეამ?!

მე, პირადად, ბატონ რეზო კვერენჩხილაძესთან, მწერალთა კავშირის ბიბლიოთეკაში მივიტან 10 ლარს, 16 რიცხვიდან 20 რიცხვამდე. მწამს, 50 მწერალი მაინც გაიღებს ამ თანხას და გაცოცხლდება გაზეთი – „ლიტერატურული საქართველო“ და გამოვცოცხლდებით ჩვენც, ჩაგრული მწერლებიც!

ავთანდილ მეგრელიშვილი
2013 წ.

ძვირფასო ავთანდილ!

მშვენიერი აზრი მოგსვლია თავში – „ლიტერატურული საქართველოს“ გადარჩენა რომ განგიზრახავთ!

მაგრამ მე საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად იმისთვის კი არ მივსულვარ, პენსიონერი მწერლები რომ ვძარცვო, არამედ ამითი საყოფაცხოვრებო პირობებიც გავაუმჯობესო და თქვენი საყვარელი გაზეთიც გამოვცე!

გარწმუნებ, ასეც იქნება!

პატივისცემით,
თამაზ წივწივაძე

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესექსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეომედია (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში:
ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: **MIBGGE22**
ანგ. № **GE61PC0183600100029708**

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს ბატონ თამაზ წივწივაძეს

მთელ შემოქმედებით კოლექტივს გილოცავთ ჩვენი გაზეთის მკვდრეთით აღდგომას! მზე ამოსულა, ცხრათვალა მზე, იმედის სხივებს რომ აფრქვევს საქართველოზე... და ეს თქვენ ბრძანდებით, ბატონებო!

გვახსოვს, ბატონი თამაზი ლანჩხუთში ერთ-ერთი სტუმრობისას დაგვპირდა: გეფიცებით, ეს ხელისუფლება რომ წაიქცევა, „ლიტერატურული საქართველო“ აღსდგება და მათ წაქცევას მოგილოცავთო! ასეც მოხდა! და ამიტომ გიერთდებით სიხარულით, გისურვებთ წარმატებებს, მრავალჟამიერ!

ლანჩხუთის ლიტერატურული გაერთიანება „სამების“ წევრები:
კუკური კუკულაძე, ჯემალ დობორჯგინიძე, მაგული კვაჭაძე, გელა გეგუჩაძე, გიგლა აფხაზავა, დარეჯან ბიწაძე, ნაზი გალოგრე, რევაზ კუკულაძე, მალხაზ ჩიკაშუა.

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ წივწივაძე

E-mail: litsaqartvelo@yahoo.com
ტელ.: 293 69 77

გამოდის პარასკევობით